

იგორ კვესელავა  
ედიშერ გვენეტაძე

საქართველოს  
კონსტიტუციური განვითარების  
პოლიტიკური, სამართლებრივი და  
ისტორიული ასპექტები



გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2019

ნაშრომი მომზადებული და გამოცემულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის – „საქართველოს კონსტიტუციური განვითარების პოლიტიკური, სამართლებრივი და ისტორიული ასპექტები“ – ფარგლებში.

**რედაქტორები:**

პროფესორები: **ჯემალ გახოკიძე,**  
**ნინო ნიშნიანიძე.**

**რეცენზენტები:**

პროფესორები: **ქეთევან ჯინჭარაძე,**  
**ავთანდილ სონღულაშვილი.**

**კომპიუტერული უზრუნველყოფა: ნონა ცაბაძე**

© ი. კვესელავა, ე. გვენეტაძე, 2019

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2019

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბაოვსაიას 4 ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: gamomcemlobauniversali@gmail.com; universal505@ymail.com

ISBN 978-9941-26-494-8

# შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი .....	4
ქართული კონსტიტუციის სათავეებთან .....	6
საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციები .....	17
საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და საკონსტიტუციო ცვლილებები .....	35
საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია .....	46
ნაციონალური მოძრაობის მცდელობები, კონსტიტუციის საკუთარ მმართველობაზე მორგებისათვის .....	66
საპარლამენტო კონსტიტუციური მოდელი .....	134
საქართველოში ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლილება და საკონსტიტუციო საკითხები .....	155
ქართული სახელმწიფოებრიობა და საკონსტიტუციო ცვლილებების აუცილებლობა .....	171
გამოყენებული ლიტერატურა .....	192

## შესავალი

ამა თუ იმ ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობა იწყება კონსტიტუციით. კონსტიტუცია არის ის ძირითადი ბალანსირებული, რომელზედაც შენდება შემდეგ სხვადასხვა სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები.

კონსტიტუცია ამკვიდრებს სახელმწიფოში ისეთ ინსტიტუციებსა და ფასეულობებს, რომლებითაც შესაძლებელია თანამედროვე დემოკრატიული ღირებულებების განვითარება, რისი მეშვეობითაც, თავის მხრივ, შესაძლებელია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განვითარება და დაცვა.

თანამედროვე პირობებში კონსტიტუციას უწოდებენ, სახელმწიფოს დამფუძნებელ დოკუმენტს, ვინაიდან მას იღებენ ხალხის სახელით და იგი არის გარანტი ადამიანის უფლებების დაცვისა და სახელმწიფო ინსტიტუტების დემოკრატიული ფუნქციონირების. დემოკრატიულ სახელმწიფოში კონსტიტუციას აქვს უმაღლესი იურიდიული ძალა და მასზე უნდა იყოს დაქვემდებარებული სახელმწიფოში მიღებული ყველა ნორმატიული აქტი.

ქართული სახელმწიფოებრიობა, რომელიც მრავალსაუკუნოვან ისტორიას მოითვლის ეყრდნობოდა და ეყრდნობა იმ ზოგადსაკაცობრივ ღირებულებებს, რომლებიც მიღებულია ცხოვრების ნორმად ცივილიზებული კაცობრიობისათვის.

საქართველოს სახელმწიფო ისწრაფვის რა დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, აღიარებს და თანაბრად უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ადამიანის, ეროვ-

ნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების ყველა უფლებასა და თავისუფლებას, როგორც ამას მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო აქტები და კონვენციები.

საქართველოს სახელმწიფოს ქმედებანი სრულად შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, ჰელსინკისა და ვენის აქტებს, რომლებიც აღიარებენ და განამტკიცებენ ყველა ხალხის უფლებას დამოუკიდებლად განაგოს თავისი ქვეყნის პოლიტიკური ბედი.

კონსტიტუციის საშუალებით სახელმწიფოში იქმნება მმართველობის ისეთი ფორმა, რომლის მთავარ პრიორიტეტად აღიარებულია ქვეყნის თავისუფალი მოქალაქის განვითარება. გადატანითი მნიშვნელობით კონსტიტუცია არის დემოკრატიული ხელისუფლებების „ბიბლია“. ამიტომაც თანამედროვე პირობებში საქართველოს კონსტიტუციური განვითარების პოლიტიკურ, სამართლებრივი და ისტორიული პროცესების შესწავლას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

სწორედ ამ საკითხების შესწავლას ემსახურება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე, გრანტის პროგრამით შექმნილი და თქვენს წინაშე წარმოდგენილი ნაშრომი.

*ავტორები*

## ქართული კონსტიტუციის სათავეებთან

ქართული სახელმწიფოებრიობის საწყისები ჩვენ ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე ცალკეული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების არსებობაში უნდა ვიგულისხმოთ, რომელთა უშუალო გაგრძელებას სწორედ შემდგომში ჩამოყალიბებული ერთიანი ქართული სახელმწიფო წარმოადგენდა. სახელმწიფოებრიობა, პოლიტიკურ-სამართლებრივი კულტურა საქართველოში საუკუნეთა განმავლობაში თანდათანობით იძენდა სრულყოფილ სახეს. სპეციალისტები ხაზგასმით აღნიშნავენ შუა საუკუნეების (განსაკუთრებით XII-XIII სს.) საქართველოს სამართლის მაღალ დონეს დონეს.

ტერმინი „კონსტიტუცია“ (CONSTITUTIO) ლათინური სიტყვაა და დაწესებას, დადგენას ნიშნავს. ეს ტერმინი უძველესი დროიდან, ჯერ კიდევ რომის იმპერიის კანონმდებლობიდან იხმარებოდა. კონსტიტუცია – მონათმფლობელურ და ფეოდალურ საზოგადოებებში გამოხატავდა იმპერატორთა ბრძანებებსა და მათ მიერ დადგენილ სხვადასხვა წესებს, მაგრამ მას იმ დროისათვის სახელმწიფოს ძირითადი კანონის მნიშვნელობა არ ჰქონდა.

თანამედროვე პირობებში კონსტიტუცია განსაზღვრავს სახელმწიფოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოწყობას, საარჩევნო სისტემას, სახელმწიფოს მართვისა და მოღვაწეობის ორგანიზაციის პრინციპებს, მოქალაქეთა ძირითად უფლებებსა და მოვალეობებს; იგი წარმოადგენს მიმდინარე კანონმდებლობის საფუძველს.

კონსტიტუციის უპირატესი მიზნის – ხელისუფლების თვითშეზღუდვის – მისაღწევად მნიშვნელოვანია კონსტი-

ტუციის ძირითადი პრინციპებისა და ღირებულებების სწორად გააზრება, იმის შეცნობა, რომ პიროვნება არის კონსტიტუციის უმაღლესი ფასეულობა.

სახელმწიფო მოწყობის, ხელისუფლების დანაწილებისა და ადამიანთა უფლებების დაცვის პრობლემა, რომელიც ძველი პერიოდიდან იღებს სათავეს, სრულყოფილად რეგულირდება საკონსტიტუციო მექანიზმით.

ბევრმა ქვეყანამ შეძლო შეემუშავებინა ისეთი კონსტიტუციური დოკუმენტი, რომელშიც აისახა წარსული, ეროვნული სახე, ისტორიული ტრადიციები და, რაც მთავარია, ერის პოლიტიკური ცხოვრება.

კონსტიტუციური მართვის სისტემები და ფორმები თანდათანობით იხვეწებოდა, ითვალისწინებდა პოლიტიკურ და სამართლებრივ გარემოს: ეძებდა სავარაუდო პრობლემების გადაჭრის გზებს, ასწორებდა შეცდომებსაც, მაგრამ ყველა ერთიანი იყო ხელისუფლების დანაწილების პრინციპების აუცილებლობაში, დემოკრატიის ანუ ხალხის მმართველობის უზენაესობის აღიარებასა და ავტორიტარული მმართველობის ნეგატიურობაში.

ყველა ქვეყანა ისტორიული გამოცდილების, ეროვნული ტრადიციების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების გათვალისწინებით კონსტიტუციის თავისებურ მოდელს ირჩევს.

მსოფლიოში ასევე არსებობენ მონარქიები, რომლებიც უპირველესად დიდ ბრიტანეთთან ასოცირდება, თუმცა სხვადასხვა ფორმით მონარქიები მსოფლიოს 45 ქვეყანაში ფუნქციონირებს. აქედან 12 ქვეყანა ევროპაშია.

ამრიგად, კონსტიტუცია ეროვნული განვითარების უმაღლესი სტადიის სახელმწიფოებრიობის უმნიშვნელოვა-

ნესი იურიდიული დოკუმენტია, რომელიც განაპირობებს სახელმწიფო ცხოვრების მარგანიზებული ფუნქციის მქონე ინსტიტუციების ქმედუნარიანობას. აქედან გამომდინარე, კონსტიტუციის ნორმები აღწევს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და ეხება ყველა სუბიექტს. რამდენადაც სრულყოფილია კონსტიტუცია, იმდენად სრულფასოვანია სახელმწიფოებრივი ცხოვრება.

ფორმის მიხედვით არსებობს დაწერილი და დაუწერელი კონსტიტუციები. პირველი დაწერილი კონსტიტუცია მიღებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში 1787 წლის 17 სექტემბერს. დაუწერელი კონსტიტუციები მოქმედებს ამჟამად დიდ ბრიტანეთში, ისრაელში, ახალ ზელანდიასა და სხვა ქვეყნებში.

კონსტიტუციების უმეტესობა სხვადასხვანაირად უდგებოდნენ პოლიტიკური წყობილების ფორმის საკითხს, მაგალითად პორტუგალიის კონსტიტუცია, კატეგორიულად კრძალავდა კონსტიტუციაში მართვა-გამგეობის რესპუბლიკური ფორმის გაუქმებას ან მასში რაიმე ცვლილების შეტანას. ასევე იყო საფრანგეთში. სახელდობრ საფრანგეთის 1875 წლის კონსტიტუციაში 1884 წელს შეტანილი ცვლილება შეეხო მის მე-8 მუხლს, სადაც ხაზგასმულია: „მმართველობის რესპუბლიკური ფორმა არ შეიძლება გახდეს კონსტიტუციის გადასინჯვის წინადადების საგნად“.

ხოლო მექსიკის 1857 წლის კონსტიტუცია ხალხს პირიქით საუკუნოდ უტოვებდა უფლებას შეეცვალა მართვა-გამგეობის ფორმა.

საქართველოს პირველი კონსტიტუციით – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მართვა-გამგეობის ფორმის გაუქმება არ შეიძლება გამხდარიყო კონსტიტუციის



გადასინჯვის წინადადების საგანი. უფრო მეტიც, კონსტიტუციის პირველი მუხლის მეორე პუნქტი დემოკრატიულ რესპუბლიკას პოლიტიკური წყობილების მუდმივ და უცვლელ ფორმად აღიარებდა. სოციალ-დემოკრატების 1920 წლის ყრილობაზე ნოე ჟორდანიას სვამდა კითხვას და იქვე პასუხობდა: „რას ნიშნავს დემოკრატიული რესპუბლიკა?“ დემოკრატიული რესპუბლიკა იმას ნიშნავს, რომ მთელი ძალაუფლება არ არის პარლამენტის ხელში თავმოყრილი, ის დაყოფილია პარლამენტსა და ხალხს შორის. ხალხს აქვს უფლება რეფერენდუმით ჩაერიოს პარლამენტის საქმეებში, მას აქვს ინიციატივის უფლება, საბოლოო სიტყვა დემოკრატიული რესპუბლიკის დროს მაინც ხალხს ეკუთვნის. დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიღებულია მორჩილების პრინციპი. შესაძლებელია პარლამენტმა ისეთი რამ დაადგინოს, რაც მთავრობას, ან რომელიმე მინისტრს არ უნდა, მაგრამ ისინი ვალდებული არიან დაემორჩილონ პარლამენტის დადგენილებას და ის შეასრულონ“ [7].

ქართული კონსტიტუციონალიზმის ისტორია 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციით იწყება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პირველი კონსტიტუცია რეალურად არ ამოქმედებულა, მასში აისახა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციები და ცივილიზებული სამყაროს უმაღლესი ღირებულებები.

1919 წლის 12 მარტს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ გამოყო საკონსტიტუციო კომისია, რომელსაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის შედგენა დაევალა. კომისიის თავმჯდომარე იყო დამფუძნებელი კრების წევრი პავლე საყვარელიძე [1. 35].

საქართველოს კონსტიტუციის პროექტს ძირითადად საფუძვლად დაედო შვეიცარიის კონსტიტუციის ძირითადი იდეა, რომელიც შეუთავსდა საქართველოს სინამდვილეს, თუმცა ცალკეული პრინციპები სხვა დემოკრატიული სახელმწიფოების კონსტიტუციებიდან გადმოიღეს. შემუშავებული პროექტი ცალკე ბროშურად 1920 წლის ივნისში გამოქვეყნდა და დამფუძნებელ კრებას განსახილველად გადაეცა.

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს მიიღო საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა პროექტისაგან. კონსტიტუციის საბოლოო ტექსტი 1921 წლის გაზაფხულზე, დაიბეჭდა ბათუმში, ნ. ხვინგიას სტამბაში და ამჟამად ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა [2].

1981 წელს დავით თაბორიძემ საზღვარგარეთ გამოსცა კონსტიტუციის ქართულ-ფრანგული ტექსტი, მისი ქსეროასლი მოგვიანებით ისტორიკოსმა უშანგი სიდამონიძემ გადასცა გაზეთ „სამშობლოს“ რედაქტორს პაატა ნაცვლიშვილს. მისი ძალისხმევით, 1921 წლის შემდეგ, პირველად, 1990 წლის გაზაფხულზე, მოხერხდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის ტექსტის გამოცემა [3].

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართა განხორციელებული აგრესიის გამო 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ „ზარბაზნების გრიალში და ომის ალში გახვეულმა დაამთავრა კონსტიტუციის განხილვა და საბოლოოდ მიიღო ის“.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია ასახავდა იმდროინდელ რეალობას, რომელსაც საფუძვლად

დაედო 1918-1921 წლების საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების პრაქტიკა. ის საკმაოდ მაღალი ხარისხის პოლიტიკურ-იურიდიული დოკუმენტი იყო, რომელიც აღიარებდა ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს – პარლამენტის საჭიროებას.

საქართველო გამოცხადდა თავისუფალ, დამოუკიდებელ და განუყოფელ სახელმწიფოდ, რომლის პოლიტიკური წყობილების მუდმივი და უცვლელი ფორმა იყო დემოკრატიული რესპუბლიკა, ხოლო ქართული ენა – სახელმწიფო ენად. უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება იყო მთავრობა, რომლის თავმჯდომარე, ამავე დროს, იყო ქვეყნის უმაღლესი პირი. სრული დამოუკიდებლობა ენიჭებოდა უმაღლეს სასამართლოს – სენატს.

კონსტიტუცია აკანონებდა საყოველთაო, სავალდებულო და უფასო დაწყებით განათლებას, დაცული იყო საქართველოში მცხოვრები ეროვნულ უმცირესობათა ინტერესები. ქვეყანაში უპირატესობით არ სარგებლობდა არც ერთი რელიგია. კანონდებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევა, უქმდებოდა სიკვდილით დასჯა.

კონსტიტუციის პროგრესად უნდა მივიჩნიოთ, რომ მისი დარღვევისათვის მთავრობის თავმჯდომარე და მთავრობის წევრები პასუხისმგებელი იყვნენ სასამართლოს წინაშე.

ქართველი კონსტიტუციონალისტები გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ხალხის მონაწილეობას ხელისუფლების განხორციელებაში, მათი მიზანი იყო კონსტიტუცია დაემკვიდრებინათ დემოკრატიზმის პრინციპებზე, რომელსაც „პირდაპირ დემოკრაციას“ ან „ხალხის პირდაპირ კანონმდებლობას“ უწოდებდნენ.

საქართველოს კონსტიტუცია აფხაზეთს, (სოხუმის ოლქი), აჭარას (ბათუმის ოლქი) და საინგილოს (ზაქათალის ოლქი) ადგილობრივ საქმიანობაში ანიჭებდა ავტონომიურ მმართველობას.

იმის მიუხედავად, რომ კონსტიტუციას პრაქტიკულად არ უმოქმედია, მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ერის ისტორიაში. 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი და 1921 წლის კონსტიტუცია წარმოადგენდა იმ იურიდიულ საფუძველს, რასაც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა მომდევნო ათწლეულებში დაემყარა.

ნიშანდობლივია, რომ 1918 წელს შექმნილმა საკონსტიტუციო კომისიამ საგანგებოდ იმსჯელა, საქართველოს პარლამენტისათვის ეწოდებინათ „სახელმწიფო საბჭო“. თუმცა მაშინ ეს ვერ მოხერხდა. დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ცოტა ხნის შემდეგ იმავე სოციალურ-დემოკრატიული ფრაქციის ინიციატივით ეროვნულ საბჭოს უწოდეს პარლამენტი, რაც მტკივნეულად იქნა განცდილი ეროვნული ძალების მიერ. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „საქართველო“ წერდა: „დღემდე ჩვენს პარლამენტს საკუთარი სახელი ჰქონდა – საქართველოს ეროვნული საბჭო. დღეიდან არაფერი არ ჰქვია“. სახელის შენარჩუნება უცდია ექვთიმე თაყაიშვილს, მაგრამ მისი ცდაც ამაო გამოდგარა, დამარცხებულა „ცოდნაც და ისტორიაც“ [4].

საქართველოს ეროვნულ საბჭოში უმრავლესობას წარმოადგენდა სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია, რომელთა წევრებიც გატაცებულნი იყვნენ „კოსმოპოლიტური“ იდეებით. ამის ერთ-ერთ მაგალითად გამოდგება 1918 წლის 26 მაისის საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა. მასზედ

სიტყვით გამოსულმა ნ. ჟორდანიამ ტრაგიკულ აქტად შეაფასა რუსეთის იმპერიის ნგრევა: „მოქალაქენო! დღეს თქვენ აქ მოწამენი იყავით იშვიათი ისტორიული და ამავე დროს ტრაგიკული აქტის. ამ დარბაზში დღეს მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი, დღესვე, ამავე დარბაზში ეყრება სამირკველი მეორე სახელმწიფოს. ამ ორ სახელმწიფოთა შორის, რომელთაგან ერთი მოკვდა, მეორე კიდევ იბადება, არ არის ინტერესთა წინააღმდეგობა. და თუ პირველი აღსდგა ოდესმე მკვდრეთით, ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ მათ შორის მუდამ იქნება ინტერესთა თანხმობა“ [5. 17].

ფრანგულიდან მომდინარე სიტყვა პარლამენტმა, თანამედროვე მსოფლიოში საკანონმდებლო ორგანოს ზოგადი სახელწოდების მნიშვნელობა შეიძინა, მაგრამ რამდენიმე გამონაკლისის გარდა ამ ორგანოს თავისი სახელი აქვს შერქმეული შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ენაზე. მაგალითად, გერმანიაში – „ბუნდენსტაგი“, აშშ-ში „კონგრესი“, ესპანეთში „გენერალური კორტესები“, საბერძნეთში „დეპუტატთა პალატა“, ჩინეთში „სახალხო დეპუტატთა სრულიად ჩინეთის კრება“, რუმინეთში „დიდი ეროვნული კრება“, ისრაელში „ქნესეთი“, შვეციაში „რიგსტაგი“, რუსეთში „დუმა“ და ა.შ.

ვფიქრობთ, დღეს გვეძლევა შესაძლებლობა გამოვასწოროთ სოციალ-დემოკრატიების მიერ დაშვებული შეცდომა და საქართველოს პარლამენტს შევუცვალოთ სახელწოდება. მით უმეტეს, 1995 წელს, საკონსტიტუციო კომისიის წევრმა, ო. გამყრელიძემ კვლავ გაახმოვანა წინადადება საქართველოს პარლამენტისათვის ეწოდებინათ „სახელმწიფო საბჭო“. ბოლო ხანებში საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოსათვის „საქართველოს ეროვნული კრების“ დარქმევის

წინადადებით გამოვიდა. დემეტრაშვილიც, რომლის აზრით, ამ ორგანოში შევიდოდა რესპუბლიკის საბჭო და სენატი.

კონსტიტუციის ისტორიის მკვლევარები ლაპარაკობენ და მსჯელობენ პირველი კონსტიტუციის ნაკლოვანებებზეც და საგანგებოდ ამახვილებენ ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ დოკუმენტი არ აფიქსირებდა პრეზიდენტის სახით სახელმწიფო მეთაურის ინსტიტუტს, რამაც ამ თანამდებობის პირის უმთავრესი ფუნქციონირების თავმოყრა განაპირობა მთავრობის თავმჯდომარის ხელში, ამასთან მას არ ჰქონდა პოლიტიკური პასუხისმგებლობა, თუმცა, სახელმწიფო ორგანოთა იერარქიაში უმაღლეს საფეხურზე იდგა. ფაქტობრივად ის იყო მთავრობის თავმჯდომარე პრეზიდენტის უფლებამოსილებით.

ამ კონტექსტში საინტერესოდ ჩანს ქვეყნის პირველი კონსტიტუციის შემმუშავებელი კომისიის ზოგიერთი წევრის მოსაზრება საქართველოში პრეზიდენტის ინსტიტუტის საჭიროების შესახებ. ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა დამფუძნებელი კრების წევრთა შორისაც.

პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღებას მკვეთრად დაუპირისპირდნენ სოციალ-ფედერალისტები და ესერები, რომლებიც თვით მთავრობის ფართო უფლებამოსილებაშიც ხედავდნენ დემოკრატიზმის პრინციპების დარღვევას.

პრეზიდენტის მმართველობის მოდელს მხარს არ უჭერდნენ სოციალ-დემოკრატები – დამფუძნებელი კრების უმრავლესობის წარმომადგენლებიც, თუმცა მათი ავტორიტეტული ლიდერის ნოე ჟორდანიას აზრით, საგარეო საფრთხეებისა და შინაგანი წესრიგის ინტერესებიდან გამომდინარე, პრეზიდენტის ფუნქციის შესრულება ფართო უფლებე-

ბით აღჭურვილ მთავრობის თავმჯდომარეს უნდა დაკისრებოდა.

წ. ჟორდანიას კონსტიტუციის ძირითად პრობლემად თავისუფლების, წესრიგისა და მთლიანობის დაცვას მიიჩნევდა და მხარს უჭერდა ისეთ ცენტრალურ მმართველობას, რომელიც სახელმწიფოსა და წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ გადამჭრელ ზომებს მიიღებდა [6].

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია საკმაოდ საინტერესო მოდელია კონსტიტუციისა, რომელშიც გონივრულადაა შეჯერებული მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის გამოცდილება და საერთო-ეროვნული ქართული საწყისები. გერმანიის ყოფილი საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი ჰანს-დიტრიხ გენშერი აღნიშნავდა, რომ 1921 წლის „...კონსტიტუციის ტექსტი ერთ-ერთი პროგრესული იყო ევროპის კონტინენტზე. უკვე მაშინ აღიარებდა იგი ისეთ ღირებულებებს, როგორცაა თავისუფლება, დემოკრატია და სამართლებრივი სახელმწიფო, რომელსაც დღევანდელი ევროპა ეყრდნობა“

სამწუხაროდ, 1992 წლიდან მოყოლებული საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება გაუთავებლად იდგა პრობლემების გადაწყვეტის წინაშე, რომლის ე.წ. მომგვარებლები კონკრეტული პარტიისა და მისი ლიდერის მიმართ უსაზღვრო და უპირობო ნდობას მოითხოვდნენ. ასეთ ვითარებაში არსებითად ერთპარტიული მმართველობა მყარდებოდა, რის გამოც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა მმართველ გუნდს და არა ინსტიტუციებს, რაც ამ უკანასკნელის მნიშვნელობას აკნინებდა და ისინი ვერ ასრულებდნენ მათგანიზებული სისტემის ფუნქციას.

## ლიტერატურა

1. მაცაბერიძე მ. უზენაესი ბატონი ქვეყნისა. როგორი უნდა ყოფილიყო საქართველოს პარლამენტი 1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებელთა აზრით. თბ., 2008.
2. საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21. ბათომი, 1921.
3. საქართველოს კონსტიტუცია: მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21. თბ., სამშობლო, 1990.
4. გაზ. „საქართველო“, X, №187, 1918 .
5. შარაძე გრ. შარაძე გ. ისტორიული რელიკვიების დაბრუნება. თბ., 2001.
6. ჟორდანიას ნ. სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია. ტფ., 1919.
7. გაზეთი „ერთობა“. 20 ივნისი. 1920.



## საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციები

1921 წელს საბჭოთა რუსეთმა საერთაშორისო სამართლის სრული იგნორირებით მოახდინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია და ანექსია. ბოლშევიკების შემოჭრის შედეგად ხელისუფლება ძალდატანებითი გზით გადავიდა ე.წ. „რევოლუციური კომიტეტების“ ანუ რევკომების ხელში. მათ ხელში თავი მოიყარა მთელმა სამოქალაქო და სამხედრო ძალაუფლებამ. საქართველოში რევკომი ჩამოყალიბდა რკპ (ზ) კავშიურის მიერ 1921 წლის 16 თებერვალს. მისი წევრები იყვნენ: ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, შ. ელიავა, ა. გეგეჭკორი, ა. ნაზრედია, შ. კვიციანი. წითელი არმიის შემოსვლასთან ერთად შეიქმნა საგუბერნიო და სამაზრო რევკომები. რევკომის პირველი განკარგულებით ხალხი უნდა ელიარებინა ახალი ხელისუფლება უნდა დამორჩილებოდა მას. 1921 წლის 21 თებერვალს შეიქმნა თბილისის რევკომი [1].

ამ რევოლუციური ორგანოს ძირითადი ამოცანას წარმოადგენდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სტრუქტურების მსხვრევა და ახალი ხელისუფლების ორგანიზაცია. რევკომმა პირველი დეკრეტებით იერიში მიიტანა დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების მიერ შექმნილ სამინისტროებზე და ადგილზე ჩამოაყალიბა სახალხო კომისარიატები და სახალხო კომისარიატთა საბჭო [2].

ითვალისწინებდა რა იმას, რომ თემის, რაიონისა და მაზრის რევკომები იყვნენ უმაღლესი ხელისუფლების ორგანოები მოცემული ტერიტორიის საზღვრებში. ასეთივე უფლებები ჰქონდათ რაიონისა და მაზრის რევკომებსაც. სარაი-

ონო რევკომებს ქმნიდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი. თემის რევკომის წევრებს ნიშნავდა მაზრის რევკომი; მაზრისა და ქალაქის რევკომის წევრებს – შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ხუთი კაცის შემადგენლობით. მაზრის და ქალაქის რევკომი უშუალოდ ემორჩილებოდა საქართველოს რევოლუციურ კომიტეტს, როგორც ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს [3. 93-100].

უმთავრესი ნაბიჯი, რაც ამ უკანონო ორგანომ გადადგა, ეს იყო ის, რომ 1921 წლის 24 მარტს გამოსცა დადგენილება: „საქართველოს დამფუძნებელი კრების დათხოვნის შესახებ“. [3. 88] 1921 წლის 21 აპრილს რევკომმა გამოსცა დეკრეტი: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სარევოლუციო კომიტეტის ხელისუფლების ორგანიზაციის შესახებ“ [4. 174]. ეს იყო, ფაქტობრივად, ძალადობრივი გზით მოსული ხელისუფლების მცდელობა გამოეცა დროებითი საკონსტიტუციო აქტი. მისი ძალით რევკომი გამოცხადდა, როგორც საკანონმდებლო ისე განმკარგულებელ და მაკონტროლებელ დაწესებულებად. იგივე დეკრეტი რევოლუციურ კომიტეტებს ავალებდა სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობის მოწვევას.

1921 წლის 4 მარტს, შეიქმნა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. 1921 წლის 16 დეკემბრის საქართველოსა და აფხაზეთს შორის „ღრმა საერთო ეროვნული კავშირებიდან გამომდინარე“, გაფორმდა ხელშეკრულება საქართველოსა და აფხაზეთს შორის, რომლითაც „ყველა სამხარეო გაერთიანებაში, კერძოდ, ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციაში აფხაზეთის შესვლა შეეძლო საქართველოს მემკვიდრეობით, და არა უშუალოდ“.

1922 წლის 28 თებერვალს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია დაამტკიცა საბჭოების პირველმა ყრილობამ, სადაც წერია, რომ: „საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკაში თავისუფალი თვითგამორკვევის საფუძველზე შედიან, აჭარის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა. უკანასკნელი უკავშირდება საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას – ამ რესპუბლიკათა შორის დადებული განსაკუთრებულ საარჩევნო ხელშეკრულების საფუძველზე“ [5].

კონსტიტუციაში პირდაპირაა ჩაწერილი, რომ დიქტატურის მიზანია ბურჟუაზიული წეს-წყობილებიდან სოციალიზმში გადასვლის განხორციელება. კონსტიტუციით შეზღუდული იქნა საყოველთაო საარჩევნო უფლება. იგი წაერთვა მოქალაქეთა შემდეგ კატეგორიებს:

1. პირებს, რომლებიც იყენებდნენ დაქირავებულ შრომას მოგების მიღების მიზნით;
2. პირებს, რომლებიც ცხოვრობდნენ არასაკადრისი შრომის შემოსავლით;
3. კერძო ვაჭრებს, შუამავლებს და კომერციულ შუამავლებს;
4. ბერ-მონაზვნებსა და რელიგიური კულტის სასულიერო პირებს;
5. ყოფილი პოლიციისა და მენშევიკური მთავრობის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საგანგებო რაზმის მომსახურებასა და აგენტებს.

ქართველი ბოლშევიკების ერთ-ერთი ლიდერი ს. ორჯონიკიძე პირდაპირ ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე აცხადებდა: ძალაუფლებას ჩამოვაშორებთ მთელ არამშრომელ

ელემენტს და მოვუსპობთ მას როგორც აქტიურ ისე პასიურ საარჩევნო უფლებას [6. 239]. ამ სიტყვების დამადასტურებელი იყო ის, რომ 1922 წლის კონსტიტუციაში მხოლოდ და მხოლოდ ფორმალურად იყო აღიარებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები [5].

საბჭოთა რუსეთი სამართლებრივი მემკვიდრე რუსეთის იმპერიისა ცდილობდა, რაც შეიძლება მოკლე ხანში აღედგინა მოდერნიზებული რუსეთის იმპერია საბჭოთა კავშირის სახით. ამისათვის საჭირო იყო ამ ქმედების იდეოლოგიური საბურველში გახვევა. ამ მიზნით ჯერ კიდევ 1921 წლის 23 ივნისს გამოქვეყნდა სკპ(ბ) ცენტრალური და თბილისის კომიტეტის თეზისები; „ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების ფედერაციის საკითხის შესახებ“ [7]. ამიტომაც იყო, რომ 1922 წლის 10 დეკემბერს ქ. ბაქოში, ამიერკავკასიის საბჭოების I ყრილობაზე შეიქმნა ამიერკავკასიის ფედერაციული სახელმწიფო [8. 6]. 1922 წლის 30 დეკემბერს საბჭოების I ყრილობაზე კი საბჭოთა კავშირი. მასში შევიდნენ: რსფსრ, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ და ამიერკავკასიის სფსრ (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი).

1924 წლის 31 იანვარს საბჭოების II სრულიად საკავშირო ყრილობაზე დამტკიცდა სსრ კავშირის კონსტიტუცია. მალევე საქართველოს საბჭოების მე-4 ყრილობამ დაამტკიცა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის ახალი ტექსტი ამიერკავკასიის ფედერაციისა და სსრ კავშირის კონსტიტუციების შესაბამისად შეტანილი ცვლილებებით [9. 43].

კონსტიტუციით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ითვლებოდა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლეს კანონმდებელ, გამგებელ და

კონტროლის გამწევ ორგანოდ. მაშასადამე, იგი იყო საბჭოეთის ყრილობიდან ყრილობამდე პერიოდში საქართველოს სახელმწიფოს უმაღლეს ორგანო. იგი იხილავდა და ამტკიცებდა დეკრეტების პროექტებს და სხვა „დადგენილებათ და განკარგულებათ, რომელნიც შეაქვთ კომიტეტში სახალხო კომისარიატთა საბჭოს, ან ცალკე სახალხო კომისარიატებს და აგრეთვე სცემს დეკრეტებსა და დადგენილებებსათ თავისი ინიციატივითაც“ [10. 8-9]. თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ 1924 წლის საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია ცალსახად საზღვრავდა მოკავშირე რესპუბლიკების ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლეს ორგანოთა დამოკიდებულებას სსრ კავშირის ხელისუფლებისა და მმართველობის უმარლესი ორგანოებისადმი.

აქვე საინტერესოა ერთი მოვლენის ამბავი, სახელდობრ 1921 წლის 21 მაისს რევკომმა გამოაცხადა აფხაზეთის დამოუკიდებლობის დეკლარაცია. 1921 წლის დეკემბერში, როგორც მივუთითეთ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც აფხაზეთი შევიდა საქართველოს შემადგენლობაში.

მაშასადამე, აფხაზეთი ფორმალურად საბჭოთა რესპუბლიკა იყო, მაგრამ ის ავტონომიის სტატუსით სარგებლობდა.

მას შემდეგ, რაც 1924 წლის 31 იანვარს, მიღებულ იქნა, საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია, აუცილებლად ამ კონსტიტუციასთან მიმართებაში უნდა მოსულიყვნენ ყველა დანარჩენი სსრკ-ში შემავალ რესპუბლიკათა კონსტიტუციები. რეალობა ასეთი იყო: აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, განსაკუთრებული ხელშეკრულების ძალით შედიოდა საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის, ხოლო

თავად საქართველო ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მეშვეობით, 1922 წლის 30 დეკემბრიდან სსრკ-ს შემადგენლობაში.

საბჭოთა კავშირის 1924 წლის კონსტიტუციის მე-5 მუხლისა და ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველო ვალდებული იყო თავისი კონსტიტუცია შესაბამისობაში მოეყვანა სსრკ-ს კონსტიტუციასთან. სწორედ ამ მიზნით საქართველოს სსრ მეორე მოწვევის ცაკის მე-3 სესიაზე 1924 წლის 8 ოქტომბერს მოსმენილ იქნა საკითხი: „საქართველოს კონსტიტუციის გადასიჯვის შესახებ“.

1927 წლის 4 აპრილს საქართველოს საბჭოების მე-4 ყრილობამ დაამტკიცა საქართველოს ახალი კონსტიტუცია. იგი შედგებოდა 8 თავისა და 114 მუხლისაგან [10].

ამ კონსტიტუციით დაფიქსირდა რეალური მდგომარეობა, რომლითაც შეიზღუდა საქართველოს სუვერენიტეტი საკავშირო სახელმწიფოს სასარგებლოდ. კერძოდ, ეს გარემოება, გამოიხატებოდა იმაში, რომ შეიცვალა სახელმწიფო ორგანოთა უფლებრივი მდგომარეობა. ამჯერად, უკვე კონსტიტუციით, საქართველოს სახელმწიფო ორგანოთა გამგებლობას აღარ მიეკუთვნებოდა საგარეო, საზღვაო, თავდაცვისა და საგარეო ვაჭრობის საკითხები. კონსტიტუციურ სიახლეთა შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მასზე მე-4 და მე-5 თავების დამატება, რომლებიც შეეხებოდა ავტონომიურ ერთეულებს. საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში ამ კონსტიტუციით შედიოდნენ: „აჭარის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა კი შედის საქართველოს სო-

ციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში მათ შორის დადებული ხელშეკრულების ძალით“ [10. 8].

კონსტიტუციით უცვლელად იყო დატოვებული ხელისუფლების და მმართველობის უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოების სტრუქტურები. კონსტიტუცია ასევე კლასობრივი პრინციპიდან გამომდინარე, არეგულირებდა პიროვნების უფლებრივ მდგომარეობას, საარჩევნო სისტემას, ეროვნულ პოლიტიკას, კონსტიტუციურ ცვლილებათა საკითხს და სხვ.

კონსტიტუციის 73-ე მუხლი ხაზგასმით აცნობდა საქართველოს მოსახლეობას, რომ ქვეყანაში არ იქნებოდა დამოუკიდებელი ქვეყნისათვის დამახასიათებელი კანონები, ყველა ისინი უნდა ყოფილიყო შესაბამისობაში, საკავშირო კანონებთან ან რაც განპირობებული იყო მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს ინტერესებით.

კონსტიტუცია არეგულირებდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და სამხრეთ ოსეთის ოლქის სამართლებრივ სტატუსებს. მეხუთე თავი ეთმობოდა აფხაზეთის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას, სადაც ნათქვამი იყო, რომ „სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მიერ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე გასავრცელებლად გამოცემულ კოდექსებს, დეკრეტებს და დადგენილებებს სავალდებულო ძალა აქვთ აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე“ [10. 36].

აფხაზეთის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ახორცილებდა თავის საქმიანობას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის დირექტივების შესაბამისად.

საქართველოს ცაკი-ს მიერ გამოცემულ კოდექსებს, დეკრეტებს და დადგენილებებს სავალდებულო ძალა ჰქონდა

მინიჭებული აფხაზეთში. იმავდროულად აფხაზეთის სსრ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს უფლება ჰქონდათ „აღნიშნული აქტების გასავითარებლად და შესავსებად“ გამოეცათ საკანონმდებლო აქტები, რომელთაც სავალდებულო ძალა ჰქონდათ აფხაზეთის ტერიტორიაზე.

საქართველოს სსრ ფინანსთა, შრომის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოთა და აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმარლესი საბჭოს ხაზით მიღებული ყველა დადგენილება და განკარგულება სავალდებულო იყო აფხაზეთის სსრ-ში. სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობასა და ცაკ-ს ჰქონდათ უფლება გაეუქმებინათ აფხაზეთის სსრ ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლეს ორგანოთა ყველა ის დადგენილება, რაც ეწინააღმდეგებოდა საქართველოს სსრ კონსტიტუციას.

და, რაც მთავარია, აფხაზეთის სახელმწიფო ბიუჯეტი შედიოდა საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ბიუჯეტში, როგორც ნაწილი და მას ამტკიცებდა საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი [11. 11].

აფხაზეთმა 1925 წელს მიიღო კონსტიტუცია, რომლის შეცვლილი ტექსტი, შეტანილი ცვლილებებისა და შევსებებით დამტკიცდა აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1926 წლის 7 ოქტომბერს [11]. ამ დოკუმენტის მეორე თავის თანახმად, როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, „აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა განსაკუთრებული ხელშეკრულების ძალით შედის საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკაში, ხოლო მისი მეშვეობით, ამიერკავკასიის სოციალისტურ-ფედერაციულ საბჭოთა რესპუბ-



ლიკაში [11. 8]. ამ კონსტიტუციის 22-ე მუხლით – „სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე გასავრცელებლად გამოცემულ კოდექსებს, დეკრეტებს და დადგენილებებს სავალდებულო ძალა აქვს (ჰქონდათ - ავტ.) აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე“ [11. 10].

აფხაზეთის სსრ საბჭოების ყრილობა ირჩევდა რესპუბლიკის ცაკ-ს, რომელიც აარსებდა სახალხო კომისართა საბჭოს შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა, იუსტიციის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, მიწათმოქმედებისა და სოციალური უზრუნველყოფის დარგთა სახალხო კომისარები. მასში შედიოდნენ აგრეთვე საქართველოს სსრ ფინანსთა, შრომის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატების რწმუნებულები გადამწყვეტი ან სათათბირო ხმის უფლებით აფხაზეთის ცაკი-ს დადგენილებით მიხედვით. ზემოთ დასახელებული რწმუნებულები უშუალოდ ემორჩილებოდნენ საქართველოს სსრ შესაბამის სახალხო კომისარიატებს, ხოლო თავის მუშაობის ანგარიშს უდგენდნენ აფხაზეთის ცაკ-ს და სახკომსაბჭოს.

1936 წლის 5 დეკემბერს სსრ კავშირის საბჭოების საგანგებო ყრილობაზე, მიღებულ იქნა სსრკ ახალი კონსტიტუცია. ახალი 1936 წლის სსრკ კონსტიტუციით საქართველოს რესპუბლიკა, როგორც მოკავშირე რესპუბლიკა უშუალოდ შევიდა სსრკ შემდგენლობაში. ასევე მოხდა სომხეთისა და აზერბაიჯანის შემთხვევაშიც. ამ პოლიტიკური-სამართლებრივი ქმედების შედეგად ამიერკავკასიის ფედერაცია გაუქმდა. შესაბამისად 1936 წლის 25 ივნისს საქართველოს ცაკ-

ის პრეზიდენტი საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესამუშავებლად შექმნა კომისია.

1937 წლის 10 თებერვალს საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობამ დაამტკიცა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ 1931 წლის 19 თებერვალს მოხდა საქართველოს სსრ პოლიტიკურ სინამდვილეში უმნიშვნელოვანესი სამართლებრივ-პოლიტიკური ცვლილება. საქართველოს საბჭოების VI ყრილობამ დააკმაყოფილა აფხაზეთის საბჭოების ყრილობის შუამდგომლობა და მიიღო დადგენილება: „იმისდა შესაბამისად, რომ აფხაზეთის მშრომელებმა აფხაზეთის მუშების, გლეხებისა და წითელარმიელების დეპუტატების საბჭოთა ყრილობაზე თავისუფლად გამოთქმული ნება-სურვილით გადაწყვიტეს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში ავტონომიური რესპუბლიკის სახით შესვლა, ადგენს:

1. საქართველოს სსრ კანონის კონსტიტუციის მე-9 მუხლის თანახმად, აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა შევიდეს საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკაში ავტონომიური რესპუბლიკის სახით და მასზე გავრცელებულ იქნეს აღნიშნული ძირითადი კანონის IV თავის მოქმედება.
2. საქართველოს სსრ და აფხაზეთის სსრ შორის ქალაქ თბილისში 1921 წლის 16 დეკემბერს დადებული ხელშეკრულება ძალადაკარგულად ჩაითვალოს“ [12. 195-196].

1937 წლის საქართველოს სსრ კონსტიტუცია 14 თავისა და 162 მუხლისაგან შედგებოდა. ამ კონსტიტუციის მიხედ-

ვით საქართველოში უნდა აშენებულიყო კომუნისტური საზოგადოებისაკენ მიმავალი გარდამავალი ეტაპი.

ახალი კონსტიტუციით, რომელსაც გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუციას ეძახდნენ, აღიარებულ იქნა, რომ სსრ კავშირი არის მუშების და გლეხების სახელმწიფო. მის პოლიტიკურ საფუძვლად კი ცხადდებოდა მშრომელთა დეპუტატის საბჭოები, ხოლო ეკონომიკურის – წარმოების საშუალებებზე სოციალისტური საკუთრება. ახალი კონსტიტუციით, უმაღლეს ხელისუფლებას და ქვეყანაში ერთადერთ საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო. ის ირჩეოდა 4 წლის ვადით, რომელიც იკრიბებოდა სესიებზე. სესიას წელიწადში ორჯერ იწვევდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელიც ირჩეოდა უმაღლესი საბჭოს მიერ შემდეგი შემადგენლობით: საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, პრეზიდიუმის მდივანი და პრეზიდიუმის 13 წევრი. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ანგარიშვალდებული იყო უმაღლესი საბჭოს წინაშე. საქართველოს სსრ უმაღლეს ადმინისტრაციულ-განმკარგულებელი ორგანოს წარმოადგენდა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, რომელსაც ქმნიდა საქართველოს უმაღლესი საბჭო შემდეგი შემადგენლობით: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე; თავმჯდომარის მოადგილეები; საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე; საქართველოს სსრ სახალხო კომისრები. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ანგარიშვალდებული იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს წინაშე, ხოლო სესიათა პერიოდში – უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე. 1937 წლის საქართველოს სსრ

კონსტიტუციით გაუქმდა ადრინდელი კონსტიტუციებით არსებული პოლიტიკური შეზღუდვები, კერძოდ, კონსტიტუციურად, დადგინდა არჩევნების აღიარებული პრინციპები – საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული.

კონსტიტუციით უზრუნველყოფილი ხდებოდა მოქალაქეთა უფლებების და თავისუფლებების მოცულობა: ა) სიტყვის თავისუფლება; ბ) ბეჭდვის თავისუფლება; გ) კრებებისა და მიტინგების თავისუფლება; დ) ქუჩაში მსვლელობათა და დემონსტრაციათა თავისუფლება [13. 34].

ამ კონსტიტუციით ქვეყნის ისტორიაში პირველად განხორციელდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფადარაიონება. კონსტიტუციით საქართველოს სახელმწიფო ენად გამოცხადებული იყო ქართული.

საქართველოს სსრ-ში შედიოდნენ: აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, აჭარის ავტონომიური სოციალისტური რესპუბლიკა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი [13. 11-12].

1937 წლის კონსტიტუცია გახდა საფუძველი იმისა, რომ საბჭოთა იდეოლოგიურ მანქანას განეცხადებინა – „გამარჯვებული სოციალიზმის პირობებში საქართველოს მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, მშრომელი ინტელიგენცია სრულიად ახალ სოციალისტურ ჯგუფებად გარდაიქმნენ და ახალი სოციალისტური გახდა ქართველი ერიც“. რა თქმა უნდა, ეს სავსებით არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. ყოველივე გახვეული იყო იდეოლოგიურ საბურველსა და პრაქტიკულად მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე რეპრესიებში.

1960-იანი წლების შუა ხანებისათვის საბჭოთა კავშირის იდეოლოგიურმა მანქანამ გამოაცხადა, რომ „სსრ კავშირში

სოციალიზმმა სრულიად და საბოლოოდ გაიმარჯვა და უკვე საბოლოოდ მოხდა პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს გადაზრდა საერთო-სახალხო სახელმწიფოში“. ბუნებრივია, ამ შეცვლილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პირობების გამო დღის წესრიგში დადგა ახალი კონსტიტუციის შემუშავებისა და მის მიღების საკითხი. 1977 წლის 1 ივლისს საქართველოს უმაღლესი საბჭოს VI სესიამ მიიღო დადგენილება „საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებლად კომისიის შექმნის შესახებ“. კომისიას თავმჯდომარეობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ-ის პირველი მდივანი ე. შევარდნაძე, კომისიის შემადგენლობა განისაზღვრა 39 წევრით.

კომისიამ წარმოადგინა კონსტიტუციის პროექტი, რომლის საფუძველთა საფუძველი, რა თქმა უნდა, იყო სსრკ 1977 წლის 7 ოქტომბრის კონსტიტუცია [14].

პროექტი კომისიის გადაწყვეტილებით წარედგინა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, რომელმაც მოიწონა პროექტი და გამოაქვეყნა პრესაში. საყოველთაოდ ცნობილია ის ვნებათაღელვა, რომელიც ამ კონსტიტუციის განხილვისა და მიღების დროს მიმდინარეობდა საქართველოში, რომელიც უპირველესად შეეხებოდა ქართული ენის სახელმწიფო სტატუსს. რაც საბოლოოდ ქართველი ხალხის მოთხოვნათა შესაბამისად დასრულდა.

1978 წლის 15 აპრილს, საქართველოს სსრ IX მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე VIII სესიამ დაამტკიცა კონსტიტუციის ძირითადი ტექსტი. იგი შეეხებოდა პრეამბულის, თვრამეტი კარის, ოცდაორი თავისა და 185 მუხლისაგან. პრეამბულაში დიდი ამბით იყო თქმული, რომ: „ხელმძღვანელობს რა კომუნიზმის მაღალი იდეალებით და სსრ

კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) შესაბამისად, რომელმაც დაამკვიდრა სსრ კავშირის საზოგადოებრივი წეს-წყობილებისა და პოლიტიკის საფუძვლები, დაადგინა მოქალაქეთა უფლებანი, თავისუფლებანი და მოვალეობანი, პრინციპები და მიზნები, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხალხი აცხადებს ამ კონსტიტუციას“ [14]. ამ კონსტიტუციის თანახმად, საქართველო სახელმწიფო წყობილების ფორმის მიხედვით კვლავ სოციალისტურ საერთო-სახალხო სახელმწიფოს წარმოადგენდა, სადაც მთელი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნოდა. თავად საქართველოს სახელმწიფო კონსტიტუციის შემქმნელების მიხედვით, გამოხატავდა მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის, ყველა ერისა და ეროვნების ნებასა და ინტერესებს [14. 4].

კონსტიტუციამ კერძო საკუთრების გვერდის ავლით გამოაცხადა საკუთრების ფორმათა მრავალფეროვნება. რესპუბლიკაში აღიარებული იქნა საკუთრების შემდეგი ფორმები კოოპერაციული, საზოგადოებრივი, ორგანიზაციების, ინდივიდუალური და შერეული საკუთრება.

კონსტიტუციის 1-ელი თავის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციისა და მისი საქმიანობის საფუძვლად კვლავ დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი იქნა აღიარებული. გართულდა სახელმწიფო ორგანოთა წყობის სისტემა, რომელსაც კონსტიტუციაში ოთხი კარი ჰქონდა დათმობილი. კონსტიტუციით, სახალხო დეპუტატთა საბჭოები, უმაღლესი საბჭოდან სასოფლო საბჭოს ჩათვლით ქმნიდნენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა ერთიან სისტემას, ქვეყნის პოლიტიკურ საფუძველს. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო უნდა არჩეულიყო 5 წლის ვადით, ხოლო ადგილობრივი საბჭოები – ორწელიწადნახევრით. დეპუ-

ტატთა არჩევნები ეწყობოდა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლებების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნებში აქტიური საარჩევნო უფლებით სარგებლობდა ყველა მოქალაქე 18 წლის ასაკიდან, რომელიც აკმაყოფილებდა საარჩევნო კანონის მოთხოვნებს, ხოლო პასიურ საარჩევნო უფლებას პირი იძენდა 21 წლის ასაკიდან. საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში უნდა ყოფილიყო არჩეული 300 დეპუტატი. საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიებს შორის პერიოდში, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს წარმოადგენდა უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლეს აღმასრულებელ-განმკარგულებელ ორგანოს წარმოადგენდა საქართველოს მინისტრთა საბჭო ანუ მთავრობა, მის შემადგენლობაში შედიოდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მოადგილეები, საქართველოს სსრ მინისტრები, საქართველოს სსრ სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეები. მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში თანამდებობრივად ასევე შედიოდნენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეები.

საქართველოს სსრ მთავრობა ანგარიშვალდებული იყო საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს წინაშე.

საქართველოს სსრ 1978 წლის კონსტიტუციით ფორმალურად, წინა კონსტიტუციებთან შედარებით, კიდევ უფრო გაფართოვდა მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები.

მსოფლიოში მიმდინარე პროცესების კვალობაზე ამ კონსტიტუციაში მრავლადაა ნორმა, რომლის რეალურად

განხორციელება დემოკრატიული საზოგადოებისათვის იქნებოდა შესაფერისი. 1978 წლის კონსტიტუციაში ინტელიგენციის დამატების ხარჯზე ფართოვდება სახელმწიფოს სოციალური ბაზა და რაც უფრო საგულისხმო და მნიშვნელოვანია, როგორც ხელისუფლების სუბიექტი, პირველად ჩნდება ტერმინი „ხალხი“: „საქართველოს რესპუბლიკაში მთელი ძალაუფლება ეკუთვნის ხალხს“ [14. 4].

1978 წლის კონსტიტუციაზე ვიტყვით იმას, რომ ამ კონსტიტუციაში ჩაწერილ დემოკრატიული ღირებულებებისა, მის დემოკრატიულობას ეჭვქვეშ აყენებდა იმავე კონსტიტუციის მე-6 მუხლი, რომელიც, კალკა იყო საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის იგივე მუხლის. რომლის თანახმადაც: „საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა, მისი პოლიტიკური სისტემის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ბირთვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. საბჭოთა კავშირის კომუნისტრი პარტია ხალხისთვის არსებობს და ხალხს ემსახურება.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით შეიარაღებული კომუნისტური პარტია განსაზღვრავს საზოგადოების განვითარების გენერალურ პერსპექტივას, სსრ კავშირის სამინაო და საგარეო პოლიტიკის გეზს, ხელმძღვანელობს საბჭოთა ხალხის დიად აღმშენებლობით საქმიანობას, გეგმაზომიერ, მეცნიერულად დასაბუთებულ ხასიათს ანიჭებს მის ბრძოლას კომუნიზმის გამარჯვებისათვის“ [14. 5]. ახალი კონსტიტუციით, როგორც მაშინ წერდნენ შენარჩუნებული იყო საბჭოთა სახელმწიფო აპარატის ლენინური პრინციპი [15. 69]. ეს იყო დამადასტურებელი იმისა, რომ ქვეყანაში მძინვარებდა ერთპარტიული მმართველობა და ტოტალიტარული სახელმწიფო.



ამრიგად, საქართველოს სსრ ყველა კონსტიტუცია მიუხედავად გზადაგზა მათი დემოკრატიულობის მხრივ კოსმეტიკური სახეცვლილებებისა მაინც ერთგაროვან სახეს წარმოადგენდა და იგი რჩებოდა მმართველი კომუნისტური პარტიის ინტერესების და არა ხალხის ინტერესების გამომხატველი.

### ლიტერატურა

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 6, თბ., 1972.
2. გაზ. „კომუნისტი“, 15 მარტი 1921 წ.
3. Революционные комитеты Грузии в борьбе за установление и упрочение Советской власти (Февраль 1921 г. – Март 1922). Сб. документов и материалов. Составитель И. Д. Ахалая. Сух. 1963.
4. ერემოვი გრ. საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის განვითარების ეტაპები. თბ., 1960.
5. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის კონსტიტუცია. ტფ., 1922.
6. საქართველოს სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავისათვის. თბ., 1941.
7. გაზ. „კომუნისტი“ 23 ნოემბერი 1921.
8. Первый Закавказский съезд Советов. (Стенгр. отчет) Тиф., 1923.
9. სრულიად საქართველოს საბჭოთა მეოთხე ყრილობა, თბ., 1927.
10. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), ტფ., 1927.

11. აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი კანონი (კონსტიტუცია). სოხუმი 1926.
12. მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული. 1931.
13. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), თბ., 1937.
14. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი). თბ., 1978.
15. ერემოვი გრ. საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის განვითარების ახალი ეტაპი. თბ., 1980.

## საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და საკონსტიტუციო ცვლილებები

მართალია, ქართული კონსტიტუციონალიზმის ისტორია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღებით დაიწყო, მაგრამ იგი ქალაქში დაარჩა, რაც 70 წელზე მეტ ხანს გაგრძელდა.

1921 წლის 21 თებერვალს, თბილისის დაცემამდე ოთხი დღით ადრე, მიღებული კონსტიტუცია ერთგვარი გზავნილი იყო შთამომავლობისათვის და, მიუხედავად იმისა, რომ ის 1992 წლის მარტში აღადგინა სამხედრო გადატრიალებით მოსულმა ხელისუფლებამ, მისი ფუნქციონირება არც დაწყებულია და ქვეყანაში მოქმედებდა 1978 წლის კონსტიტუციის ცვლილებების ზ. გამსახურდიასეული ვარიანტი, ხოლო მოგვიანებით – საქართველოს კანონი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ და ე. შევარდნაძის ხელისუფლების ბრძანებები, დადგენილებები და სხვადასხვა ნორმატიული აქტები.

უსამართლობა იქნებოდა გვეთქვა, რომ საბჭოური პერიოდი საკონსტიტუციო შემოქმედების თვალსაზრისით უნაყოფო იყო. მან ოთხი (1922, 1927, 1937, 1978 წწ.) [1; 2; 3; 4;] კონსტიტუცია მოგვცა, რომლებიც საბჭოთა ხალხის ერთობლიობაზე იყო გაანგარიშებული და ყველა შემთხვევაში საბჭოეთის კონსტიტუციების ქართულად რედაქტირებულ ვარიანტს წარმოადგენდა.

აქვე, ამ კონტექსტში არ შეიძლება დავივიწყოთ 1978 წელს მიღებული კონსტიტუცია, რომლის სივრცეში გახდა შესაძლებელი მრავალპარტიული არჩევნების ჩატარება, კომუნისტური მმართველობის დასრულება და ხელისუფლე-

ბის სათავეში ეროვნული ძალების მოსვლა. სწორედ ამ კონსტიტუციაში შეიტანა ეროვნულმა ხელისუფლებამ თვალსაჩინო შესწორებები და დამატებები, გამოაცხადა გარდამავალი პერიოდი და ამ დოკუმენტს, ახალი კონსტიტუციის შემუშავებამდე, მიენიჭა საქართველოს რესპუბლიკის ძირითადი კანონის სტატუსი [5].

არსებობის უფლება აქვს მოსაზრებას, რომ საბჭოთა პერიოდის სოციალისტური რესპუბლიკა საქართველოს სახელმწიფო ისტორიის შემადგენელი ნაწილია და ქართული სახელმწიფოებრიობა, მისი სამართლებრივი მენტალობა და კულტურა ამ წყვეტის აღდგენის გარეშე შეუძლებელია (გ. ჩორგოლაშვილი) [6].

ხელისუფლებაში მოსულმა ეროვნულმა ძალამ 1990 წლის 14 ნოემბერს შეუცვალა სახელი საქართველოს სსრ-ს და ეწოდა საქართველოს რესპუბლიკა, შეიცვალა დროშა, ჰიმნი, გერბი [7] მიღებული იქნა „კანონი სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ“, რომლითაც შეჩერებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ სსრ კავშირის კანონის მოქმედება [8. 421]. უზენაესი საბჭოს პირველსავე სხდომაზე შეტანილი იქნა ცვლილებები საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში).

რაც მთავარია, მიღებულ იქნა „კანონი საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ, რომლის მიხედვითაც უნდა მომზადებულიყო საქართველოს სახელმწიფოებრივი აღგენის საფუძვლები. ამ მიზნით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ დასაშვებად მიიჩნია, რომ ახალი კონსტიტუციის შემუშავებამდე საქართველოს კონსტიტუცია სათანადო ცვლილებებითა და

დამატებებით იმოქმედებდა გარდამავალი პერიოდის მო-  
თხოვნათა შესაბამისად, როგორც საქართველოს რესპუბლი-  
კის კანონი. კონსტიტუციის დასახელება და ტექსტში სიტყ-  
ვები „საქართველოს სს რესპუბლიკა“ შეიცვალა სიტყვებით  
საქართველო. ცალკეული მუხლებიდან ამოღებული იქნა  
სიტყვა სოციალისტური და იგი შეცვალა სიტყვა „სახელმ-  
წიფომ“. ამოღებულ იქნა სიტყვები: „საბჭოთა“, „სსრ კავშირის  
კონსტიტუცია“, „კომუნისტური მშენებლობის მიზნების შე-  
საბამისად“ და ა.შ. [5. 418].

ეროვნული ხელისუფლების მიერ მიღებული კანონი სა-  
ქართველოს რესპუბლიკას აღიარებდა, საქართველოს დე-  
მოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრეს და  
იმავედროულად ძალით შეეყვანილს სსრკ-ს შემადგენლობაში.  
აქედან გამომდინარე, „საქართველოს რესპუბლიკა მხოლოდ  
გარდამავალი პერიოდის განმავლობაში იყო იძულებული  
უზრუნველყო სსრ კავშირისთვის მისი სახელმწიფო ხელი-  
სუფლებისა და მმართველობის ორგანოების სახით უფლებე-  
ბი, რომლებიც განსაზღვრული იყო სსრ კავშირის კონსტი-  
ტუციის 73-ე მუხლით. გარდა ამ მუხლის მე-3, მე-4 და მე-11  
პუნქტებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებისა.

ამრიგად, ზემოთ აღნიშნულ ფარგლებს გარეთ საქართ-  
ველოს რესპუბლიკა დამოუკიდებლად ახორციელებდა სა-  
ხელმწიფო ხელისუფლებას თავის ტერიტორიაზე“ [8. 419].

ეროვნული ძალების ხელმძღვანელები მიიჩნევდნენ,  
რომ დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე მნიშვნელოვა-  
ნი, მაგრამ მხოლოდ ერთი ნაბიჯი გადაიდგა, ამიტომ იწყე-  
ბოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი  
ეტაპი, რომლის თავისებურება ის იყო, რომ სახელმწიფოებ-  
რივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას ეროვნული პარ-

ლამენტი უნდა ჩასდგომოდა სათავეში. ზვიად გამსახურდიას აზრით, პარლამენტი იქნებოდა არა მხოლოდ უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლება, არამედ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელი და კოორდინატორი და, ამავე დროს, ეროვნული დაუმორჩილებლობის ძირითადი სამართლებრივი ინსტიტუტიც.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გარდამავალი პერიოდის კონცეფცია ეყრდნობოდა რა არსებულ კონსტიტუციას, მოხერხებულად ესადაგებოდა იმჟამინდელ პოლიტიკურ ვითარებას, ითვალისწინებდა ფუნდამენტურ ცვლილებებს და დამატებებს, და რაც მთავარია ხელ-ფეხს არ უხსნიდა ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ სეპარატისტულად განწყობილ ძალებს.

ხელისუფლებაში არჩევნების გზით მოსული ეროვნული ხელისუფლება კარგად გრძნობდა არსებული ვითარების სიმძიმეს ამიტომაც მის ლიდერს მიაჩნდა, რომ ცვლილებები უნდა განხორციელებულიყო თანდათანობით.

კონსტიტუციური რეფორმირების საკითხს ახლო მომავლის აუცილებლობად განიხილავდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია. იგი აღნიშნავდა: „პირველი და უმთავრესი, რაც ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, ეს არის კონსტიტუციური რეფორმის საკითხი, გარდამავალ პერიოდში, გარდამავალი პერიოდის დროებითი ძირითადი კანონის შექმნა არსებულ კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საფუძველზე“ [8. 402],

მოგვიანებით, სამხედრო საბჭოს მიერ, 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენამ შექმნა საკონსტიტუციო ვაკუუმი. მოიშალა ტერიტორიული მთლიანობის დამცავი სამართლებრი-

ვი მექანიზმი, რითაც აფხაზეთში უმაღვე ისარგებლეს სეპარატისტულმა ძალებმა.

ამასთანავე, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე დამოუკიდებლობის დეკლარირება მოიწოდებოდა მოლაპარაკებად საბჭოთა კავშირიდან სამართლებრივი გზით გამოსაყოფად. ნგრევის გარეშე საბჭოეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური ორგანიზმიდან უნდა დაწყებულიყო საქართველოს თანდათანობითი გამოთავისუფლების მშვიდობიანი პროცესი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ აღიდგინა XX საუკუნის დასაწყისში დაკარგული სახელმწიფო სუვერენიტეტი. 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმით მოსახლეობამ ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. რეფერენდუმის მიხედვით საქართველომ 1991 წლის 9 აპრილს მიიღო დამოუკიდებლობის აქტი, რითაც ქვეყანამ საჯაროდ გამოაცხადა, რომ საქართველოში დაიწყო სუვერენული, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა.

1978 წლის კონსტიტუციამ ძირეული ცვლილებები განიცადა ეროვნული ხელის-უფლების პირობებში, რამაც სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მნიშვნელოვანი ცვლილებებიც გამოიწვია. ფაქტობრივად, მივიღეთ სრულიად ახალი ფორმის კონსტიტუცია, რომელიც სავსებით განსხვავდებოდა ყველა წინამორბედი საბჭოური პერიოდის კონსტიტუციისაგან.

1991 წლის 14 აპრილს მიიღებულ იქნა კანონი „საქართველოს თანამდებობის დაწესებისა და ამასთან დაკავშირებით, საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ [8]. ამ კანონის საფუძველზე 18

აპრილს მიიღეს კანონი „საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“ [9]. ამით კი საქართველოს ისტორიაში პირველად შემოიღეს პრეზიდენტის ინსტიტუტი და პრემიერ-მინისტრის თანამდებობა. იმავე წლის 26 მაისს, ქართველმა ხალხმა არჩევნების შედეგად რესპუბლიკის პრეზიდენტად ზვიად გამსახურდია აირჩია. პრეზიდენტი წარმოადგენდა სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურს, იგი ფლობდა ყველა იმ კომპეტენციას, რაც საჭირო იყო საპრეზიდენტო რესპუბლიკისათვის: ახორციელებდა საშინაო და საგარეო პოლიტიკას; ქმნიდა მინისტრთა კაბინეტს, უზენაეს საბჭოსთან შეთანხმებით გამოსცემდა ბრძანებებს და განკარგულებებს; ხელს აწერდა კანონებს; აღჭურვილი იყო ვეტოს უფლებით.

კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს მინისტრთა კაბინეტი, საქართველოს უმაღლეს აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოს წარმოადგენდა და ექვემდებარებოდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს. მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში შედიოდა: რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი, მისი მოადგილეები და მინისტრები. პრემიერ-მინისტრს თანამდებობაზე ნიშნავდა და ათავისუფლებდა საქართველოს პრეზიდენტი, უზენაესი საბჭოს ანუ პარლამენტის მხარდაჭერით. პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილებას იხსნიდა ახლად არჩეული პრეზიდენტის წინაშე, მისი უფლებამოსილების ვადა, სწორედ პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადით განისაზღვრებოდა. პრემიერ-მინისტრი გამოსცემდა ბრძანებებსა და განკარგულებებს, პრეზიდენტის ბრძანებებისა და განკარგულებების სწრაფი შესრულებისათვის.

ძირითადი კანონით მინისტრთა კაბინეტის უნდობლობის გამოცხადების ანუ ვადამდე ადრე გადადგომის საკითხი,



ორი, სრულიად ახალი ფორმით განისაზღვრა. კერძოდ, ეს წყდებოდა პრემიერ-მინისტრისა და მინისტრთა კაბინეტის ან კიდევ, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ინიციატივის საფუძველზე.

პირველ შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის ახლად შექმნილი მინისტრთა კაბინეტი განსახილველად წარუდგენდა მომავალი საქმიანობის პროგრამას და იმავედროულად სვამდა მისი სანდოობის საკითხს.

მეორე შემთხვევაში, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ინიციატივით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის, თუ მისი ცალკეული წევრისათვის უნდობლობის გამოცხადებაზე მხარი უნდა დაეჭირა უზენაესი საბჭოს წევრთა საერთო რიცხვის ორ მესამედს მაინც, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, მინისტრთა კაბინეტის ნდობის საკითხი უნდა გადაეწყვიტა უზენაესი საბჭოს წევრთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტს. უზენაესი საბჭოს მიერ უნდობლობის გამოცხადების ან ნდობაზე უარის თქმის შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის რომელიმე წევრი, ეს შეიძლება ყოფილიყო თავად პრემიერ-მინისტრიც, უნდა გადამდგარიყო დაკავებული თანამდებობიდან.

კონსტიტუციაში შეინიშნებოდა ერთი სიახლეც, რომელიც ეხებოდა უზენაესი საბჭოს დათხოვნის მექანიზმის არსებობას, მას ახორციელებდა, თავის მხრივ, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრთან და უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

31 მარტის შედეგებმა ცხადყო, რომ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა დამოუკიდებლობის აღდგენას და 1918 წლის 26 მაისის და-

მოუკიდებლობის აქტის საფუძველზე დღევანდელი ქართული სახელმწიფო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრედ აქცია.

რეფერენდუმს, როგორც იურიდიულ და პოლიტიკურ აქტს, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის გზაზე.

ცხადია, ეროვნული ხელისუფლება ისტორიული და სამართლებრივი თვალსაზრისით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა 1921 წლის კონსტიტუციას, მაგრამ შვიდი ათეული წლის შემდეგ მისი უცვლელი სახით მიღება შეუძლებელი იყო. ზ. გამსახურდია ხედავდა იმ სირთულეებს, რაც შეეძლო გამოეწვია 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენას. ამიტომაც მისი თქმით: „დამოუკიდებელი საქართველოს სოციალურ-დემოკრატიული ხელისუფლების მიერ შედგენილი კონსტიტუციის აღდგენა და მისი მოქმედების განახლება ვერ მიიღებს სასურველ ნაყოფს, ვინაიდან გამწვანდება მისი მისადაგება თანამედროვე პოლიტიკური ვითარებისადმი. გარდა ამისა, იგი არ შეიცავს იმპერიული კონსტიტუციისაგან დამცავ იურიდიულ მექანიზმს, როგორც აქვს დღესდღეობით არსებულ კონსტიტუციას მისი 77-ე მუხლის სახით“ [8. 404].

77-ე მუხლის არსი კი შემდეგში მდგომარეობდა: „საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო აჩერებს სსრ კავშირის კანონებისა და სსრ კავშირის კანონქვემდებარე აქტების მოქმედებას საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, თუ ცნობს, რომ ისინი არ შეესაბამება რესპუბლიკის ინტერესებს. ამასთან წარუდგენს წინადადებებს სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტსა და შესაბამისი კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მოყვანის მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა, ეს აქტები არ მოქმე-

დებენ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე“ [10]. ამ მუხლში ეროვნული ძალებისა და ფართო საზოგადოებრიობის ზეწოლის მეშვეობით 1989 წლის 18 ნოემბერს მოხდა ცვლილებები. რის შემდეგაც ის შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკისა და სსრ კავშირის კანონები და კანონქვემდებარე აქტები. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აჩერებს სსრ კავშირის კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მოქმედებას საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, თუ ისინი ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კანონებსა და ინტერესებს.

საქართველოს რესპუბლიკის კანონისაგან სსრ კავშირის კანონის განსხვავების შემთხვევაში „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის კანონი“ [5. 28-29]. ხელისუფლებამ იუველური სიზუსტით გათვალა მოსალოდნელი მოვლენები და უცვლელად დატოვა კონსტიტუციის 78-ე მუხლი, რომლის თანახმადაც „სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის სუვერენულ უფლებებს იცავ(და) სსრ კავშირი“ [5. 29]. ამით ეროვნულმა ხელისუფლებამ კრემლს აგრესიისათვის სამართლებრივი საფუძველი გამოაცალა.

ამრიგად, თუ მხოლოდ ქვეყნის სახელისუფლებო სტრუქტურულ სქემას გავითვალისწინებთ საქართველოში ეროვნული ხელისუფლების საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად ყალიბდებოდა საპრეზიდენტო-საპარლამენტო მმართველობის შერეული მოდელი [11. 142].

ამრიგად, საქართველოს ეროვნული ხელისუფლება მიუხედავდ თავისი გამოუცდელობისა მომავალზე გათვლილი, პოლიტიკურ-სამართლებრივი სვლებით ამზადებდა ნია-

დაგს საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შესაბამისად სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პოლიტიკურ-სამართლებრივი დეკლარირებისათვის. ამას ადასტურებს 1990 წლის 14 ნოემბრის უზენასი საბჭოს სხდომაზე ზ. გამსახურდიას გამოსვლა: „რამდენადაც ჩვენ ვიბრძვით ადამიანის უფლებათა დაცვისათვის, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის, ჩვენი სახელმწიფო წყობილება უნდა ემყარებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს, რათა ქმედითი ღონისძიებანი განხორციელდეს მოქალაქეთა უფლებრივი გარანტიების დასამკვიდრებლად“ [5. 407].

თუმცა, სამხედრო გადატრიალების გზით ხელისუფლების სათავეში მოსული, არალეგიტიმური სამხედრო საბჭო მიიჩნევდა, რომ კანონიერი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ 1921 წლის კონსტიტუციის საფუძველზე შექმნილი ხელისუფლება. მათთვის 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული უზენაესი საბჭო არ წარმოადგენდა ლეგიტიმურ ორგანოს, რომელიც ცვლილებებზეტანილ, მაგრამ წარმოშობით მაინც საბჭოურ კონსტიტუციას ეყრდნობოდა, არ წარმოადგენდა ლეგიტიმურ ხელისუფლებას და ამდენად, მისი დამხობა, კანონიერების თვალსაზრისით, დიდ ცოდვას არ წარმოადგენდა (ა. ბაქრაძე).

### ლიტერატურა

1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის კონსტიტუცია. ტფ., 1922.
2. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), ტფ., 1927.

3. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), თბ., 1937.
4. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი). თბ., 1978.
5. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი) კანონებით, შეტანილი ცვლილებებით და დამატებებით. თბ., 1991 წლის მარტი.
6. ჩორგოლაშვილი გ. სინანულის გადასახედი. თბ., 2009.
7. გაზ.: „ახალი საქართველო“. 1990, 15 ნოემბერი.
8. საქართველოს უახლესი ისტორიის დოკუმენტური მასალები (1988-1990, მასალები მოიძიეს ე. გვენეტაძემ და ზ. კალანდიაძემ). ტ. 2. თბ., 2011.
9. გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 19 აპრილი. 1991.
10. საქართველოს სსრ კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), თბ., 1990.
11. მელქაძე ო. ქართული კონსტიტუციონალიზმის თანამედროვე პრობლემები. წიგნში: „კონსტიტუცია და ქართული სამართლის პრობლემები. ეძღვნება პროფ. გ. ინწკირველის დაბადები 75-ე წლისთავს“. თბ. 2002.

## საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია

1991-1992 წწ. დეკემბერ-იანვარში, სახელმწიფო გადატრიალების გამო, საქართველოს რესპუბლიკის გარდამავალი პერიოდის კონსტიტუციის განხორციელება ვერ მოხერხდა. საქართველოში გამწვავდა პოლიტიკური ვითარება, დასრულდა ზ. გამსახურდიას საპრეზიდენტო მმართველობის პერიოდი, რასაც მოჰყვა პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტის გაუქმებაც. არსებობა შეწყვიტა ქვეყნის აღმასრულებელმა ხელისუფლებამ, სასამართლომ და საკანონმდებლო ხელისუფლებამ. სათავეში მოვიდა ახალი ძალა, რომელმაც 1992 წლის 6 იანვარს შექმნა დროებითი სამხედრო მმართველობა სამხედრო საბჭოსა და დროებითი მთავრობის სახით.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში იმ პერიოდში მიმინვარებდა ტერორი და სდევნიდნენ პოლიტიკურ ოპონენტებს საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭომ მიიღო დადგენილება: „საქართველოს რესპუბლიკაში კანონმდებლობის მოქმედების შესახებ“. მისი მიხედვით ამ დროს „მოქმედი კანონმდებლობის საქართველოს კონსტიტუციის პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანამდე საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებდა არსებული კანონმდებლობა. გარდა მისი იმ ნაწილებისა, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის პრინციპებს. დადგენილება ავალეზდა საქართველოს რესპუბლიკის დროებით მთავრობას, მოქმედი კანონმდებლობა შეესაბამებინა საქართველოს კონსტიტუციის პრინციპებისათვის. დადგენილებას ხელს აწერდნენ სამხედრო საბჭოს სახელით: თენგიზ კიტოვანი, ჯაბა იოსელიანი. ქ. თბილისი, 24 თებერვალი.

1992 წ.“ [1]. ანუ სამხედრო საბჭოსათვის კანონი არ არსებობდა.

1992 წლის 21 თებერვალს, საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭომ გამოსცა დეკლარაცია, რომლითაც აღდგენილ იქნა 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია. ეს იყო სრული გაუგებრობა და მარაზმი. სავსებით სწორად აღნიშნავენ ა. დემეტრაშვილი და ი. კობახიძე, რომ: „მიუხედავად იმისა, რომ 1921 წლის კონსტიტუცია თავისი შინაარსის მიხედვით სერიოზულ იურიდიულ დოკუმენტს წარმოადგენდა, იგი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი განვითარების მოცემულ ეტაპზე არსებული სინამდვილისათვის უკვე შეუსაბამო ნორმატიული აქტი იყო, რაც აშკარად გამოძღვანდა აღნიშნულ პერიოდში“. ამ პოლიტიკურად სავსებით გაუაზრებელმა ქცევამ ბიძგი მისცა აფხაზურ ეთნოკრატიას ე.წ.გამოცხადებინათ ე.წ. 1925 წლის აფხაზეთის კონსტიტუციის აღდგენა და თავდაპირველად გაეჩაღებინათ „სამართლებრივი“ ომი თბილისთან.

სამხედრო-სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ასეთ უმძიმეს, ფაქტობრივად, გაურკვეველ სამართლებრივ სივრცეში აღმოჩნდა საქართველო.

მალე სამხედრო საბჭო სახელმწიფო საბჭოდ გადაკეთდა, რომელმაც იტვირთა არა მარტო ადმინისტრაციული, არამედ კანონშემოქმედი ორგანოს ფუნქციაც.

სახელმწიფო საბჭოს წევრებს კარგად ესმოდათ, რომ ეს ორგანო არ იყო კანონიერი ხელისუფლება და გამორიცხული იყო საერთაშორისო სამართლის სუბიექტად ასეთი ხელისუფლებისა და ქვეყნის აღიარება. ამიტომ დღის წესრიგში დადგა ლეგიტიმური, დემოკრატიული ხელისუფლების არ-

ჩვენების ჩატარება საერთაშორისო დამკვირვებლების თანდასწრებით.

სახელმწიფო საბჭო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო იყო საქართველოში, მაგრამ იმთავითვე გათვალისწინებული იქნა, როგორც დროებითი ხასიათის ორგანო. მისი შემადგენლობა განისაზღვრა საქართველოს რესპუბლიკის დროებით მთავრობასთან არსებული პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს წევრების, საზოგადოებრიობის, ავტონომიური რესპუბლიკების, უმცირესობათა წარმომადგენლობის მონაწილეობით. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ თავის პირველივე (1992 წლის 10 მარტი) სხდომაზე დაამტკიცა სახელმწიფოს საბჭოს თავმჯდომარე, მისი პირველი მოადგილე და სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმი.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ უცვლელად დატოვა დროებითი მთავრობა, რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი, ხოლო 1992 წლის 21 მაისს დაამტკიცა „საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების დებულება“, რომლის შესაბამისად არჩეულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი.

მარტის თვეში საქართველოში ჩამოსულმა ე. შევარდნაძემ სამხედრო საბჭო გადააკეთა სახელმწიფო საბჭოდ, რომელშიც ყოველგვარი კანონიერი სამართლებრივი სტატუსის გარეშე გაერთიანდნენ ცალკეულ პოლიტიკურ პარტიათა და საზოგადოებრივ მოძრაობათა წარმომადგენლები. ქვეყანაში მძვინვარებდა სამოქალაქო დაპირისპირება და ანარქია, რომელსაც დაემატა 1992 წლის აგვისტოში დაწყებული აფხაზეთის კონფლიქტი, ასეთ ვითარებაში ხელისუფლებამ მოახერხა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს



პალამენტის არჩევნების ჩატარება, ასევე შემოიღეს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობა.

ჩატარებული არჩევნების შემდეგ პარლამენტი გახდა მრავალპარტიული, ხოლო სახელმწიფოს მეთაურად არჩეულ იქნა ე. შევარდნაძე. ახლა უკვე საჭირო იყო ხელისუფლების ამოვესო ის სამართლებრივი ვაკუუმი, რომელშიც ქვეყანა იმყოფებოდა. ამ მიზნით საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“. ეს კანონი აღმოჩნდა ის საფუძველი, რომელსაც დაყრდნო კონსტიტუციის გარეშე დარჩენილი ქვეყანა. ამ კანონს მოუწია ფაქტობრივად ქვეყნის ძირითადი კანონის მაგივრობა. თუმცა იგი ვერ შეასრულებდა და არც შეუსრულებია ჭეშმარიტი კონსტიტუციის ფუნქცია, ვინაიდან მასში არსებითად არაფერი არ იყო ნათქვამი კლასიკური კონსტიტუციის ისეთ ნაწილებზე, როგორც იყო ძირითადი უფლებები და სასამართლო ხელისუფლება.

ამ გარემოებამ საფუძველი მისცა ოპოზიციური პოლიტიკური ძალების ნაწილს არაკონსტიტუციურად მიეჩნია არსებული ხელისუფლება.

ფაქტობრივად, ეს იყო ქვეყნის საკონსტიტუციო არეულობის დასასაწყისი. საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელი, იმავდროულად ხდებოდა სახელმწიფოს მეთაური – აღმასრულებელი ხელისუფლების მეპატრონე, რომელსაც უფლება ეძლეოდა მხარეებში თავისი წარმომადგენლები ჰყოლოდა. ე. შევარდნაძეს რწმუნებულის ინსტიტუტის შემოღება დროებით ღონისძიებად მიაჩნდა და ირწმუნებოდა, რომ ის არ იქცეოდა სამხარეო მოწყობის ფორმად.

მართალია, 1995 წლის კონსტიტუციაში არ იყო დაფიქსირებული რწმუნებულის დანიშვნის საკითხი, მაგრამ 1997

წელს მიღებულ კანონში „თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ პირველად გაჩნდა „სახელმწიფო რწმუნებულის“ ცნება. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამ ინსტიტუტმა ე. შევარდნაძის მმართველობაში „პატარა დიქტატორის“ ფუნქციები შეიძინა. მოგვიანებით, მ. სააკაშვილის პოლიტიკური რეჟიმის დროს, მისი ფუნქციები უფრო გაიზარდა. სწორედ ამ ინსტიტუტის საშუალებით ხდებოდა ადგილებზე ხელისუფლების უზურპირება. როგორც ე. შევარდნაძემ, ასევე მ. სააკაშვილმა, ეს ინსტიტუტები გამოიყენეს ხალხის დასათრგუნად ან არჩევნების გასაყალბებლად ანუ ხელისუფლების შესანარჩუნებლად.

1993 წლის 21 თებერვალს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე საგანგებო კონფერენციამ მოისმინა ინფორმაცია „საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობისა და მოქმედების შესახებ“. მასში ნათქვამი იყო, რომ ვინაიდან 1992 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს კონსტიტუციის პრინციპების უხეში დარღვევით და საქართველოს პარლამენტმა სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ კანონის მიღებით მოახდინა საქართველოს კონსტიტუციის იგნორირება, საქართველოს პარლამენტი და რესპუბლიკის დღევანდელი ხელისუფლება წარმოადგენდა ასევე არაკონსტიტუციურ ორგანოს. კონფერენცია მოუწოდებდა პარლამენტს გაეუქმებინა ანტიკონსტიტუციური კანონი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ და მიეღო დადგენილება საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის უზენაესობისა და მოქმედების ცნობის შესახებ და მის საფუძველზე მოეწყო საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრება.

შექმნილ ვითარებაში საქართველოს პარლამენტმა გადადგა წინმსწრები ნაბიჯი და 1993 წლის თებერვალში შე-

ქმნა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემმუშავებელი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია. ამ კომისიას ევალეობდა ახალი რედაქციის შემმუშავება საქართველოს ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით. მას 1993 წლის დეკემბრამდე უნდა წარმოედგინა კონსტიტუციის ახალი რედაქციის პროექტი. თუმცა, როგორც ცნობილია, ამის გაკეთება აღნიშნულ ვადაში ვერ მოხერხდა.

როგორც ჩანს, 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენის საკითხი, ფაქტობრივად პოლიტიკური ბრძოლის საგანი უფრო იყო, ვიდრე საზოგადოებაში თანხმობის მიღწევის საშუალება, თუმცა, უნდა ითქვას, რომ გადაწყვეტილებამ 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემმუშავების თაობაზე იმ კონკრეტულ სიტუაციაში, გარკვეულწილად, ხელი შეუწყო პოლიტიკური დამაბულობის განმუხტვასაც.

იქნებოდა თუ არა კონსტიტუციის ახალი რედაქცია თანხმობის საფუძველი? ეს კითხვა აწუხებდა მაშინ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზრს. ცხადია, 1921 წლის კონსტიტუცია, თეორიულად შეიძლება გამხდარიყო დაპირისპირებულ ძალთა თანხმობის საფუძველი, რამდენადაც ამ დოკუმენტის წინაშე ყველა რეალური პოლიტიკური ძალა თანაბარუფლებიანი იყო, და რაც უფრო დავცილდებოდით ამ კონსტიტუციას, მით უფრო გაძლიერდებოდა აზრთა სხვადასხვაობა და კამათი საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხებზე.

არსებობდა სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვით 1921 წლის კონსტიტუცია არ გამოდგებოდა თანხმობის საფუძველად, რადგანაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემის წინ მიღებული კონსტიტუცია ჩამორჩენილ ქარ-

თულ ფეოდალიზმზე დამყნობილ პლენხანოვ-ჟორდანას სოციალიზმის იურიდიული გამოხატულება იყო (ა. ბაქრაძე).

კონსტიტუციის მიღება უმნიშვნელოვანესი მოვლენა ქვეყნის ცხოვრებაში. ის საფუძველს უყრის სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობას და ავითარებს კანონისადმი საზოგადოების დამოკიდებულებას.

ქართულ კონსტიტუციას უნდა განემტკიცებინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, დაეფიქსირებინა ტერიტორიული მთლიანობა, დაეძლია ქვეყნის მართვაში არსებული უმძიმესი შეცდომები, მოეწესრიგებინა სახელმწიფოებრივი ცხოვრება და აემადლებინა საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტი.

ამრიგად, აუცილებელი გახდა ახალი კონსტიტუციის შემუშავება და მიღება, რომელსაც უნდა განემტკიცებინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, დაეფიქსირებინა ტერიტორიული მთლიანობა, დაეძლია ქვეყნის მართვაში არსებული უმძიმესი შეცდომები, მოეწესრიგებინა სახელმწიფოებრივი ცხოვრება და აემადლებინა საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტი [4. 29]. კონსტიტუციით უნდა მომხდარიყო ხელისუფლების გაყოფა-დანაწილება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებად. კონსტიტუციით წესდებოდა საქართველოს პრეზიდენტის ინსტიტუტი [5. 52].

90-იანი წლების პირველ ნახევარში საქართველოს წინაშე უმნიშვნელოვანეს პრობლემად იდგა კონსტიტუციის შემუშავება. კონსტიტუციური პროცესი არ იყო უბრალოდ ტექსტის მომზადება და მისთვის იურიდიული ძალის მინიჭება. ქართული კონსტიტუციის არსი, ეს იყო საზოგადოებრივი სახელმწიფო წყობის საფუძვლების შესახებ ეროვნული

თანხმობის მიღწევა, რის გარეშეც კონსტიტუცია ფიქტიური აღმოჩნდებოდა, რაც უნდა სრულყოფილი ყოფილიყო, მისი ტექსტი და უზადო – მიღების პროცედურა. კონსტიტუციური კანონები სასარგებლო იყო იმდენად, რამდენადაც ისინი შეესაბამებოდნენ საზოგადოების მზადყოფნას მათ მისაღებად.

კონსტიტუცია უნდა ყოფილიყო სოციალური წესრიგის გარანტი, სოციალურად ნეიტრალური საკანონმდებლო აქტი, რომელიც ერთნაირად მოემსახურებოდა მთელი საზოგადოების ინტერესებს.

1995 წლისათვის საზოგადოების სამსჯავროზე გამოსატანად უკვე არსებობდა რამდენიმე ალტერნატიული პროექტი, მათ შორის, თსუ საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ჯგუფის, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, სამართლიანობის ადვოკატის კავშირის, საქართველოს რესპუბლიკური პარტიის და სხვა პროექტები.

კონსტიტუციის პროექტების სიმრავლე, ერთი მხრივ, დემოკრატიულობის მაჩვენებელი იყო, თუმცა, სხვა მხრივ, ის ჩვენთან ვერ გახდა ეროვნული თანხმობის მიღწევის საფუძველი.

ყველა პროექტში აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა სახელმწიფოებრივი მშენებლობის პრინციპული საკითხები: სუვერენიტეტის უზრუნველყოფა, საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო რესპუბლიკა, ტერიტორიული მოწყობისა და ავტონომიის პრობლემა და ა.შ.

უდავოა, საერთო ეროვნული კონსენსუსის მიღწევა, გარკვეული პრინციპებისა და ფასეულობების გარშემო, კონსტი-

ტუციური პროცესის ჭეშმარიტი მიზანია, მაგრამ მისი შემუშავების დროს ჩვენთან ერთმანეთს დაუპირისპირდა მკვეთრად განსხვავებული მიდგომები, პირველ რიგში გადმონაცვლა კონიუნქტურულმა საკითხებმა და საზოგადოებამზად არ აღმოჩნდა კომპრომისულ გადაწყვეტილებათა გზების ძიებისათვის. ამიტომ კონსტიტუციური მოწყობის საკითხი გადაიქცა სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფებსა და სტრუქტურებს შორის ხელისუფლებისათვის ბრძოლის იარაღად.

სწორედ ასეთი პერსპექტივა ესახებოდა დოკუმენტს, რომელსაც ახალი კონსტიტუციის სახე უნდა ჰქონოდა და ასეთ შემთხვევაში ძნელი იყო საზოგადოებას თავი დაეღწია მწვავე პოლიტიკური კონფრონტაციისათვის.

1992-1995 წლებში საქართველომ იცხოვრა საპარლამენტო მოდელით, მაგრამ ეს იყო გაურკვეველი და მიუღებელი სტრუქტურა. მთავრობაში აღმოჩნდნენ პარლამენტისაგან დაუმტკიცებელი წევრები. ზოგიერთი მათგანი იყო მთავრობის წევრი და იმავდროულად, პარლამენტარიც.

სამხედრო საბჭოს მიერ აღდგენილი კონსტიტუცია აბსოლუტურ შეუსაბამობაში იყო არსებულ სახელმწიფოებრივ სტრუქტურებთან, ანუ აღდგენილი კონსტიტუციის საფუძველზე უნდა შეექმნათ ახალი პარლამენტი – ეროვნული კრება, რაც საფუძვლად დაედებოდა ახალი სისტემის ჩამოყალიბებას. ამავ პერიოდში 1921 წლის კონსტიტუცია მხოლოდ ფორმალურად იყო აღდგენილი. ამდენად, ფაქტობრივად მოქმედი სახელმწიფო ხელისუფლება და ქალაქდზე არსებული 1921 წლის საკონსტიტუციო დოკუმენტი ერთმანეთთან წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა.

საკონსტიტუციო კომისიამ, საბოლოოდ, 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქციის ნაცვლად, პარლამენტს წა-

რუდგინა სრულიად ახალი კონსტიტუცია, თუმცა ის წინააღმდეგობაში მოდიოდა პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციის პრინციპებთან. ამ დოკუმენტში არაფერი იყო ნათქვამი ქვეყნის ტერიტორიულ მოწყობაზე, ავტონომიურ ფორმირებებსა და ქვეყნისათვის სხვა ძალზე მნიშვნელოვან საკითხებზე.

კონსტიტუციონალიზმის მკვლევარები მიუთითებენ, რომ მსოფლიოში არ ყოფილა შემთხვევა კონსტიტუციის რამდენიმე თავი მიეღოთ, ხოლო სხვა თავების მიღება სამერმისოდ გადაედოთ. ალბათ, უმჯობესი იქნებოდა, პარლამენტს კონსტიტუციის ნაცვლად ძირითადი კანონი მიეღო.

1995 წელს მიღებულ კონსტიტუციაში აისახა „გადემოკრატიკებული კომუნისტის“ ე. შევარდნაძის დიქტატორული ამბიციები. მაშინ ის აცხადებდა, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქცია იყო და მოითხოვდა მის მიღებას, თუმცა საკითხავია, რა ნიშნით იყო საპრეზიდენტო მმართველობის შემოღება და ფედერალური ქვეყნის მოწყობა 1921 წლის კონსტიტუციის საფუძვლის ახალი რედაქცია, თუმცა იმჟამად ე. შევარდნაძე ფიქრობდა, რომ ფედერალიზმის იდეით ჩნდებოდა პერსპექტივა გადაეწყვიტათ ტერიტორიული მთლიანობის საკითხი.

1995 წელს საკონსტიტუციო კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი ფრანგულ მოდელს ითვალისწინებდა. კომისიის მდივანი ავთანდილ დემეტრაშვილი პრეზიდენტისა და პარლამენტის უფლებების გაწონასწორების მექანიზმის მომხრე იყო. თუმცა 1995 წელს, კონსტიტუციის ფრანგული მოდელის წინააღმდეგ ის ძალები წავიდნენ, რომლებმაც მოგვიანებით მის მხარდამჭერებად გამოაცხადეს თავი და ე. შე-

ვარდნაძის თანამოაზრეებმა რამდენიმე დღეში შეძლეს სულ სხვა საკონსტიტუციო დებულებების მიღება.

უდავოა, 1995 წლის კონსტიტუციის მიღებას ბევრი ვნებათა ღელვა უსწრებდა წინ. საქართველო მაშინ თანამედროვე ცივილიზაციის მიღწევების შესატყვისად მოწყობილ პოლიტიკურ სისტემას უნდა გადაერჩინა, თუმცა, 1995 წლის აგვისტოს დასაწყისში პარლამენტში დასამტკიცებლად გატანილი კონსტიტუციის სამი ე.წ. ძირითადი და მე-4 დამატებითი ვარიანტი ჩავარდა. ასეთ ვითარებაში ინიციატივა თავის თავზე აიღო საარჩევნო პოლიტიკურმა გაერთიანებამ, რომლის სათავეებში მაშინ მოსკოვში მოღვაწე გამოჩენილი მეცნიერი, აკადემიკოსი ივერი ფრანგიშვილი და ქვეყნის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ბაკურ გულუა იდგნენ. 9 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის მიერ, კომპრომისის გზით, მიღებული კონსტიტუცია სახელმწიფო-პოლიტიკური მოწყობის საპრეზიდენტო მოდელს ამკვიდრებდა.

იმ პერიოდის საქართველოს კონსტრუქციულ პოლიტიკური წრეების ლიდერები ფიქრობდნენ (ბ. გულუა), რომ განხორციელდებოდა მმართველობის 6 ფუნდამენტური პრინციპი:

1. ხელისუფლების გაყოფა-დანაწილება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებად;
2. ხელისუფლების შტოებს შორის წონასწორობის პრინციპის დაცვა;
3. ხელისუფლების რეალური აღსრულებისათვის აუცილებელი სამივე შტოს, ყველა რგოლის ეფექტიანი ფუნქციონირება;



4. პოლიტიკური, ეკონომიკური სისტემების უწყველობა და მდგრადობა;
5. ხელისუფლების უწყვეტობა. საშინაო და საგარეო პოლიტიკის მემკვიდრეობითობაზე დაფუძნება, სახელმწიფო პოლიტიკური კურსის მხოლოდ არგუმენტირებული შეცვლა;
6. ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობაზე, ხალხის ერთიანობაზე, სახელმწიფო უსაფრთხოებაზე პრეზიდენტის პერსონალური პასუხისმგებლობა.

ცხადია, მსოფლიო განვითარების ორსაუკუნოვანზე მეტი ხნის გამოცდილება ადასტურებდა, რომ ექვსპრინციპიანი ეს სისტემა უნივერსალური იყო დაშლილი, არეული, გაპარტახებული ქვეყნის მდგომარეობიდან გამოყვანისათვის, საყოველთაო შეთანხმებების, ურთიერთშემწყნარებლობის მიღწევისათვის და მყარი ბაზის შექმნისათვის, სახელმწიფოს მდგრადი, თანამიმდევრული აღმავლობა-განვითარებისათვის.

სამწუხაროდ, აღნიშნული პრინციპები ვერ განხორციელდა. კონსტიტუცია არ იყო ბოლომდე სრულყოფილი. მასში მოცემული რიგი გარდამავალი დებულებების ამოქმედება მხოლოდ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საბოლოოდ აღდგენის შემდეგ იყო შესაძლებელი.

ბევრი მიიჩნევდა, რომ ახალი კონსტიტუციის მიღების ისტორიული პროცესის აქტიური მონაწილეები გახდნენ. ქვეყანაში ახალი თვისობრიობის ხელისუფლება უნდა ჩამოყალიბებულიყო „სამირკველი და მზიდი კონსტრუქცია არის შენობის აგება. აქედან უნდა დაიწყოს, შემდეგი 4-5 წლის განმავლობაში ამ პროცესმა ძირითადად დასრულებული სახე უნდა მიიღოს“ – აცხადებდა ბ. გულუა [3].

იმ დროისათვის ქვეყანაში არსებობდა რაღაც გაურკვეველი სიმბიოზი, პრაქტიკულად უმართავი სისტემა, რომლის ორგანიზაცია თვისობრივად ახალ საფუძველზე უნდა მომხდარიყო, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მმართველობითი სისტემის რეორგანიზებას ჰორიზონტალურ ჭრილში; ქვეყნის რეგიონალურ მოწყობას ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას და ა.შ.

თითქმის ორი საუკუნე ელოდა ქართველი ერი დამოუკიდებლობის აღდგენას. მისთვის სახელმწიფო ხელისუფლება საზოგადოების პოლიტიკური თვითორგანიზაციის საშუალება კი არ აღმოჩნდა, არამედ უცხო ძალის პოლიტიკის განხორციელების იარაღი. შესაბამისად, კანონი ვერ ჩაჯდა შეგნებული აუცილებლობის ჩარჩოში და ის თავსმოხვეულმა ქცევის წესმა შეცვალა. ათეული წლების მანძილზე ასე ცხოვრებამ კი სახელმწიფოსა და კანონისადმი გაუცხოების სინდრომი წარმოშვა.

საქართველოში სუსტი იყო სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი ცნობიერება. ვერ დაგროვდა სახელმწიფო მართვის გამოცდილება. ქვეყანაში განვითარებულმა ნეგატიურმა პროცესებმა წარმოაჩინა სხვადასხვა სიმართლებების, კანონიერებების და ხელისუფლებების მთელი კასკადი. სამართლიანობა გადაწონა ძალამ, რომელმაც თავისი თავი კანონზე მაღლა დააყენა, აფხაზეთის პრობლემის გაჩენამ, გაუმართლებელმა ექსპერიმენტებმა და მართვის უცოდინრობამ, ქვეყანა კრიზისამდე მიიყვანა, ასეთ ვითარებაში კონსტიტუცია ვერ იქცა საყოველთაო პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევის საშუალებად. მოსახლეობა ვერ ჩამოყალიბდა სამოქალაქო საზოგადოებად. სახელმწიფო მოხელე-

თა ფენამ არ შეიცვალა მიუღებელი ცხოვრების წესი, უარყო კონსტიტუცია და კანონები.

გარკვეულწილად 1995 წელს მიღებული კონსტიტუცია, პოლიტიკურ ძალთა ურთიერთკომპრომისის შედეგი იყო. მისი მიღებით ე. შვეარდნაძე ლეგიტიმური პრეზიდენტი გახდა. სხვა მხრივ ის ამით ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი ვითარების განეიტრალებას ცდილობდა, რომელიც არსებობდა სახელმწიფოებრივი, სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური, შიდა და საგარეო პოლიტიკური და კრიმინოგენური თვალსაზრისით. მას ემატებოდა ყველაზე უმძიმესი პრობლემა – ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და დევნილი მოსახლეობა.

მმართველი პარტიის ლიდერს და ქვეყნის პრეზიდენტს არ სჭირდებოდა სრულყოფილი კონსტიტუციური დოკუმენტი, ამიტომაც მართლდებოდა ისეთი უმნიშვნელოვანესი თავების უქონლობა, როგორც იყო „სახელმწიფო-ტერიტორიული მოწყობა“, „თვითმმართველობის შესახებ“, „ორპალატიანი პარლამენტი“ და ა.შ.

ე. შვეარდნაძის მიერ დაშვებულმა უხეშმა შეცდომებმა, ავტორიტარულობამ და ვოლუნტარიზმმა, არჩევნების შიშმა და ა.შ. კონსტიტუცია ფარატინა ქაღალდად აქცია. ხელისუფლებისადმი ხალხის ნდობის დეფიციტი გაქრა.

მოგვიანებით, 1995 წლის კონსტიტუციის მიღების ერთ-ერთი ინიციატორი და მხარდამჭერი ბაკურ გულუა არ ერიდებოდა ქართული კონსტიტუციის პარადოქსებზე და ხელისუფლების მხრივ მის შეუსრულებლობაზე ყურადღების გამახვილებას. მაგალითად, კონსტიტუციის თანახმად, პარლამენტს უნდა დაემტკიცებინა მთავრობა – ერთ გუნდად. თუმცა მინისტრის დამტკიცების ნაცვლად, პრაქტიკაში შემოვიდა

თანხმობა მის დანიშვნაზე. ბ. გულუას შენიშვნით: „1995 წლიდან მთავრობა არც ერთხელ არ დამტკიცებულა კონსტიტუციის დაურღვევლად“. ეს არ იყო უცოდინრობით, ან ტექსტის ბუნდოვანებით გამოწვეული, არამედ საქმე გვექონდა წინასწარ განზრახულ ქმედებასთან. თუკი მთავრობას კონსტიტუციით განსაზღვრული წესით დაამტკიცებდნენ, მაშინ მთელი შემადგენლობისთვის ერთად უნდა ეყარათ კენჭი და ასეთ შემთხვევაში, დეპუტატთა მოსყიდვა პრაქტიკულად გამორიცხული იყო [3].

ბ. გულუა ფიქრობდა, რომ საქართველოში ლიტონ სიტყვებად რჩებოდა კონსტიტუციაში შეტანილი, პრეზიდენტისათვის სავალდებულო წარმოსათქმელი ფიცის სიტყვები: \_ „მე საქართველოს პრეზიდენტი, ღვთისა და ერის წინაშე ვაცხადებ, რომ დავიცავ საქართველოს კონსტიტუციას, ქვეყნის დამოუკიდებლობას, ერთიანობას და განუყოფლობას“.

ცხადია, მაშინ არავინ ფიქრობდა, რომ უარი უნდა ეთქვათ კონსტიტუციის მუდმივად ცვლის პრაქტიკაზე, მით უმეტეს, ძირითადი კანონი გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ხანგრძლივი პერიოდისათვის და მასში არ უნდა ჩაედოთ ისეთი დებულებები, რომლებიც ექვემდებარებოდა გადასინჯვას.

საქართველომ უნდა მიიღოს კონსტიტუცია, რომელიც გამოხატავს ეროვნულ სახელმწიფოებრივ ინტერესებს, უნდა შეესაბამებოდეს ქართველი ხალხის ეთნოფსიქიკურ თვისებებს, ისტორიულ გამოცდილებას. დაძლიოს წინა პერიოდის გაუთავებელი პოლიტიკური რყევები, არაკომპეტენტურობა, აგრესიული უმეცრება და ამბიციურობა. სწორედ ასეთ ვითარებაში შეიძლება დაძლეულიყო ე. შევარდნაძის ეპოქაში წარმოშობილი „პროვინციული დემოკრატია“.

სამწუხაროდ, ქართული პოლიტიკური სპექტრი ერთ პერიოდში არარსებული და ე. შევარდნაძის მიერ გამოგონებული „პროვინციული ფაშიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლამ გაიტაცა და შორს დარჩა თავისუფლებისა და სახელმწიფოებრიობისაგანაც.

დემოკრატიის პრობლემა და სახელმწიფოებრიობის საკითხი ერთი და იგივე არ არის. ევროპული თუ დასავლური კონსტიტუციების მოყვარულ ადამიანებს უნდა ესმოდეთ, რომ ყველაზე დემოკრატიულმა კონსტიტუციამაც შეიძლება ვერ უპასუხოს თავისუფლებისა და სახელმწიფოებრიობისათვის, ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ საქართველოს ინტერესებს.

ე. შევარდნაძის ხელისუფლების კონსტიტუციაში არც ტერიტორიული მოწყობის და არც თვითმმართველობის საკითხი არ იყო შეტანილი, იმ დროს ხელისუფლება ცდილობდა ისე დაეწერა კონსტიტუცია, როგორც მათთვის იქნებოდა მისაღები. მაგალითად, გაუგებრობას იწვევდა ის, რომ დოკუმენტის პირველი მუხლის მესამე პუნქტში, სადაც ნათქვამი იყო, რომ „სახელმწიფო საქართველოს სახელწოდებაა „საქართველო“, არ იყო ნახსენები „რესპუბლიკა“. თუმცა ის, რომ საქართველო არის რესპუბლიკა, ეწერა იქ, სადაც მმართველობის ფორმაზე იყო საუბარი. მით უმეტეს, პირველ კონსტიტუციაში ნათლად ესმებოდა ხაზი, რომ საქართველოს „მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობის იყო დემოკრატიული რესპუბლიკა“.

ერთი შეხედვით აღნიშნული ფორმულირება უფრო მისაღებია და სახელმწიფოს სახელწოდების შეცვლის დაფიქსირება ახალ კონსტიტუციაში საჭირო არ იყო, თუმცა, ამასთან დაკავშირებით გამოითქმება აზრი, რომ ხელთ გვექონდა

დაკარგული ტერიტორიები აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სახით. ამიტომ შემდგომში, იმდროინდელი ხელისუფლება არ გამორიცხავდა ქვეყნის ფედერაციულ მოწყობას ასეთი სახელწოდებით: „საქართველოს აფხაზეთის ფედერაციული სახელმწიფო“.

ნიშანდობლივია, რომ ისრაელში, მმართველობის ფორმა არის რესპუბლიკა, მაგრამ ისრაელს არ ჰქვია რესპუბლიკა. ასევე აშშ-ის მმართველობის ფორმა რესპუბლიკაა, თუმცა ამ ქვეყანას რესპუბლიკას არ უწოდებენ.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ე. შევარდნაძის სიტყვა და საქმე ყოველთვის შორდებოდა ერთმანეთს. მას შეეძლო წარბშეუხრელად განეცხადებინა, რომ კონსტიტუციამ საფუძველი ჩაუყარა ახალ ქართულ სახელმწიფოებრიობას და მისი ძირითადი დებულებების რაიმე რევიზიის, შეცვლის ან კორექტირების არავითარი აუცილებლობა არ არსებობდა, მაგრამ პრაქტიკულად უშვებდა შესაძლებლობას გადაეხედათ სახელისუფლებო შტოთა არსებული სისტემისათვის.

მართალია, სახელისუფლებო მოდელების მონაცვლეობის საუკეთესო მაგალითად სახელდება საფრანგეთი (მონარქიული დინასტია (პირველი რესპუბლიკა), სამხედრო დიქტატურა და იმპერია, ბურბონების მმართველობა, რევოლუციური მმართველობები (მეორე რესპუბლიკა), იმპერიული მმართველობა (მესამე რესპუბლიკა), პარიზის კომუნის მმართველობა, მეოთხე რესპუბლიკა, დე გოლის კონსტიტუციური ცვლილებები (მეხუთე რესპუბლიკა). თუმცა, გზა, რაც საფრანგეთმა გაიარა ვერ იქნებოდა მაგალითის მომცემი საქართველოსთვის, ფაქტობრივად ევრაზიული სახელმწიფოსთვის, რომელსაც ბევრი განმასხვავებელი გააჩნდა საფრანგე-

თისაგან, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და დემოკრატიისა და პოლიტიკური კულტურის განვითარების თვალსაზრისით.

ე. შევარდნაძე იმაშიც იყო დარწმუნებული, რომ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში გაერო შეასრულებდა დიდ როლს, აფხაზეთის პრობლემაც გადაწყდებოდა და 2003 წლიდან საქართველოს პარლამენტი ორპალატიანი იქნებოდა (რესპუბლიკის საბჭო და სენატი), მაგრამ ეს იყო მისი მორიგი ტყუილი ხელისუფლების შესანარჩუნებლად.

ე. შევარდნაძის მმართველობის დროს კონსტიტუციური ცვლილებები მისი პირადი ინიციატივით ხდებოდა და არა კონსტიტუციური საჭიროებით. მაგალითად, უფლებები გაეზარდა სახელმწიფო მინისტრს, საკონსტიტუციო ცვლილებებით საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ მიეცა იგორ გიორგაძეს, ეროვნულ-დემოკრატიული და „მოქალაქეთა კავშირის“ „გარიგების“ შედეგად პარლამენტში პარტიების მოსახვედრი 5-პროცენტიანი ბარიერი 7 პროცენტამდე გაიზარდა. იყო სხვა ცვლილებებიც, რომლებიც ე. შევარდნაძისა და მისი გარემოცვის კონკრეტულ პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა.

„მოქალაქეთა კავშირის“ ხელისუფლების მეხოტბე ქვეყნის გაერთიანებასა და გამთლიანებას აღიქვამდა „ევოლუციურ, მრავალი ეტაპის შემცველ პროცესად, რომელშიც საქართველო და აფხაზეთი ურთიერთშეთანხმებით და კომპრომისით გადაწყვეტდნენ პრობლემას.

ის, რომ 2004 წელს ქართულ საზოგადოებაში კვლავ გაჩნდა მოთხოვნილება კარდინალურ კონსტიტუციურ ცვლილებებზე, იმის დადასტურება იყო, რომ მან ვერ შეძლო ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ნორმა-

ლური განვითარება, ამასთან, როგორც ხელისუფლების, ისე პოლიტიკური ოპოზიციის მხრიდან დაფიქსირდა ძალადობრივი ფორმების გამოყენება. კონსტიტუციამ ვერ გადაწყვიტა ქვეყნის მთავარი პრობლემები, მათ შორის: ეროვნული ბურჟუაზიის, თავისუფალი და სამართლიანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურული და სოციალური გარემოს შექმნა.

ქართული საზოგადოების დამოკიდებულება ზოგადად კანონებისა და მათ შორის კონსტიტუციისადმი არაერთგვაროვანი იყო, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ქართველი ერი საუკუნეების განმავლობაში ქართული კულტურისა და ცნობიერებისათვის მიუღებელი იდეოლოგიით და კანონებით ცხოვრობდა და საზოგადოების შიგნით სოციალურ ფენებსა თუ ინდივიდებს შორის ურთიერთობანი ტრადიციებით ან სხვა არაფორმალური ინსტიტუტებით რეგულირდებოდა და არა კანონის მეშვეობით. მით უმეტეს, ჩვენი საზოგადოება კანონს განიხილავდა, როგორც რეპრესიულ მექანიზმს და არა, როგორც უფლებრივ წყაროს.

დღეს არავინ დავობს, რომ 1995 წელს მიღებული კონსტიტუციით განსაზღვრულმა საპრეზიდენტო მმართველობამ ვერ გაამართლა. იგი ვერ ასახავდა ქვეყანაში არსებულ ვითარებას და არ შეესაბამებოდა ქართველი ერის მენტალობასა და შეხედულებებს.

საზოგადოების განვითარების მაშინდელი დონე არ შეიძლება საკონსტიტუციო დებულებების ადეკვატური ყოფილიყო. შესაბამისად, ქართულ სინამდვილეში გაუმართლებელი იქნებოდა გვეფიქრა ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის შემუშავებაზე, მით უმეტეს, ასეთი კონსტიტუციები ბუნებაში არ არსებობს. მაგალითად, საფრანგეთში დე



გოლის მიერ თითქმის ძალით მიღებულ კონსტიტუციას ზოგიერთი კონსტიტუციონალისტი არადემოკრატიულად მიიჩნევს.

სხვა მხრივ, სუსტ სახელმწიფოს შეუძლებელია ჰქონდეს ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუცია. დანაწევრებული, ეკონომიკურად და პოლიტიკურად არამდგრადი სახელმწიფო, ერთმანეთს და ხელისუფლებას დაპირისპირებული საზოგადოება არ არის და ვერც მიიღებს დემოკრატიულ კონსტიტუციას და რომც მიიღოს, პრაქტიკულად ვერ შეძლებს მის ამოქმედებას.

კონსტიტუციის მიღების, ახალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების მიუხედავად, საქართველოში არ აღმოჩნდა პოლიტიკოსი, რომელიც აამუშავებდა და წაიყვანდა სახელმწიფოს მანქანას. ვერ მოინახა ღირსეული კაცი, ძლიერი ეროვნული მუხტის მატარებელი, გონიერი და ზნეობრივი სახელმწიფო მოღვაწე.

### ლიტერატურა

1. გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა“, 25 თებერვალი, 1992.
2. დემეტრამვილი ა. კობახიძე ი. კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2011.
3. გულუა ბ. გუშინ, დღეს, ხვალ. თბ., 1995.
4. კვესელავა ი., საქართველოს ისტორიის ქრონიკები. IV, საკონსტიტუციო პარადოქსები. თბ., 2016.
5. საქართველოს კონსტიტუცია. თბ., 1995.

## ნაციონალური მოძრაობის მცდელობები კონსტიტუციის საკუთარ მმართველობაზე მორგებისათვის

1995 წელს მიღებულმა კონსტიტუციამ ვერ შეძლო ქვეყნის პოლიტიკური კრიზისის მშვიდობიანი, კონსტიტუციური გზით დაძლევა, რაც კვლავ სახელმწიფო გადატრიალებით და სახელისუფლებო ცვლილებებით დასრულდა, რისი გამოხატულებაც იყო ე.წ. „ვარდების რევოლუცია“.

2004 წელს ახალმა ხელისუფლებამ მკვეთრი საკონსტიტუციო ცვლილებები განახორციელა, რამაც ხელისუფლების დანაწილებისა და ბალანსის პრინციპი უარყოფითი მიმართულებით შეცვალა. აღმასრულებელი ხელისუფლების, მათ შორის პრეზიდენტის უფლებები უსაზღვროდ გაიზარდა, საკანონმდებლოსი კი – უსაზღვროდ შემცირდა.

1995 წლის საკონსტიტუციო დოკუმენტში გაკეთებული ჩანაწერის მიხედვით, შსს და უშიშროების სამსახურის გაერთიანება აკრძალული იყო, მაგრამ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების ავტორიტარული რეჟიმის გასამტკიცებლად ხელისუფლებამ გააერთიანა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ფუნქციების მქონე სახელმწიფო უწყება. ხელისუფლება არ ითვალისწინებდა ევროსაბჭოს ორგანოს ვენეციის კომისიის არცერთ მნიშვნელოვან რეკომენდაციას, რომელიც საქართველოს საკანონმდებლო საფუძველს შექმნიდა საქართველოში დემოკრატიის განვითარებისათვის.

უკვე 2010 წლისათვის გამოიკვეთა, რომ საქართველოში ბოლო 5 წლის განმავლობაში მიმდინარე საკონსტიტუციო პროცესები ნეგატიურ მუხტს ატარებდა. განხორციელებული

რეფორმების მიუხედავად, ხელისუფლებამ ვერ შეძლო სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება. მოსახლეობა ვერ უზრუნველყოფდა ხელისუფლების კონტროლს, სამი ინსტიტუტის – მედიის, არჩევნებისა და ოპოზიციის განვითარებით.

მოქმედმა ხელისუფლებამ გამოსავალი კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემუშავებაში დაინახა. ამ მიზნით შეიქმნა საკონსტიტუციო ცვლილებების სახელმწიფო კომისიაც, რომელიც კონსტიტუციის საერთაშორისო-სამართლებრივ, საკანონმდებლო ხელისუფლების, პრეზიდენტის ინსტიტუტის, აღმასრულებელი ხელისუფლების, სასამართლო ხელისუფლებისა და ძირითადი უფლებების, ტერიტორიული მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის, საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვისა და საქართველოს კონსტიტუციური მემკვიდრეობის, ანალიზის და პოლიტიკური ანალიზისა და პროგნოზირების სამუშაო ჯგუფად დაიყო და ხელმძღვანელებიც დაენიშნა (ლევან ალექსიძე, ნანა ჭილაძე, ზაზა რუხაძე, გიორგი კვერენჩილაძე, იაკობ ფუტკარაძე, კახი ყურაშვილი, ვახტანგ მაცაბერიძე, ვასილ გონაშვილი, სოსო ცინცაძე). კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა სამართლის პროფესორი, ცნობილი კონსტიტუციონალისტი ავთანდილ დემეტრაშვილი, რომელიც 1995 წლის კონსტიტუციის შემმუშავებელი კომისიის მდივანი იყო.

2009 წლის 8 ივლისს შექმნილი საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია ქვეყნის თანამედროვე, მდგრადი და სტაბილური განვითარების, სამართლის უზენაესობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს შორის ცივილიზებული ურთიერთობების უზრუნველსაყოფად, შესაბამისი შინაარსის კონსტიტუციური კანონის პროექტის მომზადებას ისახავდა მიზნად.

სახელმწიფო კომისიის საბაზისო პროექტი, 2010 წლის 25 ივნისს გამოქვეყნდა გაზეთ „24 საათში“ და მოიცავდა მმართველობის შერეულ მოდელს, რომელშიც საპარლამენტო რესპუბლიკის ელემენტები სჭარბობდა.

კონსტიტუციის ახალი რედაქციის ძირითადი ავტორები ავთანდილ დემეტრაშვილი და თენგიზ შარმანაშვილი მიიჩნევდნენ, რომ ახალ საკონსტიტუციო ცვლილებებს შემდეგი მნიშვნელოვანი პრობლემები უნდა განესაზღვრა:

1. ხელისუფლების შტოების ბალანსი. პრეზიდენტის უფლებამოსილების შემცირება და დისტანცირება აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან, მისი საარბიტრაჟო ფუნქციის განხორციელება. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურად დარჩენა და ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტიად ყოფნა;
2. პრეზიდენტისათვის საგარეო ურთიერთობებში უმაღლესი წარმომადგენლობის მიკუთვნება;
3. მთავრობის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფდა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებას. ანგარიშვალდებულება პარლამენტის წინაშე;
4. საპარლამენტო საქმიანობა;
5. სასამართლო ხელისუფლება;
6. ადგილობრივი თვითმმართველობა;
7. სხვადასხვა ცვლილებები.

ა. დემეტრაშვილი აღიარებდა არაერთ სირთულეს, რომლებიც იდგა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წინაშე, საკონსტიტუციო ცვლილებების მიმართ საზოგადოებ-

რივ-პოლიტიკური სპექტრის სხვადასხვა დამოკიდებულების გამო. მისი აზრით, პოლიტიკური შეთანხმება რეფორმის აუცილებლობაზე მიღწევადი იყო, თუმცა თავად პროცესი სასურველ შედეგს მაშინ მოიტანდა, თუ სხვადასხვა მხარე გაიზიარებდა კონსტიტუციონალიზმის საყოველთაოდ აღიარებულ ფასეულობებს და ამოსავალ პრინციპებს, რომელიც შემდეგში მდგომარეობდა:

- ა) ადამიანის ძირითად სოციალურ ფასეულობად აღიარება;
- ბ) სახალხო და ეროვნული სუვერენიტეტი, რაც დემოკრატიაში, ეკონომიკურად ძლიერ თვითმმართველობაში, საქართველოს ისტორიული განვითარების, ხალხთა ეთნოფსიქოლოგიისა და თანამედროვე ქართული სინამდვილის გათვალისწინებით უნდა გამოეხატათ;
- გ) სახელმწიფოებრივი მოწყობის საფუძვლად სახელმწიფო ხელისუფლების გონივრული ჰორიზონტალური და ვერ-ტიკალური დანაწილების მიჩნევა, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული რომელიმე განშტოების მიერ ხელისუფლების უზურპაცია;
- დ) საქართველოს კონსტიტუციური განვითარების პოზიტიური მემკვიდრეობის გათვალისწინება.

საინტერესოა, რომ ა. დემეტრაშვილის მოსაზრებების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ 1995 წლის კონსტიტუციის შემუშავებისა და 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური რეფორმის დროს გახმოვანდა, მაგრამ ისინი არ იქნა გაზიარებული სახელისუფლებო სტრუქტურების მიერ.

მისი აზრით, სახელმწიფო კომისიის ზოგიერთი დებულება სადავო ან მიუღებელი ყოფილიყო ცალკეული ჯგუფებისა და ადამიანებისთვის, მაგრამ მთავარი იყო, რომ ქვეყ-

ნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური სპექტრის უდიდესი ნაწილი მხარს უჭერდა კონსტიტუციური რეფორმის ჩატარების იდეას [1].

საზოგადოების ერთი ნაწილი მიესალმებოდა რადიკალურ საკონსტიტუციო ცვლილებებს. მათი აზრით, საპრეზიდენტო მმართველობის თითქმის 20-წლიანმა პრაქტიკამ გამოიწვია ქვეყნის ტერიტორიების დაკარგვა, სიდატაკის გაძლიერება, პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი, კანონის უზენაესობის იგნორირება, ქვეყანაში საერთო კორუფციული და შემდეგ – ელიტარული კორუფციის დანერგვა, თითქმის ყველა დარგისა და სფეროს პოლიტიზება, ავტორიტარული რეჟიმების დამკვიდრება და ა.შ.

ასეთ ვითარებაში საპრეზიდენტო მმართველობა საპარლამენტო მოდელით უნდა შეეცვალათ, ხოლო მისი ვარგისიანობა საზოგადოებასა და ხელისუფლებაზე იყო დამოკიდებული. ფსიქოლოგი ნოდარ სარჯველაძე გამოყოფდა სამ ჯგუფს, რომლებიც ჩაერთვებოდა პროექტის ავკარგიანობის შესახებ მსჯელობაში. ესენია:

- პირველი ჯგუფი, უნდა ყოფილიყო პოლიტიკურად ანგაჟირებული, კონსტიტუციის ცვლილებების მომხრე და, შესაბამისად, მოტივირებული ადამიანები;
- მეორე ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ ადამიანები, რომლებმაც პოლიტიკური თვალსაზრისით რეიტინგი დაკარგეს და ახლა თავისი თავის რეაბილიტაციას ცდილობდნენ;
- მესამე კატეგორიას კი შეადგენდნენ ინტელექტუალურ წრეებს მიკუთვნებული ე. წ. ექსპერტები, რომლებიც ცდილობდნენ ხელისუფლებასა და ოპოზიციასაც და საზოგადოებაში მოწინავე აზრისა თუ იმიჯის შექმნას.

ცხადია, ქვეყანა იდგა აუცილებელი საკონსტიტუციო ცვლილებების წინაშე, რაც მოითხოვდა სახელისუფლებო ცვლილებებს, ანუ ნეგატიური საპრეზიდენტო მმართველობიდან პოზიტიურ საპარლამენტო მოდელზე გადასვლას. ქვეყანას სჭირდებოდა გერმანიის სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადენაუერის, ერჰარდის, მერკელის მსგავსი ადამიანები, რომლებიც შექმნიდნენ საქართველოს კრიზისიდან სწრაფი გამოყვანის კონცეფციას, მხარს დაუჭერდნენ ეკონომიკის სფეროში, სოციალურად რეგულირებად ბაზარს, რომელიც უზრუნველყოფდა ქვეყნის სწრაფ განვითარებას და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მენეჯმენტის მისაღებ და გამართლებულ ფორმას.

საქართველოში ხშირად ჩამოდიოდნენ უცხოელი ექსპერტები. ასეთი იყო საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის შემმუშავებელი კომისიის კონსულტანტი, აშშ-ის ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, ცნობილი იურისტი ლოურენს ლესინგი, რომელსაც თავის გამოსვლებში ხშირად მოყავდა ალექსანდრე ჰამილტონის და ჯეიმს მედისონის შესანიშნავი ფორმულირება: „ბედნიერება არ არსებობს თავისუფლების გარეშე. თავისუფლება – თვითმმართველობის გარეშე. თვითმმართველობა კონსტიტუციურობის გარეშე, კონსტიტუციურობა ზნეობრიობის გარეშე და არც ერთი ამ მონაპოვართაგანი არ მიიღწევა სტაბილურობისა და წესრიგის გარეშე“. პოლიტიკური თეორიისა და პრაქტიკის მუდმივი საკითხები, რომელიც 1795 წელს წამოჭრეს ა. ჰამილტონმა და ჯ. მედისონმა ფედერალურ ჩანაწერებში ყოველთვის აქტუალურია. საკონსტიტუციო საბჭოს ერთ-ერთი კომისიის წევრის ივანე (ვაჟა) შარვაშიძის მოსაზრებით, ეს შესანიშნავი ფორმულირება პირდაპირ გვიჩვენებდა, რომ კონს-

ტიტუციურობის ნებისმიერი მოდელი, რაგინდ მაღალ დონეზე უნდა იყოს დაწერილი, ფარატინა ქალაქად დარჩება სახელმწიფოს მმართველი ორგანოების ზნეობრიობის გარეშე [2].

აღნიშნული კარგად გამოჩნდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში. ცნობილია, რომ საბჭოეთში ხელისუფლება დაუპირისპირდა მესაკუთრეთა, გენეტიკურ, ინტელექტუალურ და სხვა ფენებს და შექმნა სახელმწიფოს ავტორიტარული მართვის რეჟიმი, საერთო სახალხო საკუთრებით, რაც მიუღებელი აღმოჩნდა საბჭოთა საზოგადოებისათვის და რასაც შედეგად მოჰყვა საბჭოთა იმპერიის დაშლა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის, ქონებისა და ფინანსური კაპიტალის ტალღობრივი გადანაწილება-გადმონაწილების, ადამიანთა აზროვნებისა და მსოფლმხედველობის ცვლილებების, თაობათა შეჯახების უაღრესად რთული, ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესები.

ცხადია ისიც, რომ მსოფლიოში უნივერსალური, ყველა ქვეყნისთვის ერთნაირად მისაღები საკონსტიტუციო მოდელი არ არსებობს და ყოველი ქვეყანა უნიკალურია თავისი ისტორიული გამოცდილებით, გავლილი გზით, რელიგიით, ტრადიციებით, კულტურით, ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და გეოპოლიტიკური მდგომარეობითა და სხვა ასპექტებით.

მართვის თვალსაზრისით, სახელმწიფო უაღრესად რთული ორგანიზმია, რომლის პოლიტიკური ამოცანებია: გარემო პირობების შექმნა ეკონომიკური აღმავლობისათვის; მოსახლეობის სოციალური და სამედიცინო დაცვა; სამართლებრივი კულტურა – ადამიანთა თავისუფლება, კანონის



უზენაესობა და ა.შ.; თავდაცვისუნარიანობა; განათლება და მეცნიერება; სამუშაო ადგილების შექმნა და ა.შ., რაც ადევ-ვატური ძალის სახელმწიფო მექანიზმის საშუალებით ხორციელდება და სწორედ აქ უნდა იჩინოს თავი კანონის ამოქმედებამ და სახელმწიფოს კანონით მართვამ.

სამწუხაროდ, პოსტსაბჭოურ საქართველოში გაუმართლებელი საშინაო და საგარეო სტრატეგიისა და ტაქტიკის გამო, სწორი მართვის მექანიზმი ვერ მოიძებნა.

უდავოა, თავიანთი ბუნებით, არ არსებობენ მდიდარი და ღარიბი ქვეყნები, არამედ არიან მხოლოდ კარგად, ზნეობრივად და ეფექტიანად მართული ან ცუდად, არაეფექტიანად, უზნეოდ მართული სახელმწიფოები. მაგალითად შეიძლება დასახელდეს იაპონია, რომელსაც არ გააჩნია პრაქტიკულად არანაირი წიაღისეული, მაგრამ ცხოვრების მაღალი დონეა მიღწეული ეფექტიანი ზნეობრივი მმართველობით, ინტელექტის ამომწურავად გამოყენებით, მაშინ, როდესაც აურაცხელი ბუნებრივი სიმდიდრის მქონე რუსეთი არაეფექტიანი და უზნეო მმართველობის გამო თავს ვერ აღწევს ქვეყანაში შექმნილ მწვავე სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს.

2010 წლის დასაწყისიდან სხვა, არასახელმწიფო საკონსტიტუციო პროექტების რიცხვი უფრო და უფრო გაიზარდა. გამოჩნდა ვასილ გონაშვილის და ლევან ბოძაშვილის მიერ მომზადებული პროექტი, რომელიც შეიძლება ითქვას, სასურველიც იყო ხელისუფლებისათვის. ცნობილი იყო, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების მთავარ მიზნად გამოცხადდა ხელისუფლების შტოებს შორის ძალთა ბალანსის საკითხის მოგვარება. ამ კონტექსტში პროექტის ავტორები ირწმუნებოდნენ, რომ პროექტი პრეზიდენტის უფლებამოსილე-

ბის შემცირებას და პარლამენტის როლის გაზრდას გულისხმობდა, თუმცა, გაუქმდებოდა პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტი, რაც თავისთავად გულისხმობდა პრეზიდენტის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებაზე პასუხისმგებლობის ზრდას, თუმცა ვითარების არსს ვერ ცვლიდა პრეზიდენტთან ერთად ვიცე-პრეზიდენტის არჩევის იდეის წამოყენებაც.

პარლამენტს, გაძლიერების ნაცვლად, ერთმეოდა უფლებამოსილებების დიდი ნაწილი – კონტროლის განხორციელების ბერკეტები აღმასრულებელ ხელისუფლებაზე. საკანონმდებლო ორგანო მთლიანად იქნებოდა ჩამოშორებული საბიუჯეტო პროცესს და, რაც მთავარია, აღარ იქნებოდა ქვეყნის პოლიტიკის განმსაზღვრელი საგარეო და საშინაო საკითხებში.

საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე ა. დემეტრაშვილი სკეპტიკურად იყო განწყობილი აღნიშნული პროექტის მიმართ და მიიჩნევდა, რომ მას პერსპექტივა არ ექნებოდა. მით უმეტეს, პროექტის ძირითად ნაკლს პრეზიდენტის, პარლამენტის და მთავრობის დაუბალანსებლობა წარმოადგენდა. ამასთან ერთად, იზრდებოდა პრეზიდენტის უფლებები მთავრობისა და პარლამენტის ხარჯზე. „ჩვენ ვუბრუნდებით ისევ იმ სისტემას, რომელიც ვითომდა ამერიკულია, ვითომდა პროგრესულია, ვითომდა საპრეზიდენტო რესპუბლიკაა. მაგრამ სინამდვილეში ეს არც ამერიკულია და არც ამერიკული მოდელის საპრეზიდენტო რესპუბლიკაა, ეს არის იგივე საპრეზიდენტო რესპუბლიკა ოღონდ სახეშეცვლილი“ – აცხადებდა ა. დემეტრაშვილი [3].

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ამერიკული მოდელი სხვა ქვეყნებში ეფექტურად არ მუშაობდა და ხშირად ჯერ ავტო-

რიტარულ, შემდეგ დიქტატორულ მმართველობაში გადადი-  
ოდა და ბოლოს სახელმწიფო გადატრიალებით მთავრდე-  
ბოდა.

განხილვისათვის შემოვიდა თავისუფლების ინსტიტუ-  
ტის ხელმძღვანელის ლევან რამიშვილის პროექტიც „ახალი  
კონსტიტუციის პრინციპები, ხელისუფლების გამიჯვნის, შე-  
კავებისა და გაწონასწორების ამერიკული მოდელი“, რომე-  
ლიც აშშ-ის კონსტიტუციიდან ამოკრევილ ნორმებს მოიცავ-  
და, საპრეზიდენტო მოწყობას უჭერდა მხარს და საქართვე-  
ლოს 13 შტატად დაყოფას ითვალისწინებდა (1+3+9, დედა-  
ქალაქი, სამი ავტონომია, 9 მხარე). სამართლის ექსპერტის  
ზაქარია ქუცნაშვილის განმარტებით, ამ პროექტის შემოტანა  
პოლიტიკური ტაქტიკის ნაწილი იყო, რომელიც მიზნად ისა-  
ხავდა უარესი მოდელისთვის დაეჭირათ მხარი და შემდეგ  
საზოგადოების გულის მოსაგებად ცუდი პროექტი მიეღოთ.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ სახელმწიფო საკონსტიტუ-  
ციო კომისიას მიმართა საქართველოს ლეიბორისტულმა  
პარტიამაც, რომელმაც 2010 წლის 10 მაისს, ა. დემეტრაშვილს  
გამოუგზავნა დოკუმენტი – „250 000 მოქალაქის მიერ მო-  
თხოვნილი საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა  
და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტი-  
ტუციური კანონის პროექტი, რომელიც საქართველოს პარ-  
ლამენტის 2003 წლის 28 მარტის დადგენილებით გამოქვეყნ-  
და საყოველთაო სახალხო განხილვისათვის, 2003 წლის  
აპრილის, „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“.

ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე შალვა ნათე-  
ლაშვილი შენიშნავდა, რომ ქვეყანაში განვითარებული ცნო-  
ბილი მოვლენების გამო, პარლამენტმა ვერ შეძლო განეხილა

კონსტიტუციური დოკუმენტი, თუმცა მხოლოდ ეს პროექტი იყო ლეგიტიმური და ხალხისაგან ხელდასმული.

აღნიშნული პროექტი საპრეზიდენტო რესპუბლიკას უჭერდა მხარს, სადაც პარლამენტი შედგებოდა, საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით არჩეული, ორი პალატის – რესპუბლიკის საბჭოსა და სენატისაგან. პრეზიდენტი წარმოადგენდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს და კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში წარმართავდა და ახორციელებდა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო სტრატეგიულ პოლიტიკას.

სხვათაშორის, უფრო ადრე, 1994 წლის გაზაფხულზე, საქართველოს სახალხო ფრონტთან არსებულმა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ზურაბ ადეიშვილის (ხელმძღვანელი) გიორგი გოგიაშვილის, გია კახეთელიძისა და ლევან ალაფიშვილის შემადგენლობით მოამზადა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი, რომელიც გამოქვეყნდა ყოველკვირეულ გაზეთში „საქართველო“.

ყველა დემოკრატიული ქვეყნის კონსტიტუცია, მმართველობის ფორმის მიუხედავად, ხელისუფლების განშტოებათა შორის, საერთო დაბალანსირებული ურთიერთობებით ხასიათდება, მაგრამ, ამასთანავე, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან და ასახავენ კონკრეტული ქვეყნისა და ერის პრობლემატიკასა და სპეციფიკურობას.

ნებისმიერი, კონკრეტული ქვეყნის კონსტიტუციაში ზოგადი პრინციპების იდეალური ჩამოყალიბება საქმეს ვერ შველის და ის თეორიულ ნაშრომად დარჩება, თუ მასში არ აისახება ის პრობლემატიკა, რომელიც მოცემულ ერსა და ქვეყანას აქვს. უფრო მეტიც, ერის პერსპექტიულმა მიზანმა

და ქვეყანაში არსებულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების ანალიზმა უნდა განსაზღვროს მმართველობის რომელი მოდელი იქნება უფრო ეფექტური, არსებული პრობლემების გადასაჭრელად, რომელიც მეტად სჭირდება ერს და ქვეყნის სახელმწიფოებრიობას, ვიდრე ხელისუფლებას. თუმცა ქართული საზოგადოება ვალდებული იყო ისეთი ცვლილებები შეეტანა კონსტიტუციაში, რომ მშვიდობიანი გზით, ერთხელ და სამუდამოდ, დაეღწია თავი კრიზისისა და პოლიტიკოსთა დიქტატისათვის.

„ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში საქართველოში შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განწყობას ნათლად გამოხატავდა ეროვნული მოძრაობის ცნობილი მოღვაწე, კონსტიტუციური სამართლის მცოდნე ვახტანგ ძაბირაძე: „თუ ჩვენი, ქართველი ერისა და საზოგადოების მიზანი მართლაც ისაა, რომ ეროვნულ საფუძველზე ავაშენოთ თანამედროვე ქართული დემოკრატიული სახელმწიფო, მაშინ ამ მიზნის მისაღწევად ერთადერთი გზა – კონსტიტუციური ცვლილებებია. სხვა გზა და მეთოდი კაცობრიობამ არ იცის“ [4].

მთლიანად გასაზიარებელია ვ. ძაბირაძის ის მოსაზრებაც, რომ ჩვენი ეროვნული უბედურების მიზეზი ის იყო, რომ ყველა ხელისუფლება სხვადასხვა მოტივით ცდილობდა მაქსიმალურად გაეკოტრებინა და დაემორჩილებინა საზოგადოება, მას კი არავითარი მექანიზმი არ ჰქონდა ეკონტროლებინა ხელისუფლება და ერთადერთი, რაც შეეძლო, იყო ქუჩაში გამოსვლით გამოეხატა პროტესტი და ამ გზით მოეხდინა სახელისუფლებო ცვლილება, რასაც წლების მანძილზე აკეთებდა.

საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური სინამდვილე სრულფასოვანი ქართული სახელმწიფოს შექმნისა და განვითარებისკენ კი არ წავიდა, არამედ ხელისუფლების მოპოვება და ძალაუფლების შენარჩუნება გახდა უმთავრესი მიზანი და ამოცანა, რამაც ერის გახლეჩა, ზნეობრივი გახრწნა, ეკონომიკური სიღატაკე და სოციალური უბედურება გამოიწვია.

ხელისუფლებამ სხვადასხვა არჩევნების გზით განაგრძო ტრიუმფალური მარში ტოტალიტარიზმისაკენ, გამოვლინდა მოსახლეობის მიმართ ფსიქოლოგიური ზეგავლენა, გაფართოვდა კონტროლის არეალი. ასეთ ვითარებაში დღის წესრიგში დადგა რევოლუციური კონსტიტუციური ცვლილებების საჭიროება, რომელიც იქნებოდა ერის თვითმყოფადობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნების ერთადერთი გარანტი. „კონსტიტუციის მიღება ქართველი ერის სტრატეგიული მიზანი უნდა გახდეს და ეროვნული ენერგია, გნებავთ, საპროტესტო მუხტი, ამ მიზნის მისაღწევად იქნას გამოყენებული“ – შენიშნავდა ვ. ძაბირაძე.

ახალ საკონსტიტუციო ცვლილებებს თვისობრივად უნდა შეეცვალა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება. უნდა გამოკვეთილიყო კონსტიტუციის როლი და ფუნქცია, შესაბამისად, მოწესრიგებულიყო კვალიფიციური სახელმწიფო ბიუროკრატიული სისტემა, სადაც წინა პლანზე წამოიწეოდა პროფესიონალიზმი და ცალკეული მოხელე იქნებოდა არა რომელიმე პოლიტიკური ძალის, არამედ სახელმწიფო სისტემის ერთგული თანამშრომელი, რაც აისახებოდა კანონშიც „სახელმწიფო მოხელის შესახებ“.

2010 წლისათვის ცხადი გახდა, რომ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური სპექტრი, საკონსტიტუციო

ცვლილებების პარალელურად, ემზადებოდა ახალი პოლიტიკური ძალების გასაერთიანებლად, რომელიც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მიიღებდა მონაწილეობას და მშვიდობიანად მოხდებოდა ქვეყნის საპარლამენტო მმართველობაზე გადასვლა.

თუ „ვარდების რევოლუციის“ გამომწვევი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისის მომწიფებას რვა წელიწადი დასჭირდა (1995-2003 წწ.), ახალი კრიზისი ოთხ წელიწადში (2004-2007 წწ.) ჩამოყალიბდა, რომლის დამამთავრებელი ეტაპი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები უნდა ყოფილიყო.

საქართველოს საზოგადოების, კერძოდ, მისი ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის და ქვეყნის ინტელექტუალური წრეების დიდი ნაწილის განწყობილებას ახალი რედაქციის თაობაზე ნათლად გამოხატავდა საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის მოსაზრებები.

ამ კომისიამ, რომელიც დაკომპლექტებული იყო პოლიტიკისა და სამართლის ავტორიტეტული სპეციალისტებით (მ. უგრეხელიძე, ვ. ხმალაძე, ვ. ძაბირაძე, ო. გამყრელიძე, ზ. ჯინჯოლავა, ნ. გვენეტაძე, მ ტურავა, ო. ბენიძე, ზ. ქორიძე, გ. ინაური, გ. ხუციშვილი, ზ. ქუცნაშვილი, ლ. მუხაშავერია, ნ. ციხისტავი და სხვ.) 2010 წლის 9 აპრილს, გამოაქვეყნა „საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის განვრცობილი კონცეფცია, თუმცა იგი არც კი გამხდარა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის არსობრივი განხილვის საგანი.

ფაქტობრივად, საზოგადოებრივი კომისია სახელმწიფო კომისიის ალტერნატივად ჩამოყალიბდა, რომლის მიერ შემუშავებული კონცეფცია შემდეგ პუნქტებს მოიცავდა:

1. საპარლამენტო ოპოზიციისათვის აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის მუდმივი კონტროლის ბერკეტების შექმნა;
2. მედიის თავისუფლება;
3. სასამართლო ხელისუფლება.

სასამართლო ხელისუფლებას 7 მოთხოვნა უნდა დაეკმაყოფილებინა:

1. დამოუკიდებლობა;
2. ობიექტურობა, მიუკერძოებლობა;
3. კვალიფიციურობა, პროფესიონალიზმი;
4. სამართლიანობა;
5. სისწრაფე, ქმედითობა და ეფექტიანობა;
6. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა;
7. „საჩინარობა“ – ცხადი, ნათელი, თვალსაჩინო.

კომისიის აზრით, სახალხო დამცველს სახელი უნდა გადარქმეოდა და მისთვის „სახალხო ქომაგი“ უნდა ეწოდებინათ, რომელიც ზუსტად გამოხატავდა მის გაფართოებულ ფუნქციას. კონცეფცია ტერიტორიული მოწყობის ორდონიან სისტემას ითვალისწინებდა. ქვედა დონეზე მუნიციპალიტეტები, ზედა დონეზე კი – ავტონომიები.

კონსტიტუციის კონცეფციით აფხაზეთსა და ცხინვალს განსაკუთრებული სტატუსი ენიჭებოდა.

„კონსტიტუციური მართლწესრიგის დამყარების პირველი მცდელობა მარცხით დასრულდა: „რევოლუციურმა“ ხელისუფლებამ მაშინვე შეცვალა არსებული საპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელი სახელმწიფოს მოწყობის იმ მოდელით, რომელიც თეორიაში სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკის სახელწოდებითაა ცნობილი და რომელშიც არსებითად დარღვეულია ხელისუფლების დანაწილების პრინცი-



პი“ – ვკითხულობთ საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის კონცეფციის შესავალში და სწორედ თხუთმეტი წლის შემდეგ, დამოუკიდებელ საქართველოში, მეორედ დაიწყო კონსტიტუციის შემუშავება, რომელსაც ბევრი თანამდევი პრობლემა ჰქონდა და ერთი კაცის ინიცირებულ კონსტიტუციად უფრო აღიქმებოდა, ვიდრე ათიათასობით მოქალაქის მოწონებულ პროექტად.

გასათვალისწინებელი იყო ის გარემოება, რომ ადამიანის უფლებათა სფეროში შეიმჩნეოდა სწრაფი დინამიკა და პროგრესი, რომელიც მოითხოვდა ახალ-ახალი სტანდარტებისა და დოქტრინების გათვალისწინებას. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა სტრასბურგის სასამართლო პრაქტიკა და ადამიანის უფლებათა ევროპული ქარტია, რომლებიც არ იწონებდნენ საქართველოში შექმნილი მწვავე პოლიტიკური კრიზისის შედეგებს, რაც ვლინდებოდა ქვეყნის სამართლებრივ სივრცეში.

საზოგადოებრივი კომისია ხაზგასმით აფიქსირებდა ქართული პოლიტიკური, ზნეობრივი და სამართლებრივი კულტურის ერთგვარ ზეგავლენას კონსტიტუციურ სამართალშემოქმედების პროცესზე, თუმცა, ეს არ ნიშნავდა, რომ ქვეყანა „წარსულში ჩარჩენილიყო“ და საქართველოს ადამიანის უფლებათა კონსტიტუციური უზრუნველყოფის სფეროში ბევრი რამ საყურადღებო ჰქონდათ გადმოსაღები და შესათვისებელი არა მარტო ე.წ. „ძველი დემოკრატიებიდან“, არამედ „ახალი დემოკრატიების“ გამოცდილებიდან.

2010 წლის 10 ივნისს საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის მიერ საქართველოს მოქალაქეებისადმი გავრცელებულ მიმართვაში ნათქვამი იყო, რომ 2010 წლის 31 მაისს ჩატარებულმა თვითმმართველობის არჩევნებმა, საზოგადო-

ებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში გამოავლინა საშიში და საგანგაშო ტენდენცია – ხელისუფლების სვლა არსებული ავტორიტარიზმიდან ტოტალიტარიზმისაკენ, რომლისთვის დამახასიათებელი იყო საზოგადოების არა მარტო საერთო კონტროლი და იძულება, არამედ მისი დაშლა-დანაწევრება „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერ მცირე ჯგუფებად და ინდივიდებად [5].

ამის დადასტურება იყო წინასაარჩევნო და არჩევნების პერიოდში „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების მიერ იძულებისა და უშუალო კონტროლის მექანიზმის ამოქმედება, თავისუფალი არჩევანის შეზღუდვა, ფარული რეპრესია და სხვა მმართველობის ტოტალიტარული ფორმის გამოვლენა.

ტოტალიტარიზმის შეჩერება და ერის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყოფის შეცვლა მხოლოდ არსებული კონსტიტუციის ფუნდამენტური და მიზანმიმართული შეცვლით იყო შესაძლებელი, როდესაც ის მთელი საზოგადოების ინტერესების გამომხატველი და დამცველი იქნებოდა და „აიძულებდა“ ხელისუფლებასა და ოპოზიციას ეთანამშრომლა ქვეყნის სასიკეთოდ და არა ხელისუფლების პირადული, ან პარტიული ინტერესების სასარგებლოდ.

ამ დროისათვის, საქართველოს საზოგადოების დიდი ნაწილი, მათ შორის ერის ინტელექტუალური ელიტა, მზად აღმოჩნდა ჩართულიყო ნეგატიური ხელისუფლების შესაცვლელად დაწყებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მშვიდობიან მოძრაობაში, რომლის ერთ-ერთი გადამწყვეტი გამოხატულება უნდა ყოფილიყო კონსტიტუციური რეფორმა. სწორედ ამ მიზნით შემუშავდა კიდევაც „კონსტიტუციურ ცვლილებათა განვრცობილი კონცეფცია“.

საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისია საკმაოდ აქტიურად ჩაერთო საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემუშავების პროცესში. ამ კომისიის მიერ წარმოდგენილი ახალი რედაქციის პროექტის განმარტებითი ბარათი, რომლის ავტორები იყვნენ იური ტაბუცაძე და ვახტანგ ხმალაძე, გვამცნობდა, რომ ქვეყანაში კონსტიტუციური მართლწესრიგის დამყარების მცდელობა მარცხით დამთავრდა.

ავტორების აზრით, 1995 წლიდან საკონსტიტუციო პროცესი განიხილებოდა მხოლოდ სამართლებრივი პოზიციიდან, პოლიტიკური და სოციალური პროცესებისაგან დამოუკიდებლად. საკონსტიტუციო შემოქმედებაში ვერ აისახა მეთოდი, რომელიც, ერთი მხრივ, ემპირიული ფაქტების, ხოლო მეორე მხრივ, ისტორიული, პოლიტიკური და იურიდიული მიდგომებით დადგენილ დებულებათა განზოგადების საშუალებას მოგვცემდა.

ამდენად, არსებულმა კონსტიტუციამ ვერ უზრუნველყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სტაბილური განვითარება. ვერ შეძლო კრიზისების არამალადობრივი ფორმებით განმუხტვა და იმ უმთავრესი პრობლემის მოგვარება, რომელსაც ადამიანის პიროვნული თავისუფლება ჰქვია.

თანამედროვე დემოკრატიული ქვეყნების ლიბერალური კონსტიტუციონალიზმის პრინციპებს მივყავართ არა დესპოტიზმისა და დიქტატურისაკენ, სადაც „გამარჯვებული“ დებულობს ყველაფერს და გამოირიცხება „დამარცხებულთან“ თანამშრომლობა, არამედ იმ პოლიტიკურ სისტემასთან, რომლის შინაარსში დევს ხელისუფლების დანაწილების პრინციპების სამართლიანი და გონივრული მიდგომა.

ხელისუფლების დანაწილება სახელმწიფო მოწყობისა და ფუნქციონირების შემადგენელი ნაწილია, რომელმაც უნ-

და გამორიცხოს თვითნებობისა და ანარქიის დაშვება როგორც „გამარჯვებულის“ ისე „დამარცხებულის“ მხრიდან.

უდავოა, ისიც რომ კონსტიტუციის ყველა მოდელი ერთნაირად არ ერგება რომელიმე კონკრეტულ სახელმწიფოს იმ მიზეზის გამო, რომ ყოველი ქვეყანა უნიკალურია თავისი ისტორიული გამოცდილებით, გავლილი გზით, ტრადიციებითა და ქვეყანაში ისტორიულად ჩამოყალიბებული ურთიერთობებით.

ი. ტაბუცაძე და ვ. ხმალაძე მსოფლიოში ყველაზე უფრო გავრცელებული სახელისუფლებო მმართველობის ფორმებიდან გამოყოფდნენ საპარლამენტო, საპრეზიდენტო და ნახევრად საპრეზიდენტო მოდელებს, რომლებსაც უნდა უზრუნველყოთ სახელმწიფო მმართველობა და, რაც მთავარია, ქვეყნის პოლიტიკური კრიზისიდან „რბილად“ გამოსვლის შესაძლებლობა.

ცხადია, ყველა ამ მოდელს მეტ-ნაკლებად ჰქონდა ხარვეზი, რომელიც მკვეთრად ვლინდებოდა ე.წ. „ცუდი“ ხელისუფლების მმართველობის დროს და უაღრესად სახიფათო ხდებოდა იმ ქვეყნისათვის, სადაც არ არსებობს დემოკრატიული მმართველობის ტრადიცია.

ავტორები ასეთ ქვეყნად ასახელებდნენ საქართველოს, სადაც ბოლო 20 წელი პოლიტიკური პროცესები, სახელისუფლებო პარტიასთან ოპოზიციის მეტ-ნაკლებად რადიკალური დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობს. აქ რადიკალური ძალები განსაკუთრებით არიან მიდრეკილი ქარიზმატული ლიდერობისადმი, ხოლო ასეთი ლიდერის ავტორიტეტის გამოყენებით, რომელიმე მათგანის გამარჯვებით ქვეყანაში დაპირისპირების ახალი ეტაპები იწყებოდა და ყოველი მათგანი საკუთარი ძალაუფლების გაფართოებაზე იწყებ-

და ზრუნვას, ამიტომ ავტორების აზრით, „სახელმწიფოს პოლიტიკური მოწყობის ფორმის არჩევისას იმაზე კი არ უნდა გვეფიქრა, რომელი მოდელი იქნებოდა უფრო მისაღები ამა თუ იმ პიროვნების ან პოლიტიკური და სოციალური ჯგუფებისათვის, არამედ იმაზე, თუ რომელი მოდელი უფრო ეფექტიანად გადაწყვეტდა ეროვნული სახელმწიფოს არსებობასთან და განვითარებასთან დაკავშირებულ პრობლემებს და რომელი მოდელი უფრო დაგვიცავდა ნებისმიერი მმართველის მიერ ძალაუფლების მიტაცებისა და ვოლუნტარისტული მოქმედებისაგან“.

საზოგადოებრივი კომისიის წევრების აზრით, ამ ამოცანის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოს ხელისუფლების მოწყობის ისეთი მოდელით, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნულ კონსოლიდაციას, ეკონომიკურ განვითარებას და საზოგადოებრივი ცხოვრების ლიბერალურ-დემოკრატიულ პრინციპებზე თანდათან გადაყვანას. ეროვნული კონსოლიდაცია კი შეუძლებელია პოლიტიკურ ცხოვრებაში ქვეყნის ძირითად პოლიტიკურ და სოციალურ ძალთა ჩართვის გარეშე, ხოლო ეკონომიკური განვითარება სტაბილური საკანონმდებლო ბაზისა და ამ ბაზის შემქმნელი პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულია სტაბილური მთავრობის გარეშე. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ ამ ამოცანის შესრულება ძალუძდა მხოლოდ საპარლამენტო სისტემას, ისეთი ვარიაციით, რომელშიც უზრუნველყოფილია მთავრობის სტაბილურობა და ისეთი საარჩევნო სისტემა, რომელიც მოგვცემდა მოქმედი ძირითადი პოლიტიკური ძალების პარლამენტში წარმოდგენის შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი კომისია სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებლად მიიჩნევდა

მისი მიღებისა და გადასინჯვის წესის გართულებას. კერძოდ, კონსტიტუციაში ცვლილებას ძალა ექნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას 2/3-ის უმრავლესობით მიიღებდა ერთი მოწვევის პარლამენტი და ასეთივე უმრავლესობით დაადასტურებდა მომდევნო მოწვევის პარლამენტი.

საზოგადოებრივი კომისია ითვალისწინებდა რა იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებას, მიზანშეწონილად თვლიდა პარლამენტის მიერ კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიღება განხორციელებულიყო მას შემდეგ, როდესაც მისი მხარდაჭერა პლებისციტით დადასტურდებოდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის მიერ წარმოდგენილი ახალი რედაქციის პროექტი საზოგადოებას სთავაზობდა მოქმედი კონსტიტუციისაგან და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიისაგან განსხვავებულ ნორმებს.

2010 წლის თებერვალში ვენეციის კომისიის პრეზიდენტმა ჯანი ბუკიკომ ყურადღება გაამახვილა ქვეყანაში პოლიტიკური კულტურის ნაკლებობაზე, ხელისუფლებაში ძალთა ბალანსისა და სასამართლოს დამოუკიდებლობისა და სიტყვის თავისუფლების დაბალ ხარისხზე. მაგრამ მანიფესტაციების შესახებ კანონთან დაკავშირებით ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს ვერ ამჩნევდა პარლამენტის წევრი აკაკი მინაშვილი, თუმცა ჯერ კიდევ 2008 წლის ნოემბერში აღნიშნული რეკომენდაციები ცნობილი იყო „პოლიტიკური თბილისისათვის“. ვენეციის კომისიისათვის მიუღებელი იყო სახელმწიფო დაწესებულებებთან აქციის ჩასატარებლად 20-მეტრიანი დისტანციის განსაზღვრა, რომლითაც ილახებოდა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება.

„საქართველოს პოლიტიკური კულტურის ნაკლებობა აქვს, ვგულისხმობ პასუხისმგებლობას. განსხვავებული მოსაზრებები ყოველთვის იქნება, მაგრამ ეს საბოლოოდ კონსტრუქციულობამდე უნდა მივიდეს“, – აცხადებდა ბუკიკიო, თუმცა იქვე აკონკრეტებდა, რომ „პოლიტიკური კულტურის ნაკლებობა განსაკუთრებით იმ ქვეყნების პრობლემა იყო, რომლებსაც ახალი მოპოვებული ჰქონდათ დამოუკიდებლობა. ბუკიკიო იმაზეც მიუთითებდა, რომ საქართველომ 20 წლის განმავლობაში ვერ შეძლო გამართული კონსტიტუციის შემუშავება.

საქართველოს კონსტიტუციაში ძალიან ბევრი ხარვეზი იყო, რომელიც ვერ აკმაყოფილებდა თანამედროვე დასავლურ მოთხოვნებს. მითუმეტეს, ყველაზე მეტი ხარვეზი სახელმწიფო მოწყობის საკითხებში აღინიშნებოდა. ვენეციის კომისიის განმარტებით, ახალ კონსტიტუციაში მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დათმობოდა სახელისუფლებო უფლებამოსილებების გამიჯვნას. გაფართოებას საჭიროებდა პარლამენტის უფლებამოსილება. მეტ ავტონომიას იმსახურებდა ადგილობრივი თვითმმართველობა.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მიღებულ კონსტიტუციაში ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსი ნაკლებია. ვაღიარებ, რომ თქვენ მკაცრი კონტროლი გჭირდებათ სახელმწიფო პოლიტიკაში, მაგრამ ახლა ამ პოლიტიკის შერბილება და ძალთა გადანაწილებაა საჭირო. ბალანსი უნდა დავიცვათ აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებებს შორის. პრეზიდენტის უფლებები უნდა შეიზღუდოს, რის ხარჯზეც გაიზრდება პარლამენტის უფლებამოსილება. თქვენ ნამდვილად დამოუკიდებელი სასამართლო გჭირდებათ. კონსტიტუცია ცვლილებებს მოითხოვს, ის

აუცილებლად თანხმობისა და კონსენსუსის საფუძველზე უნდა იყოს მიღებული და ამაში თავისი წვლილი უნდა შეიტანოს სამოქალაქო საზოგადოებამ და პოლიტიკურმა პარტიებმა“, – აცხადებდა ჯ. ბუკიკიო.

ამავე დროს, ასე არ ფიქრობდა პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე. მისი ინტერპრეტაციით, საქართველოს კანონმდებლობა მაღალ დონეზე იყო და ევროპულ სტანდარტებს შეესაბამებოდა. დ. ბაქრაძის საწინააღმდეგოდ, დეპუტატი გია ცაგარეიშვილი განმარტავდა, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ აღმასრულებელი ხელისუფლების შტო პარლამენტის ხარჯზე გაძლიერდა. ქვეყანაში რეალურად ორი კონსტიტუცია არსებობდა – ერთი ქალაქში დაწერილი, ხოლო მეორე, რომლითაც ხელისუფლება, მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი ხელმძღვანელობდა.

საერთოდ, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას მუშაობა თავდაპირველად 2009 წლის დეკემბერში უნდა დაესრულებინა, მაგრამ მოგვიანებით, თარიღმა 2010 წლის გაზაფხულზე გადმოიწია. პროექტის საბოლოო ვარიანტის მიღება კი შემოდგომისთვის დაიგეგმა.

საბოლოოდ რა სახეს მიიღებდა ახალი საკონსტიტუციო ცვლილებები, მნელი სათქმელი იყო, მით უმეტეს ხელისუფლების მიდგომები სწრაფად იცვლებოდა. არადა, ცვლილებების დასრულებული ვარიანტი ვენეციის კომისიას უნდა განეხილა.

სახელმწიფო კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი ქვეყნის ინტელექტუალური წრის დიდ ნაწილში მოწონებას არ იმსახურებდა. მიუღებელი იყო პროექტის დაჩქარებული წესით განხილვა და მიღება, რომელიც მ. სააკაშვილის მიერ ქვეყნის კონსტიტუციის საკუთარ თავზე მორგებად და ძა-



ლაუფლებს შენარჩუნების მცდელობად მიიჩნეოდა. თუმცა, არავინ დავობდა იმაზე, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებს ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეწესრიგებინა ქვეყანაში დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის შექმნა და საქართველოს სტაბილურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება.

„ქართულ კონსტიტუციონალიზმში ნეგატიურ ტრადიციად დამკვიდრდა სახელმწიფოს მეთაურის მიერ ქვეყნის მმართველობის სისტემის პირად პოლიტიკურ ამბიციებზე მორგება. ნაკლოვანი კონსტიტუციური რეფორმები (1992, 1995, 2004, 2010 წწ.), რომლებიც კონსტიტუციონალიზმის კონცეპტუალური პრინციპების იგნორირებით ხორციელდებოდა, მმართველი პარტიების აქტიურ პოლიტიკად ჩამოყალიბდა. ყოველი ასეთი მცდელობა ინიციატორთა წარმოდგენაში ფორმირებულ ე.წ. სამართლებრივ კონფიგურაციაზე ახალი მოდელის მორგებით მთავრდება. ასე იქნება ახალ კონსტიტუციურ პროექტთან დაკავშირებითაც, რამდენადაც იგი უკვე აპრობირებული იდეოლოგიის პროდუქტია“ – ღია წერილით აფრთხილებდა საზოგადოებას, საქართველოს პარლამენტსა და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას „ქართული აკადემია“ [6].

აკადემიის წევრების საკონსტიტუციო რეფორმას წინგადადგმულ ნაბიჯად არ აფასებდნენ, ხოლო კონსტიტუციური კანონპროექტის „ევროპული დონის კონსტიტუციების ანალოგად“ გამოცხადებას სამართლებრივ ცინიზმად მიიჩნევენ.

აკადემია ხაზს უსვამდა, რომ წარმოდგენილი კონსტიტუციური რეფორმის პროექტი არ იყო ორიენტირებული ქვეყანაში დემოკრატიულობისა და სამართლიანობის რეანიმაციის ოპტიმალური პირობების შექმნაზე, ხოლო კანონპრო-

ექტის მიღებიდან მის ამოქმედებამდე სამწლიანი „დერეფნის“ მიზანი კი, როგორც ჩანდა, ის იყო, რომ მორჩილი საზოგადოებრივი აზრი შეგუებოდა ხელისუფლების სათავეში მ. სააკაშვილის შეუცვლელობის იდეას.

ამ კონტექსტში ყურადღებას იმსახურებს 2010 წლის ზაფხულში „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მართული ამერიკული სოციოლოგიური გამოკითხვის ცენტრის „ენ დი აი“-ს პოზიცია, რომელიც აფიქსირებდა, რომ საპარლამენტო მოდელი საქართველოში პოპულარობით არ სარგებლობდა და, შესაბამისად, „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები მიიჩნევენ, რომ საპრეზიდენტო მოდელი უნდა შენარჩუნებულიყო და საპარლამენტო მმართველობაზე 15-20 წლის შემდეგ უნდა გვეფიქრა.

2012 წლის ზაფხულში, ხელისუფლების მითითების თანახმად, გააქტიურება დაიწყო სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ, რომლის წარმომადგენლებმა 2 ივლისს ბათუმში შეკრების შემდეგ განაცხადეს, რომ კონსტიტუციის საბოლოო რედაქცია მალე მომზადდებოდა. პარალელურად საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის ავტორები შემოთავაზებდნენ, ხელისუფლების მხრიდან სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიერ შემუშავებული, კონსტიტუციური ცვლილებების საბაზისო პროექტის გაცხოველებული განხილვა-რეკლამირების გამო, მით უმეტეს, ხელისუფლება კონსტიტუციური რეფორმების გატარების სავარაუდო თარიღად 2012 წელს ასახელებდა.

საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის წევრების მტკიცებით, ხელისუფლება ცდილობდა კონსტიტუციური ცვლილებები 2010 წელს განეხორციელებინა, ხოლო მათი ამოქმედების თარიღად 2012 წლის საპარლამენტო არჩევნე-

ბის შემდგომი პერიოდი გამოეცხადებინა. მათი აზრით, ამგვარი ვარაუდის არსებობას საკმაოდ მყარი და არგუმენტირებული საფუძველი ჰქონდა:

1. ქვეყანაში არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარემო – დაშლილი ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი, ორიენტაციადაკარგული საზოგადოება და იმედგაცრეებული და დემორალიზებული მოსახლეობა, რაც ერთობლიობაში მკვეთრად ამცირებდა მძლავრი, მასობრივი პროტესტის გამოხატვის ალბათობას, საკუთარი სურვილების შესაბამისად გაეხორციელებინა კონსტიტუციური ცვლილებები და განესაზღვრა მათი ამოქმედების ვადები;

2. კონსტიტუციური ცვლილებების „გაპიარება“ და დასავლეთისათვის მისი მიწოდება, როგორც დემოკრატიისკენ გადადგმული კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი;

3. საკუთრივ კონსტიტუციური ცვლილებები, რომელიც ჩვენი რეალობის გათვალისწინებით, გარკვეულ უპირატესობას აძლევდა ხელისუფლებას ძალაუფლების შესანარჩუნებლად [7].

„ნაციონალური მოძრაობის“ სახელისუფლებო გუნდი, კონსტიტუციური ცვლილებების საშუალებით, მართლაც აპირებდა პოლიტიკური სიცოცხლის გახანგრძლივებას და ძალაუფლების შენარჩუნებას, თუმცა, უფრო მთავარი იყო, რომ ამ ცვლილებების განხორციელების შემდეგაც მმართველი პოლიტიკური ძალა კვლავ იქვემდებარებდა პარლამენტს და ინარჩუნებდა შეუზღუდავ ძალაუფლებას.

ცნობილია, რომ კონსტიტუციონალიზმის იდეის მთავარი არსი ხელისუფლების თვითნებობის აღკვეთაა, ხოლო ამ მიზნის მიღწევის აუცილებელ და უნივერსალურ პირობად ხელისუფლების დანაწილება, მის განშტოებათა გაწონასწო-

რება და ურთიერთკონტროლი მიიჩნევა, თუმცა ისტორია გვასწავლის, რომ ხელისუფლების განშტოებათა ურთიერთობები არ იძლევა გარანტიას, ძალაუფლება ბოროტად არ იქნეს გამოყენებული. ამიტომ ყოველი ქვეყანა ვალდებულია ეროვნული, რელიგიური და კულტურული ტრადიციებიდან გამომდინარე, სახელმწიფოში არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების და მოსალოდნელი საშინაო და საგარეო საფრთხეების გათვალისწინებით შექმნას ხელისუფლების შემზღვევით კონსტიტუციური მექანიზმები და აირჩიოს მმართველობის ისეთი ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს ამ მექანიზმების სწრაფ და ეფექტურ ფუნქციონირებას და იცავს ერს ხელისუფლების ძალმომრეობისაგან.

საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისია მიიჩნევდა, რომ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტი ამ თვალსაზრისით უნაკლო არ იყო, მით უმეტეს, ძირითადი ცვლილებები მმართველობის ფორმას ეხებოდა და რას მოუტანდა ეს ცვლილებები ქვეყანას, ერს ან თითოეულ მოქალაქეს, პასუხგაუცემელი რჩებოდა. კვლავ არსებობდა ხელისუფლების მხრიდან თვით კონსტიტუციის ხელყოფის საშიშროება და, საბოლოოდ, ყველაფერი ხელისუფლების „კეთილ ნებაზე“ იყო დამოკიდებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებული კრიზისის დაძლევა, სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლება, მხოლოდ ეროვნული კონსტიტუციის მიღებით იყო შესაძლებელი, როდესაც კონსტიტუციონალიზმის იდეა საერთო-სახალხო იდეად იქცეოდა.

2010 წლის ივლისში ოპოზიციურმა პარტიებმა დაიწყეს იმის მტკიცება, რომ სახელმწიფო საკონსტიტუციო პროექტის მიხედვით მ. სააკაშვილს ხელისუფლების სათავეებში დაბრუნება პრემიერის რანგში შეეძლებოდა, რადგანაც კონსტიტუციის მოდელით სწორედ პრემიერს ეზრდებოდა ფუნქციები. ამ მხრივ განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენდნენ: ირაკლი ალასანიას პარტია „თავისუფალი დემოკრატები“, „ფორუმი“, „რესპუბლიკელები“ და მათ მიმხრობილი „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“.

„ოპოზიციამ შეძლო, ივლისში, ბერლინის კონფერენციის მსჯელობის საგნად ექცია აღნიშნული საკითხი, შედეგად გახმაურდა საშიშროება და გახმოვანდა ისიც, რომ საქართველოში არსებობდა ალტერნატიული აზრი“. კერძოდ, ეს ეხებოდა კონსტიტუციაში ჩანაწერის ჩართვას იმის შესახებ, რომ ორი ვადით არჩეული პრეზიდენტი და ასევე ის პირი, ვინც საპრეზიდენტო არჩევნებში ორჯერ ზედიზედ იყრიდა კენჭს, ხუთი წლის განმავლობაში ვეღარ დაიკავებდა პოლიტიკურ თანამდებობას, თუმცა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე ა. დემეტრაშვილი აცხადებდა, რომ კონფერენციაზე ამ ნორმასთან დაკავშირებით არანაირი მოთხოვნა არ იყო გაკეთებული, მაგრამ არ უარყოფდა, რომ გარკვეული ფორმით დაისვა საკითხი – ამ მოდელით ხომ არ შეიქმნებოდა საქართველოში „პუტინიზაციის“ განმეორების საფრთხე [8].

ამ კონტექსტში საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჩვენი ხელისუფლების ჩაწოდებულ კითხვას: „გსურთ თუ არა პრემიერ-მინისტრად იხილოთ მ. სააკაშვილი?“ გამოკითხულთა უმე-

ტესობა პასუხობდა, რომ არ სურდათ, ანუ საზოგადოებრივი აზრი მხარს უჭერდა რეალურ ცვლილებებს [9].

მოგვიანებით ეს საკითხი კვლავ გახდა მძაფრი კამათის საგანი. ბერლინის კონფერენციის მონაწილე თინათინ ხიდაშელი ამტკიცებდა, რომ მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს ამ იდეას. უცხოელი ექსპერტების აზრით, გასაგები იყო ქართველი ხალხის წუხილი და მათთვის არ იქნებოდა გაუგებარი, რომ კონსტიტუციაში მსგავსი ფორმულირება გაჩენილიყო. ეს ქართველი ხალხის წუხილს უპასუხებდა და საკონსტიტუციო კომისია მხოლოდ ერთი ადამიანის მომავლის მოსაწყობად არ იყო შექმნილი. უცხოელები აფიქსირებდნენ, რომ მსგავსი ჩანაწერი ბევრ კონსტიტუციაში არ ფიქსირდებოდა, მაგრამ ქართულ რეალობაში შესაძლებელი იყო მისი გათვალისწინება.

„თავისუფალი დემოკრატების“ პარტიის წევრის თეა წულუკიანის აზრით, ბერლინის კონფერენციაზე ა. დემეტრაშვილი და ხელისუფლების წარმომადგენლები ამ წინადადების განხილვას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ.

ა. დემეტრაშვილი კატეგორიულად უარყოფდა ამ ინფორმაციას და აცხადებდა, რომ ბერლინის კონფერენციაზე და არც სხვა საერთაშორისო ექსპერტების მიერ აღნიშნული წინადადება არ იყო გაზიარებული. მისი განმარტებით, ეს არ იყო კონსტიტუციური რეგულირების საგანი და პოლიტიკურ ბრძოლას მიეკუთვნებოდა. მისი განცხადებით, არ შეიძლებოდა პიროვნებისთვის აკრძალათ პოლიტიკურ ბრძოლაში მონაწილეობა იმ მოტივით, რომ მოსაწონი არ იყო მისი საქმიანობა.

აღნიშნული ნორმა არაკონსტიტუციურად არ მიაჩნდათ. წულუკიანს. მისი აზრით: „თუ ნორმა ზნეობრივი იყო, ის

შეიძლება სამართლებრივად ქცეულიყო და ამაში არაფერი არ იყო ისეთი, რაც ზნეობას ეწინააღმდეგებოდა“ [10].

ამავე ხანებში გაირკვა, რომ მოხდებოდა საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა და ამ 36-წევრიან კომისიას პარლამენტის თავმჯდომარე უხელმძღვანელებდა. საკონსტიტუციო ცვლილებების ნაწილი 2011 წელს ამოქმედდებოდა, ხოლო ის ნორმები, რომელიც უშუალოდ ეხებოდა საპრეზიდენტო უფლებამოსილებას, 2013 წლიდან მოქმედი პრეზიდენტის უფლებამოსილების ამოწურვის შემდეგ მოხდებოდა.

საკონსტიტუციო ცვლილებების დეტალური განხილვა შემოდგომაზე, პარლამენტის სესიაზე დაიგეგმა, მანამდე კი ერთი თვის განმავლობაში საზოგადოებასა და დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ეძლეოდათ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით კომისიისთვის წარმოედგინათ საკუთარი წინადადებები და მოსაზრებები.

კონსტიტუციის ახალი რედაქციის პროექტის საზოგადოებრივი განხილვა დიდი აქტიურობით არ გამოირჩეოდა. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები ყურადღებას საზოგადოებრივი კომისიის მიერ შემუშავებულ პროექტს უფრო უთმობდნენ, გამოქვეყნდა ექსპერტების მოსაზრებები, როგორც არსებით, ისე ტექნიკური ხასიათის შეუსაბამობების შესახებ. ერთ-ერთი ავტორი, ვინც საყურადღებო შენიშვნები გამოთქვა სახელმწიფო საკონსტიტუციო ცვლილებების მიმართ, იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, კონსტიტუციონალისტი ირაკლი კობახიძე, გერმანიაში საკონსტიტუციო სამართლის დარგში სადოქტორო დისერტაციის ავტორი. მისი აზრით, ახალი ცვლილებები ნაკლებად ითვალისწინებდა ძალაუფლების დაბალანსებას

ხელისუფლების ძირითად სუბიექტებს – პრეზიდენტს, პარლამენტსა და მთავრობას შორის. მით უმეტეს კლასიკური საპარლამენტო მოდელის ერთ-ერთ ძირითად დამახასიათებელ ნიშანს ძლიერი პარლამენტის ინსტიტუტის არსებობა წარმოადგენდა. წარმოდგენილ პროექტში კი პარლამენტსა და მთავრობას შორის ბალანსი აშკარად მთავრობის სასარგებლოდ იყო გადახრილი.

სხვა ქვეყნების საპარლამენტო რესპუბლიკების კონსტიტუციებში, პარლამენტს ძალიან ადვილად შეეძლო ხმათა უბრალო უმრავლესობით, რამდენიმედღიანი პროცედურით, გადაეყენებინა აღმასრულებელი ორგანო. ქართულ სინამდვილეში კი სულ მცირე ორი თვე მაინც იყო საჭირო ამ პროცედურისათვის, რასაც შეიძლება უმწვავესი პოლიტიკური კრიზისიც მოჰყოლოდა.

პრობლემური იყო პროექტის ის ნორმაც, რომლის თანახმად პარლამენტის ამ გადაწყვეტილებაზე პრეზიდენტს ვეტოს დადების უფლებამოსილება ენიჭებოდა, თუმცა ამგვარ უფლებამოსილებას არ ითვალისწინებდა არც ერთი დემოკრატიული საპარლამენტო რესპუბლიკის კონსტიტუცია.

კანონპროექტის ავტორები ამას იმით ამართლებდნენ, რომ საქართველოში არ იყო ჩამოყალიბებული ძლიერი პარტიები და სტაბილური პარტიული სისტემა, რის გამოც პარლამენტის მეტისმეტ გაძლიერებას შესაძლო იყო პოლიტიკური დესტაბილიზაციისთვის საფრთხე შეექმნა. ცხადია, ამაში იყო ლოგიკა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში უკეთესი იქნებოდა არა კვაზ საპარლამენტო მოდელზე, არამედ საპრეზიდენტო ან შერეულ მოელზე აქცენტირება. მითუმეტეს, კონსტიტუციურ სამართალში ძალიან მკაფიოდ იყო ერთმანეთი-



საგან გამიჯნული საპრეზიდენტო რესპუბლიკის, ნახევრად-საპრეზიდენტო ანუ შერეული რესპუბლიკისა და საპარლამენტო რესპუბლიკის ცნებები.

როგორც ჩანდა ხელისუფლების მიერ დეკლარირებული პრინციპი, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები ხელისუფლებაში ძალთა ბალანსის აღდგენისათვის განხორციელდებოდა, თვალსა და ხელს შუა ქრებოდა. ძლიერი პრეზიდენტის ადგილს ძლიერი პრემიერი იკავებდა, არა მხოლოდ პრეზიდენტის, არამედ პარლამენტის უფლებების შემცირების ხარჯზე. ყოველივე ეს საკონსტიტუციო პროექტში კარგად ჩანდა, თუმცა ხელისუფლება ყველა სადავო საკითხს ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს უკავშირებდა.

ამ კონტექსტში საინტერესოა ის, რომ პოლიტიკური ოპოზიცია ევროსაბჭოს და ვენეციის კომისიას სთხოვდა, დაებლოკა ხელისუფლების მიერ მომზადებული საკონსტიტუციო ცვლილებები, თუმცა, ოპოზიცია მთლიანად ვერ იცნობიერებდა, რომ კონსტიტუციის მიღების თუ ცვლილებების საკითხი ყველა სუვერენულ სახელმწიფოს დამოუკიდებლად უნდა გადაეწყვიტა და ორგანიზაცია მას ვერ დაბლოკავდა.

ცხადია, გარე მსოფლიოს შეეძლო გამოეთქვა თავისი მოსაზრებები და შენიშვნები, მოეწონებინა ან არ მოეწონებინა სა„ართველოს კონსტიტუციასთან დაკავშირებული დოკუმენტები. მითუმეტეს, ათეულობით სახელმწიფო არსებობდა, რომელთა კონსტიტუციები არასოდეს გამხდარა ევროსაბჭოს, ვენეციის და სხვა უცხოური ორგანიზაციების განსჯის საგანი, მაგრამ ამ კონსტიტუციებით მილიარდობით ადამიანი სარგებლობდა.

2010 წლის აგვისტოში, ქალაქ თელავში, საკონსტიტუციო პროექტის განხილვისას, ხელისუფლებამ გაახმოვანა, რომ მუშაობისას ორგანული კანონის ცნების ამოღება ვენეციის კომისიის რეკომენდაციით მოხდა, თუმცა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ხელმძღვანელის, ბერლინში გამართული კომისიის სხდომის მონაწილის თ. ხიდაშელის მტკიცებით, ვენეციის კომისიას მსგავსი რეკომენდაცია არ მიუცია ხელისუფლებისათვის და პირიქით, მის დასკვნაში ფიქსირდებოდა, რომ უმჯობესი იყო ქვეყანას ჰქონოდა ორგანული კანონი, ვინაიდან ეს უზრუნველყოფდა მმართველ პარტიასა და საპარლამენტო ოპოზიციას შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხებზე კონსენსუსის მიღწევას [11].

არსებულ პირობებში ეს ბერკეტი ხელისუფლებას არ სჭირდებოდა, რადგანაც სრულად ფლობდა პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობას და მას არათუ ორგანული კანონი, არამედ კონსტიტუციის შეცვლაც საპარლამენტო ოპოზიციის გარეშე შეეძლო.

საქართველოს საზოგადოებაში უფროდაუფრო თავსატეხი ხდებოდა მ. სააკაშვილის განცხადებები მისი შესაძლო გაპრემიერების შესახებ. 2010 წლის სექტემბერში, საპარლამენტო უმრავლესობასთან შეხვედრაზე მან პირდაპირ განაცხადა, რომ პრეზიდენტობას აღარ აპირებდა. „მე არ ვაპირებ პრეზიდენტად კენჭისყრას, თუმცა ბევრ ქვეყანაში ასეთი რეფერენდუმები ჩატარდა და სხვადასხვა გამოკითხვით ეს შესაძლებელია. საქართველოში ეს ადვილი გასაკეთებელია, თუმცა კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ეს არ უნდა მოხდეს“, – აცხადებდა მ. სააკაშვილი.

აღნიშნული განცხადება იმის მიმანიშნებელი იყო, რომ მ. სააკაშვილის გამო ნებისმიერი საკონსტიტუციო ცვლილ-

ბა განხორციელდებოდა. მითუმეტეს „ნაციონალური მოძრაობა“ დარწმუნებული იყო საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებაში და ასეთ შემთხვევაში, მათი რჩეული პრემიერ-მინისტრის მანტიას მოისხამდა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მ. სააკაშვილის საქართველოს ხელისუფლების სათავეში დარჩენას მიესალმებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია. როგორც ჩანდა, მ. სააკაშვილის მმართველობის წლები საკმარისი არ აღმოჩნდა „ამერიკული საქართველოს“ ჩამოსაყალიბებლად, რომელიც „სამხრეთ კავკასიაში სადგისად მოიაზრებოდა რუსულ საჯდომში“. თუმცა, ყოველივე ეს საკონსტიტუციო ცვლილებებით უნდა განმტკიცებულიყო. ფაქტობრივად, ეს იქნებოდა 2004 წლის თებერვლის საკონსტიტუციო გადატრიალების მსგავსი ქმედება.

ამ „საკონსტიტუციო გადატრიალების“ გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ „თავისუფლების ინსტიტუტის“ დაჟინებული მოთხოვნით, 2004 წლის ივნისში სისხლის სამართლის კოდექსიდან, 148-ე მუხლის ამოღება, რომელიც ცილისწამებისათვის დანაშაულის დაბრალებით სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა. როგორც ცნობილი პოლიტიკოსი და სამართლამცოდნე დიმიტრი ლორთქიფანიძე შენიშნავს „რაც ამ მუხლის ამოღების მოტივი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ეგიდით შეინიღბა, ყოველდღიურად ძალიან სერიოზული ბრალდებების მოწმენი ვხდებით“ [12].

2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებმა მ. სააკაშვილი აბსოლუტური მონარქის ანუ იმპერატორის უფლებებით აღჭურვა. ამ კონტექსტში საინტერესოა ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ყოფილი ლიდერის, პროფ. ნესტან

კირთაძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მ. სააკაშვილმა შე-  
ძლო ახლო ურთიერთობები დაემყარებინა ვენეციის კომი-  
სიასთან, მათიას იორშთან, მათიუ ბრაიზასთან, ჯანი ბუკი-  
კიოსთან და სხვა ამერიკელ თუ ევროპელ მაღალჩინოსნებ-  
თან, რომლებსთვის უცხო არ იყო კორუფცია, გარიგებები,  
ფულადი და სხვა ინტერესები სააკაშვილის ხელისუფლე-  
ბასთან [13].

2010 წლისთვის გამოიკვეთა, რომ პრეზიდენტი მ. სააკა-  
შვილი და საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები  
„შეხმატკბილებულად“ არღვევდნენ კანონებს. მაგალითად,  
მ. სააკაშვილის მიერ პირდაპირი წესით სახელმწიფო ქონე-  
ბის განაწილებამ მასშტაბური სახე მიიღო. 2007-2010 წლებში  
70-ზე მეტი ობიექტი გაჩუქდა სიმბოლურ და ხშირად მიზ-  
ერულ თანხებად. მაგალითად, „რუსთავი – 2“-ს მიზერულ  
თანხად გადაეცა სანდრო ეულის ქუჩაზე მდებარე 286 ათასი  
კვ/მ მი-წა; 1 აშშ დოლარად მიიღო რამდენიმე ათასიანი  
ქონება „რეგიონ ტვ“ („ალანია“) ტელეკომპანიამ; მიზერულ  
თანხად მიეყიდა პეკინის ქუჩაზე მიწა ინგა გრიგოლიას მა-  
მას, რომან გრიგოლიას; ძვირადღირებული სახლებით დასა-  
ჩუქრდა საკონსტიტუციო სასამართლოს 10 მოსამართლე.  
საინტერესოა ის ფაქტი, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს  
თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი ექვმიტანილია ბათუმში  
მცხოვრები როლანდ ბლადამის საცხოვრებელი სახლის მი-  
ტაცებასა და ავტოფარების მითვისებაში. აჭარის პროკურა-  
ტურაში მის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.  
2015 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაყადაღდა გ.  
პაპუაშვილის აღძრული ქონება. შინაგან საქმეთა ყოფილი  
მაღალჩინოსნის დავით ვეკუას ოჯახის კუთვნილი ქონება  
გორგასლის ქუჩაზე გადაეცა ტელეკომპანია „რეალტივის“.

უაღრესად მცირე თანხით დაეუფლა მუსიკოსი დავით ფორჩხიძე პეკინზე მდებარე 137 კვ/მ ფართსაც.

ყოველივე ეს და სხვა ფაქტები გამოძიებურდა სტუდია „მონიტორის“ მიერ ჩატარებული ჟურნალისტური გამოძიების შედეგად, რომელიც აისახა კიდევაც მათ მიერ შექმნილ ფილმში. ცხადია, ეს ფაქტები მიუთითებდა ქვეყანაში არსებული ელიტარული კორუფციის ერთ-ერთ ნაირსახეობაზე, როდესაც ხელისუფლება ცდილობდა მოესყიდა მოსამართლეები, მედია-საშუალებები და გარკვეული პიროვნებები და ამით ძალაუფლება შეენარჩუნებინა.

პრეზიდენტს არავითარი უფლება არ ჰქონდა სიმბოლურ თუ მიზერულ თანხად ვინმესთვის გადაეცა სახელმწიფო ქონება. ეს იყო ანტიკონსტიტუციური ქმედება და დღის წესრიგში უნდა დამდგარიყო მათი ბათილად ცნობის საკითხი, თუმცა, შეუძლებელი იყო ეს გაეკეთებინათ იმ მოსამართლეებს, რომლებიც თავად იყვნენ ჩარეული ამ დანაშაულში. „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების და უშუალოდ მ. სააკაშვილის მორჩილი იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილიც, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დავალებული აღმოჩნდა პრეზიდენტისაგან და ბევრი „ცოდვა“ ჰქონდა ჩადენილი მართლმსაჯულების წინაშე.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული მართლმსაჯულების ორგანო აღმოჩნდა. არასამთავრობო ორგანიზაციის „ახალგაზრდა ადვოკატების“ კვლევის შედეგების მიხედვით, 2007-2015 წლებში, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს თანამდებობრივი სარგოს, პრემიის და დანაშაულის სახით მიღებული აქვს 926120,71 ლარი,

ხოლო ამავე პერიოდში მისი სამივლინებო ხარჯებისათვის დაიხარჯა 360706,44 ლარი. თავმჯდომარის მოადგილე კონსტანტინე ვარძელაშვილს ამავე პერიოდში მიღებული ჰქონდა 679620 ლარი, ხოლო კიდევ ერთ მოადგილეს ზაზა თავაძეს – 483013,19 ლარი.

2015 წლის შემოდგომაზე, საკონსტიტუციო სასამართლო აშკარად დაუპირისპირდა ქვეყნის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების გადაწყვეტილებებს. მის საქმიანობაში გამოიკვეთა პოლიტიზების ელემენტები, რაც გამოვლინდა თბილისის ყოფილი მერის, გ. უგულავას საქმესთან დაკავშირებით და მას გამამართლებელი განაჩენი გამოუტანა, ასევე, წარმოებაში მიიღო „ნაციონალური მოძრაობის“ და „თავისუფალი დემოკრატების“ სარჩელი, შეაჩერა მთავრობის ინიციატივით, პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ზედამხედველობის სააგენტოს მუშაობის შესახებ. საქმე ეხებოდა ეროვნული ბანკიდან ზედამხედველობის სააგენტოს გამოყოფას, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ დროს ამოქმედდა საქართველოში და ბევრ ევროპულ ქვეყანაში ფუნქციონირებდა. როგორც სუბარი შენიშნავდა, ეს იყო აბსოლუტურად პოლიტიკური გადაწყვეტილება და სასამართლოსა და კონსტიტუციასთან მას არავითარი შეხება არ ჰქონდა.

მ. სააკაშვილის „იმპერატორობის“ გამოვლენა იყო 2004 წელს დაწესებული საქართველოს უმაღლესი სახელმწიფოს ჯილდოს (რომელიც ეროვნული გმირის წოდებასთან ერთად ერთად ენიჭება პირს საქართველოსთვის განსაკუთრებული, გამორჩეული გმირული ქმედებებისათვის) ამერიკელი სენატორის ჯონ მაკკეინისათვის მიანიჭება. ამერიკელი სენატორი დაჯილდოვდა იმ თანადგომის გამო, რომელიც რუსეთთან

ომის დროს აშშ-ის პრეზიდენტობის მაშინდელმა რესპუბლიკელმა კანდიდატმა საქართველოს მიმართ გამოიჩინა. ცნობილია, რომ მ. სააკაშვილი ღიად უჭერდა მხარს მაკკეინის გაპრეზიდენტებას, რომელმაც რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის დროს განაცხადა: „ჩვენ ყველანი ვიდგებით თქვენს გვერდზე და ჩვენ ყველანი ვიქნებით ქართველები“. სენატორი მაშინ რამდენიმე დღით ჩამოვიდა საქართველოში და იცავდა საქართველოს ინტერესებს, სენატორის მაშინდელი ქმედებები მთლიანად, საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიასთან იყო დაკავშირებული და მაკკეინისთვის ეროვნული გმირის წოდების მინიჭება პრეზიდენტის მხრიდან გაუმართლებელი და პოპულისტური ხასიათის ნაბიჯი იყო.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ეროვნული გმირის ორდენით სულ რამდენიმე ქართველია დაჯილდოვებული, მათ შორის ჟიული შარტავა, ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, გრიგოლ ფერაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, მიხაკო წერეთელი, ამბროსი ხელაია, ზაზა დამენია, გიორგი ანწუხელიძე, ზურაბ იარაჯული და გიორგი მაზნიაშვილი.

ნიშანდობლივი უნდა იყოს ის ფაქტი, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლება სერიოზულად მსჯელობდა მომავალში ასაშენებელ ქალაქ ლაზიკას საკონსტიტუციო სტატუსი მინიჭებოდა. 2012 წლის მაისში, პარლამენტში გახმოვანდა, რომ პრეზიდენტი აპირებდა პარლამენტისთვის მიემართა ლაზიკისათვის სპეციალური სტატუსის მიკუთვნების თაობაზე, რაც გულისხმობდა ლაზიკისათვის დაბალი საგადასახადო რეჟიმის დაწესებას და მაღალი დონის თვითმმართველობის მინიჭებას.

„ახალი ქალაქი უნდა დამკვიდრდეს არა მხოლოდ საქართველოს რუკაზე, არამედ მსოფლიო რუკაზე“ – აცხადებდა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი პეტრე ცისკარიშვილი, თუმცა ოპოზიციისთვის გაუგებარი იყო საგადასახადო შეღავათების დაწესებას რატომ სჭირდებოდა საკონსტიტუციო სტატუსი, მითუმეტეს, ეს რეჟიმი მხოლოდ კანონით დგინდებოდა. „ეს ხელისუფლება რას მოიფიქრებს და რას დაწერს, ღმერთმა უწყის. მათგან ყველაფერი არის მოსალოდნელი“ – აცხადებდა სამართლის ექსპერტი ვახტანგ ხმაღამე [14].

საკონსტიტუციო ცვლილება სჭირდებოდა ბ. ივანიშვილისათვის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მინიჭებასაც. მას არ ჰქონდა უფლება, როგორც საქართველოს მოქალაქეობადაკარგულ პირს, მონაწილეობა მიეღო არჩევნებში, მაგრამ ხელისუფლება გარკვეულ დათმობაზე წავიდა და ახდენდა იძულებით საკონსტიტუციო ცვლილებას და ეს იმით აიხსნებოდა, რომ პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა ძლიერი პოლიტიკური სუბიექტი. ამ შემთხვევაში კონსტიტუცია გამოდიოდა როგორც შესაძლებლობა დაერეგულირებინა პოლიტიკური ურთიერთობები [15]. თუმცა, ცხადი იყო ისიც, რომ ბ. ივანიშვილის მოქალაქეობის საკითხი პრეზიდენტ მ. სააკაშვილის ბრძანებულებით უნდა გადაწყვეტილიყო და არა საკონსტიტუციო ცვლილებებით.

საკონსტიტუციო რეფორმის პროექტის მთელი რიგი არამართლზომიერი ნოვაციის გამო „ქართული აკადემია“ ღია წერილს უგზავნიდა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას და პარლამენტს და კვლავ შეშფოთებას გამოხატავდა, ე.წ. „საყოველთაო სახალხო განხილვების“ ფორმატთან დაკავშირებით. აკადემია ყურადღებას ამახვილებდა, რომ 2004



წლიდან კონსტიტუციური ცვლილებები ქვეყანაში ღია საყოველთაო-სახალხო განხილვებს არსებითად არ ექვემდებარებოდა, ან უკეთეს შემთხვევაში, ხელისუფლების შექმნილი საორგანიზაციო კომისია საკითხებს დახურულ რეჟიმში წყვეტდა. ფაქტობრივად, 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების ე.წ. „საყოველთაო-სახალხო განხილვა“, „თეატრალიზებული“ წარმოდგენებით მიმდინარეობდა, რომელშიც ძირითადად „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები მონაწილეობდნენ.

ცხადი იყო, ახალი კონსტიტუციური რეფორმით, ქვეყანა მიიღებდა კონსტიტუციის ისეთ ვარიანტს, რომელიც „ნაციონალების“ საკონსტიტუციო უმრავლესობით შედგენილ პარლამენტს ამოქმედებამდე რამდენჯერმე შეეძლო შეეცვალა და, შესაბამისად, ვერ უზრუნველყოფდა თავისი ახალი პრინციპებისა და მიზნების ხელშეუხებლობას.

მართალია, კონსტიტუციური კანონპროექტის განხილვების შემდეგ ერთგვარი დათბობების პოლიტიკა გამოიკვეთა და მიღებულ იქნა ინიციატივა საქართველოს კონსტიტუციური სამართლის წყაროების პაკეტში ორგანული კანონის ცნებების დატოვების შესახებ, მაგრამ ეს კონსტიტუციის სახელმწიფო კომისიის ხელმძღვანელობის წინასწარ დაგეგმილი „ღონისძიების“ სახეს იღებდა და უნდობლობის განწყობას ბადებდა საკონსტიტუციო რეფორმისა და მისი მოსალოდნელი შედეგების მიმართ [16].

ამ კონტექსტში საინტერესოა იმის გახსენება, რომ საპარლამენტო განხილვისას, იუსტიციის მინისტრის მოადილე დიმიტრი გაგნიძე მხარს უჭერდა ორგანული კანონის კონსტიტუციიდან ამოღებას, თუმცა, ეს იყო ერთადერთი საკითხი, რაზეც შეთანხმება არსებობდა ოპოზიციასთან. ორგა-

ნული კანონის დატოვებას არ იზიარებდნენ იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლაშა თორდია და პარლამენტის წევრი ჩიორა თაქთაქიშვილი. მთლიანობაში უმრავლესობის ერთი ნაწილი ემხრობოდა „ორგანული კანონის“ ცნების დაფიქსირებას საკონსტიტუციო ცვლილებებში, რაც იმის შთაბეჭდილებას ქმნიდა, რომ საპარლამენტო უმრავლესობა „ორგანული კანონის“ საკითხზე მიზანმიმართულად მოქმედებდა და რომ სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ოპოზიციას ყურადღება აღარ გაემახვილებინა.

საზოგადოებაში ფიქრობდნენ, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება ნაჩქარევად ხდებოდა. თუ საკონსტიტუციო ცვლილებები 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ შევიდოდა ძალაში, მოქმედ პრეზიდენტს გარანტირებული ექნებოდა პრემიერ-მინისტრის სავარძელი, მით უმეტეს, „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის ა. მინაშვილის განცხადებით, მომავალ პრემიერს ის პოლიტიკური ძალა აირჩევდა, რომელსაც მოსახლეობის მხარდაჭერა ექნებოდა საპარლამენტო არჩევნებში. ცხადია, ა. მინაშვილი ვერ წარმოიდგენდა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ უმრავლესობას პარლამენტში დაკარგავდა.

2010 წლის სექტემბრის ბოლოს, პარლამენტმა, პირველი მოსმენით მიიღო საკონსტიტუციო ცვლილებები. ე.წ. „სახალხო განხილვები“ მმართველი პარტიის აქტივის და საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოყვანილი თანამშრომლების ფორმალური შეხვედრით დამთავრდა და არსებითი შენიშვნები არ გამოთქმულა. თბილისის უნივერსიტეტში საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ სჯა-ბაასი საერთოდ არ გამართულა, ხოლო მეცნიერებათა აკადემიაში პარლამენტის თავმჯდომარესთან გამართულ შეხვედრაზე საკონსტიტუ-

ციო ცვლილებები თითქმის ერთსულოვნად იქნა გაზიარებული.

საზოგადოების ჩვეულებრივი წევრებისათვის საკონსტიტუციო დოკუმენტი პრაქტიკულად მიუწვდომელი აღმოჩნდა. ტექსტი მხოლოდ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის ვებგვერდზე განთავსდა, მაგრამ მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა მის მიღმა დარჩა. მრავალპარტიული დემოკრატიის ჰოლანდიური ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის მონაცემებით, მოსახლეობის მხოლოდ ერთი პროცენტი იცნობდა კარგად კონსტიტუციის დასკვნებს [17].

პირველი მოსმენით მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებების პრეამბულა გვაუწყებდა, რომ საქართველოს მოქალაქეების ურყევი ნება იყო დაემკვიდრებინათ დემოკრატიული საზოგადოებრივი წეს-წყობილება, სამართლებრივი სახელმწიფო და ა.შ., თუმცა იმავდროულად, იგივე პარლამენტი მხარს უჭერდა კანონპროექტს, რომლითაც ე.წ. გონივრული ეჭვის საფუძველზე პოლიციელს შეეძლო დაეკავებინა მოქალაქე და გაეჩხრიკა.

როგორც პოლიტექნოლოგი ზ. ანჯაფარიძე მიუთითებდა, ასეთი ანტიდემოკრატიული და ანტიჰუმანური კანონი შევარდნაძის დროინდელ პარლამენტშიც კი არ ჰქონდათ მიღებული და მ. სააკაშვილს, რომელიც უცხოეთის მაღალი ტრიბუნებიდან ბევრს ლაპარაკობდა საქართველოში თავისუფლებასა და დემოკრატიაზე, თუმცა ვითარებაში, როდესაც ქვეყანაში მოსალოდნელი იყო საპროტესტო აქციები, პრეზიდენტი წინასწარ ცდილობდა მკაცრი კანონით დაპირისპირებოდა ხალხის ნებას.

2010 წლის სექტემბერში მარტივი არ იყო მსჯელობა, თუ როგორი პოლიტიკური კონიუნქტურა ჩამოყალიბდებოდა

ქვეყანაში ორი წლის შემდეგ – დარჩებოდა თუ არა კვლავ „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი ლიდერი მ. სააკაშვილი ქვეყნის პოლიტიკური ოლიმპის სათავეში, თუმცა საქართველოში იქმნებოდა სიტუაცია, როდესაც ხელისუფლებას არ შეეძლო „ძველებურად ებატონა“, ხოლო ხალხს არ სურდა „ძველებურად ეცხოვრა“. მით უმეტეს, მ. სააკაშვილი ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებებს აკეთებდა თავისი პოლიტიკური მომავლის შესახებ, ხან პრემიერ-მინისტრობაზე ფიქრობდა, ხან არ ეთანხმებოდა პრეზიდენტის უფლებების შეკვეცას და არ გამორიცხავდა მესამე ვადით არჩევაზე რეფერენდუმის ჩატარებას, თუმცა, ბოლოს იმასაც აცხადებდა, რომ ვადის ამოწურვის შემდეგ სურდა მშვიდი ცხოვრებით ტკობა. სინამდვილეში, ეს იყო პოლიტიკური თამაში და ყველაფერი დამოკიდებული ხდებოდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე.

საზოგადოებაში არ ცხრებოდა პროტესტის მუხტი მ. სააკაშვილის მიერ საკონსტიტუციო ცვლილებების საკუთარ ამბიციებზე შესაძლო მორგების შესახებ. 2010 წლის 28 სექტემბერს 50-მდე არასამთავრობო ორგანიზაციამ და რამდენიმე ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიამ პარლამენტიდან კონსტიტუციის ცვლილებების პროექტის გაწვევა მოითხოვა. რუსთაველზე დაწყებული მოძრაობის მონაწილეთა შორის იყვნენ „ქალთა პარტიის“ ლიდერი გუგული მადრაძე, „კონსერვატორი“ ლაშა ჩხარტიშვილი, საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი გიორგი ცაგარეიშვილი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი, საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის წევრი ლია მუხაშვარია, ტელეკომპანია „კავკასიის“ ხელმძღვანელი დავით აქუბარდია, „კავკასიის ქალთა ქსელის“ თავმჯდო-

მარე ნინო ციხისთავი, „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ თავმჯდომარე ეკა ბესელია, „თავისუფალი აზრის სახლის“ წევრები და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები, რომლებიც აპროტესტებდნენ პარლამენტის მიერ საკონსტიტუციო ცვლილებების პირველი მოსმენით მიღებას.

მოძრაობის მონაწილეებმა პარლამენტის წინ სიმბოლურად დაწვეს კონსტიტუცია ტექსტით: „ასე დაიწვას ქართველი ხალხის მტერი და ის, ვინც ამ კონსტიტუციას მხარს დაუჭერს“ [18].

2010 წლის 6 ოქტომბერს გაზეთ „რეზონანსში“ დაიბეჭდა „თავისუფალი დემოკრატების“ პარტიის წევრის, სამართლის დოქტორის ლევან იზორიას სტატია „დაუსაბუთებელი საკონსტიტუციო ცვლილებები“. ავტორი ეხებოდა ჟურნალ „ტაბულაში“ დაბეჭდილ გია ნოდias სტატიას „ნაბიჯი დემოკრატიისკენ“, რომელშიც ფართო პლანით იყო წარმოდგენილი დემოკრატიისათვის ახალი მმართველობის ფორმის მნიშვნელობა.

პუბლიკაციაში გ. ნოდია აღიარებდა, რომ საქართველოში არ იყო სრულყოფილი დემოკრატია და ამის მიზეზად მიაჩნდა: „კონსტიტუციური წყობა და პოლიტიკური კულტურა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების განვითარების არსებული დონე“, თუმცა არაფერს ამბობდა ხელისუფლების მართვის სტილზე და ამით განპირობებულ რეალურ პოლიტიკურ რეჟიმზე.

ლ. იზორია ფიქრობდა, რომ საქართველოს მსგავსი ნახევრად დემოკრატიული, უფრო სწორად, დეფექტური დემოკრატიების თუ ნახევრად ავტოკრატიული ქვეყნების თავისებურება არა სამართლებრივი, არამედ პოლიტიკური რეჟიმის ხასიათიდან იკვეთებოდა. მით უმეტეს, მსოფლიოში

ბევრი ქვეყანა არსებობდა, სადაც კონსტიტუციაში ხელისუფლებათა შტოები დაბალანსებული იყო, მაგრამ პოლიტიკურ ცხოვრებაში ავტორიტარიზმს ჰქონდა ფეხი მოკიდებული.

ცხადია, გ. ნოდია საქართველოში მიმდინარე არადემოკრატიულ პროცესებს მ. სააკაშვილის პოლიტიკურ რეჟიმს არ უკავშირებდა და მოქმედ კონსტიტუციას ბრალს დებდა იმაში, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტი მთავარ საკანონმდებლო დოკუმენტში უაღრესად ფართო უფლებამოსილებით იყო წარმოდგენილი. როგორც ჩანდა, ნოდიასათვის საპრეზიდენტო მმართველობა ანუ არსებული კონსტიტუცია იყო პოლიტიკური რეჟიმის ავტორიტარულობის წყარო, ხოლო მ. სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“ „ანგელოზების“ გუნდი, რომლებიც „ცუდი კონსტიტუციის“ გამო „იძულებული“ იყვნენ „შეცდომა“ დაეშვათ ან „დანაშაული“ ჩაედინათ.

გ. ნოდია ივიწყებდა, რომ 2004 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების მთავარი შემოქმედი მ. სააკაშვილი იყო, რომელიც კონსტიტუციის ქოთანს ავტორიტარიზმისა და დიქტატურის ყურს აბამდა, საკუთარ უფლებამოსილებას საგრძნობლად ზრდიდა ანუ ხალხის ნდობას ბოროტად იყენებდა.

ლ. იზორია მართებულად უთითებდა ერთ ალოგიკურობაზეც, როდესაც „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი იდეოლოგი გ. ნოდია ცდილობდა ემტკიცებინა, რომ პრეზიდენტის ხელში ძალაუფლების კონცენტრაციის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მოკლე ხანში წარმატებული რეფორმების განხორციელება. ე.ი. ერთი მხრივ, მ. სააკაშვილის ტოტალიტარიზმში ქართული კონსტიტუცია იყო „დამნაშავე“, მეორე მხრივ კი, მ. სააკაშვილის ე.წ. „სარეფორმო ტრიუმფი“ ვერ შედგებოდა პრეზიდენტის მმართველობის გარეშე.

საინტერესოა ლ. იზორიას შენიშვნაც იმის შესახებაც, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები რუსეთის კონსტიტუციიდან იქნა გადმოღებული და პოსტსაბჭოთა სივრცის გარდა მსგავს საკანონმდებლო ნორმებს დასავლეთი ევროპის ქვეყნები არ იცნობდნენ [19].

სწორედ, ე. შევარდნაძის შემდეგ მ. სააკაშვილის რეჟიმებში რუსეთის მმართველობის მოდელით ჩამოყალიბდა ქვეყნის პოლიტიკური სისტემა, რომლის მთავარ ღერძს პრეზიდენტის უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი ძალოვანი სტრუქტურები წარმოადგენდნენ, ისევე როგორც დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის მთავარი დასაყრდენი სასამართლო სისტემა, რომელიც უშუალოდ პრეზიდენტის ნებას ემორჩილებოდა.

უდავოა, გ. ნოღია – „სააკაშვილის არისტოტელე“ – პრეზიდენტის მართვის სტილის დიდი მაქებარი იყო, მითუმეტეს, თავისი პიროვნული ფილოსოფიით და თანამდებობით თვითონ იყო იმ სისტემის ნაწილი, რომელიც მ. სააკაშვილმა შექმნა და 9 წელი მოქმედებდა საქართველოში.

ლ. იზორია შიშობდა, რომ მსგავს მოვლენასთან გვექნებოდა საქმე ახალი კონსტიტუციური ცვლილებებით, როდესაც 2012 წელს საქართველოს მოსახლეობა მოქმედი კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებამოსილებებით აირჩევდა პარლამენტს, მაგრამ იგივე პარლამენტი 2013 წლიდან ავტომატურად, ახალი ცვლილებების ძალაში შესვლიდან, უკვე ახალი უფლებამოსილებებით იქნებოდა აღჭურვილი, რომლის მიხედვით მას ქვეყნის მთავარი პოლიტიკური ფიგურის, პრემიერ-მინისტრის „არჩევის“ შესაძლებლობა ექნებოდა და უშუალოდ ხალხისაგან მანდატის მიღება აღარ დასჭირდებოდა.

ლ. იზორია სამართლიანად შენიშნავდა, რომ კონსტიტუციურ-სამართლებრივ დონეზე დაბალანსებულ ხელისუფლებას შეეძლო ავტორიტარული რეჟიმის სამართლებრივად აღკვეთა, მაგრამ გადამწყვეტი მაინც პოლიტიკური კულტურის განვითარება და ხელისუფლების მართვის სტილის შეცვლა იყო. სხვა შემთხვევაში ნებისმიერი, საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო მმართველობის პირობებში საქართველოში დარჩებოდა ავტორიტარული, ფაქტობრივად, დიქტატორული პოლიტიკური რეჟიმი.

პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებების მესამე მოსმენით მიღების წინ, როდესაც უკვე რაიმე პოზიციის დაფიქსირებას არანაირი აზრი არ ჰქონდა, „ჰაინრიხ ბიოლის ფონდის“ ორგანიზებით ერთ-ერთი ბოლო დებატები გაიმართა, რომელშიც სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის ხელმძღვანელები მონაწილეობდნენ. ამ შეხვედრას ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენელი არ ესწრებოდა და ამ უკანასკნელის პოზიციის დაცვა ავთანდილ დემეტრაშვილს მიენდო, თუმცა, პასუხი კითხვებზე უშუალოდ ხელისუფლებას უნდა გაეცა.

ამ რიგის კითხვებში მთავარი იყო – რატომ ხდებოდა კანონპროექტის მიღება ვენეციის კომისიის დასკვნის გამოქვეყნებამდე, თუმცა, როგორც ჩანს, ხელისუფლებას ვენეციის კომისიის რეკომენდაციები არ აინტერესებდა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კითხვა იყო საკონსტიტუციო ცვლილებების ამოქმედების საკითხი. „თუკი კონსტიტუციაში შედის ცვლილება, ეს იმას ნიშნავს, რომ კონსტიტუცია არ ვარგა და შესაცვლელია და, თუკი ვცვლით ცუდს და ვიდებთ კარგს, რატომ არ უნდა შევიდეს ძალაში ეს კარგი ახლავე და რატომ ხდება ამ ცვლილებების ამოქმედების გადა-



ვადება 2013 წლამდე“ – კითხვას სვამდა საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის ხელმძღვანელი მინდია უგრეხელიძე [20].

ა. დემეტრაშვილს ცვლილებების დაუყოვნებლივ ძალაში შესვლა ანტიკონსტიტუციონალურად მიაჩნდა, ვინაიდან ვადაზე ადრე შეუწყვეტდა უფლებამოსილებას პარლამენტს და პრეზიდენტს.

თუმცა, ამ არგუმენტს სამართლებრივად გაუმართლებელს უწოდებდა ვ. ხმალამე, რომელიც მიიჩნევდა, რომ თუკი ძალაუფლების გადანაწილებასთან დაკავშირებული ცვლილებები ძალაში 2013 წლის 1 იანვრიდან შევიდოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ 2013 წელს არჩეულ პარლამენტს და შემდეგ ამ პარლამენტის მიერ დამტკიცებულ მთავრობას ან უფლებამოსილება უნდა შეწყდომოდა 2013 წელს ან მათი ფუნქცია უნდა შეცვლილიყო. დებატებში ვ. ხმალამის ამ პოზიციას აშკარად მეტი მომხრე აღმოაჩნდა და, შესაბამისად, გაუგებრად დარჩა ცვლილებების ამოქმედების ასეთი ვადები.

პოლიტიკური თვალსაზრისით, ამ უმნიშვნელოვანესი პროექტის ნაჩქარევად მიღება გაუმართლებელი იყო, თუმცა ხელისუფლებას უკმაყოფილების ტალღის აგორების შემთხვევაში შეეძლო გამოეყენებინა სათადარიგო ვარიანტი და ვითარების განეიტრალება მოეხდინა არჩევნების დანიშვნით, თუმცა საარჩევნო პროცესში გათქვეფილი უკმაყოფილება რა ხარისხით დაუპირისპირდებოდა ხელისუფლებას და რა პოლიტიკურ დივიდენდებს მოუტანდა ანტისახელისუფლებო ძალებს, ბოლომდე გაურკვეველი იყო.

2010 წლის 15 ოქტომბერს, ვენეციის კომისიის მიერ პროექტის მიმართ საბოლოო დასკვნის გამოქვეყნებამდე სა-

ქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი, 112 ხმით 5-ის წინააღმდეგ. ოპოზიციიდან პროექტს მხარი დაუჭირეს გია ცაგარეიშვილმა, დიმიტრი ლორთქიფანიძემ, კარლო კოპალიანმა, ჯონდი ბალათურამ და უმრავლესობის წევრმა თამაზ დიასამიძემ.

კონსტიტუციაში, საერთო ჯამში, 44 ცვლილება შევიდა. საკონსტიტუციო ცვლილებების ნაწილი გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს, ნაწილი კი 2011 წლის 1 იანვრიდან უნდა ამოქმედებულიყო. სახელისუფლებო შტოებს შორის ახლებური ურთიერთობების საკითხები, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შევიდოდა ძალაში.

საკონსტიტუციო ცვლილებებს მაღალ შეფასებებს აძლევდნენ საპარლამენტო უმრავლესობის – „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები – დავით ბაქრაძე, გიორგი (გოკა) გაბაშვილი, ნუგზარ წიკლაური, დავით დარჩიაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი და სხვები. კრიტიკული იყო საპარლამენტო უმცირესობის წევრების – გიორგი თარგამაძის, გიორგი ახვლედიანის, ჯონდი ბალათურას, დიმიტრი ლორთქიფანიძის, გია ცაგარეიშვილის, კარლო კოპალიანისა და სხვების შეფასებები.

საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებას დაემთხვა ვენეციის კომისიის საბოლოო დასკვნების გამოქვეყნებაც. ამ რეკომენდაციებში გაუმართლებლად იყო მიჩნეული მოსამართლეების გა-მოსაცდელი ვადით დანიშვნა, პარლამენტის მიერ მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების გაჭინაურებული და რთული პროცედურები და სხვ. ვენეციის კომისია კრიტიკულად იყო განწყობილი პრემიერის გაფართოებული უფლებების მიმართ, დაენიშნა და მოეხსნა მინისტრები; დასკვნაში გახმოვანდა სასამართლო ხელისუფ-

ლებაში არსებული ხარვეზებიც, რომელიც უზენაესი და ქვედა ინსტანციის სასამართლოების წევრების განსხვავებული წესით დანიშნას გულისხმობდა.

საზოგადოების ვნებათაღელვა, საკონსტიტუციო ცვლილებების შემდეგაც არ შემწყდარა. ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის, მეცნიერებისა და საზოგადოების სხვა ფენის კამათის საგანი კვლავ გახდა ხელისუფლების მართვის სტილი და ყველანაირი ძალაუფლების ერთი პოლიტიკური ძალის ხელში მონოპოლიზება; კრიტიკულად განიხილებოდა 2007 წლის 7 ნოემბრის და 2010 წლის 26 მაისის სახალხო გამოსვლების დროს ხელისუფლების მიერ ჩადენილი ანტიკონსტიტუციური ქმედებები.

განსაკუთრებული რეზონანსი მოჰყვა საკონსტიტუციო ცვლილებების პროცესში 2010 წლის 26 მაისს, ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული სასტიკი დარბევის ფაქტებს, თუმცა ა. დემეტრაშვილი მიიჩნევდა, რომ დემონსტრაციის შეწყვეტის სამართლებრივი საფუძველი არსებობდა, მაგრამ შეწყვეტის ფორმა მოითხოვდა გამოძიებას. მისი აზრით, მოსახლეობას ჰქონდა შეკრების უფლება და 12 საათამდე ყველაფერი მიდიოდა კანონისა და კონსტიტუციის ფარგლებში, თუმცა შემდეგ შეკრება არალეგიტიმური გახდა და ხელისუფლებას გაუჩნდა საფუძველი, ჩარევა გამართლებული ყოფილიყო [21].

ა. დემეტრაშვილი დარწმუნებული იყო, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში უმრავლესობას მაინც ერთიანი „ნაციონალური მოძრაობა“ მოიპოვებდა და ოპოზიციას არჩევნებში გამარჯვების შანსი არ ჰქონდა. თუმცა, მისი აღიარებით, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის „ნაციონალურ მოძრაობაში“ არ იყო ისეთი კანდიდატი, რომელიც

ოპოზიციის კონკურენტად გამოდგებოდა ანუ არ გამორიცხავდა, რომ პრეზიდენტი პირდაპირი არჩევნებით ოპოზიციიდან არჩეულიყო.

ფაქტობრივად, ა. დემეტრაშვილი საუბრობდა პოლიტიკურ სისტემაზე, რომელსაც უწოდებენ „კოალიტასიონს“ ანუ თანაცხოვრებას. ეს მოდიოდა ფრანგული მოდელიდან და ამ შემთხვევაში შეკავება-გაწონასწორების პრინციპი ამოქმედდებოდა. როგორც ჩანდა, ეს მოსაზრება ამერიკის შეერთებული შტატებიდან მომდინარეობდა, რომელიც მხარს უჭერდა „ნაციონალური მოძრაობის“ ერთი ჯგუფის ხელისუფლების სათავეში დარჩენას და მის „პოლიტიკურ თანაცხოვრებას“, ოპოზიციური სპექტრიდან წარმოდგენილ უფლებებზეკვეცილ პრეზიდენტთან.

უდავოა, იმდროინდელი ქართული სამართლებრივი სისტემა სხვადასხვა სისტემების ნარევი ჩანდა. სამოქალაქო კოდექსი გერმანული იყო, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო – ამერიკული პრეცედენტული სამართლის პრინციპებიდან მომდინარეობდა, ადმინისტრაციული კოდექსი ჰოლანდიიდან გვქონდა გადმოწერილი და კონსტიტუცია ფრანგულს წააგავდა.

ცხადია, ახალი კონსტიტუციით პრეზიდენტი უფრო სუსტი იყო, ვიდრე ფრანგულ მოდელშია წარმოდგენილი, მაგრამ მთავარი იყო, რომ ის ხალხის მიერ იქნებოდა არჩეული და ნდობის მანდატი ექნებოდა. ცხადია, ჭკვიანი და ქარიზმიანი პრეზიდენტი ყოველთვის რჩებოდა ანგარიშგასაწევ ძალად.

მართალია, 2010 წლის 15 ოქტომბრის ცვლილებები დასრულდა მასშტაბური საკონსტიტუციო პროცესით, მაგრამ ბევრი ექსპერტის აზრით, აღმასრულებელი ხელისუფლების

ფუნქციის განმახორციელებელი პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრით ჩანაცვლდა.

კონსტიტუციური სამართლის ექსპერტის ზურაბ ჯიბლაშვილის შენიშვნით, ზოგადად აღმასრულებელი ხელისუფლების სტაბილურობის განმტკიცების მოთხოვნილება, რაც სათავეს იღებდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის კონსტიტუციებიდან, მკაფიო ტენდენციად ჩამოყალიბდა XX საუკუნის მეორე ნახევრის კონსტიტუციონალიზმისათვის.

როგორც ჩანს, ამ ტენდენციების სწორმა გატარებამ, აღმოცენებადი პარტიული სისტემების მქონე ქვეყნებში თავისი დანიშნულება გაამართლა, მან ხელი შეუწყო ერთი მხრივ, კაბინეტის ხშირი რყევების გამორიცხვას, ხოლო მეორე მხრივ, პოლიტიკურ ძალებს შორის კომპრომისის წახალისების გზით, ქვეყნები დაიცვა ხანგრძლივი სამთავრობო და პოლიტიკური კრიზისებისაგან, მისცა კრიზისული სიტუაციებიდან მაქსიმალურად რბილი გამოსვლის სამართლებრივ-პოლიტიკური რესურსი [22].

როგორც იურისტები შენიშნავენ, აღმასრულებელი ხელისუფლების სტაბილურობის განმტკიცებაში დიდი როლი შეასრულა უნდობლობის კონსტრუქციულმა ვოტუმმა, რომელიც მნიშვნელოვანი სახესხვაობით დაინერგა ქართულ კონსტიტუციურ სინამდვილეშიც.

ზ. ჯიბლაშვილის მტკიცებით, უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის ძირითადი მახასიათებელი იმაში მდგომარეობდა, რომ მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების რეზოლუციის პროექტი იმავდროულად შეიცავდა იმ პირის ვინაობას, რომელიც ამ რეზოლუციის მიღების შემთხვევაში დაიკავებდა მთავრობის თავმჯდომარის პოსტს, სწორედ ეს იყო უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის

სამართლებრივი თავისებურება, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი საპარლამენტო უმრავლესობა ვერ შეთანხმდებოდა მთავრობის ახალი თავმჯდომარის ვინაობაზე, აღარც ძველი პრემიერისთვის უნდობლობის საკითხის დასმას ექნებოდა სამართლებრივი (და გონივრული) საფუძველი და, შესაბამისად, ვედარც უნდობლობის პროცედურა დაიწყებოდა.

მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების გართულებით განპირობებული საფრთხე ყველა ქვეყანაში არსებობდა და ეს საკითხი ერთ-ერთი ფუნდამენტური იყო ყველა ქვეყნის კონსტიტუციაში, მაგრამ საქართველოს კონსტიტუციაში ახალი ცვლილებების შემდეგ ეს თემა კონსტიტუციონალისტთა ცალკე მსჯელობის საგნად იქცა. შესაბამისად, დასახელდა სამი უსამართლო მიდგომა, რომელსაც მთავრობის გამოცხადების პროცედურა ეფუძნებოდა:

1. ვადების არაგონივრული ხანგრძლივობა;
2. ნდობა – უნდობლობისათვის დადგენილ საჭირო ხმათა რაოდენობის არათანაბრობა ანუ არათანასწორი მიდ-გომა ნდობა-უნდობლობისადმი;
3. პრეზიდენტის ჩარევა პარლამენტის საკონტროლო უფლებამოსილებაში.

ზ. ჯიბლაშვილის მტკიცებით, სწორედ ეს სამი მკაფიო მახასიათებელი უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის ქართულ ვარიაციას, მკვეთრად აშორებდა მისი კლასიკური მოდელისაგან. სტატიის ავტორი თავისი მოსაზრების გასამყარებლად იმოწმებდა ვახტანგ ხმალადის, ირაკლი კობახიძის და უცხოელი კონსტიტუციონალისტების ფილიპ ლოვოს, თომას მარკეტისა და სხვების არგუმენტირებულ მოსაზრებებს და ასკვნიდა, რომ აღნიშნული მიდგომები შეიძლება

ქვეულიყო გამუდმებული პოლიტიკური კრიზისების შექმნისა და დესტაბილიზაციის გამომწვევ ფაქტორებად.

მსოფლიო საკონსტიტუციო პრაქტიკა იცნობს ბევრ ქვეყანას, სადაც ხელისუფლება ცდილობს თავის თავზე მოირგოს კანონმდებლობა და კონკრეტულად – მმართველობის ფორმა (საფრანგეთი, გერმანია, იტალია და სხვ.). საფრანგეთში, თითქმის ორ-სამ წელიწადში იცვლებოდა მმართველობის ფორმები და ურთიერთობათა ახალი კონფიგურაცია ყალიბდებოდა. მაგრამ ის, რაც საქართველოში მოხდა 2004 წელს შემდგომ პერიოდში, აშკარად მიუთითებდა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლება მიზანმიმართულად ცდილობდა დიდხანს დარჩენილიყო ხელისუფლების სათავეში. მათი გეგმა მოიცავდა სხვადასხვა პოლიტიკურ და სამართლებრივ ვარიაციებს, ძალაუფლების გადანაწილების სხვადასხვა მექანიზმებს. ქვეყანაში მკვიდრდებოდა სივრცული მოდელის ძველი ყაიდის კაპიტალიზმი. „ნაციონალური მოძრაობა“ „წარმატებით“ აშენებდა მ. სააკაშვილის „პოტიომკინის“ ქალაქებსა და სოფლებს (ბათუმი, სიღნაღი, მესტია, ანაკლია).

ოლიგარქული საფინანსო კაპიტალიზმის სათავეში აღმოჩნდნენ ხელისუფლების ნავეში მსხდომი ბანკები, რომლებიც სხვადასხვა მაქინაციებით ატყუებდნენ მოსახლეობას, რის შედეგად ქუჩაში აღმოჩნდა „იპოთეკური აფიორების“ მსხვერპლი ათასობით ოჯახი.

საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი იმყოფებოდა სოციალური ტრამვის მდგომარეობაში. გრძელდებოდა უწყვეტი ემიგრაცია, წარმოიშვა დემოგრაფიული პრობლემა, არ მუშაობდა ეკოლოგიური დაცვის სისტემა, მოიშალა

უცხოეთიდან შემოტანილი, უვარგისი და ზოგჯერ საშიში, საკვები პროდუქტის შემოწმების ადრე არსებული სისტემა.

საქართველოში განხორციელებულმა ე.წ. „ლომაიას საგანმანათლებლო რეფორმებმა“ ქვეყანა უმეცრების, უცოდინრობის, სწავლისა და სწავლების უზადრუკი სისტემის დამკვიდრებამდე მიიყვანა, მინიმუმამდე შემცირდა პროფესიონალი პედაგოგების ფენა, საფრთხე შეექმნა ახალგაზრდობის აზროვნების განვითარებას. ეროვნულმა საგამოცდო ცენტრმა ვერ გაამართლა თავისი დანიშნულება, სასკოლო განათლება თითქმის ნულამდე დაეცა და შედეგად მივიღეთ თითქმის წერა-კითხვის უცოდინარი ან ნაკლებად მცოდნე, საშუალო სკოლების კურსდამთავრებულები, რომლებიც გამოცდების ეროვნული ცენტრის საშუალებით, მაინც ხვდებოდნენ სხვადასხვა, ასობით სახელმწიფო თუ კერძო უმაღლეს სასწავლებლებში, მაგრამ მათი დიდი ნაწილი ცოდნას კი არა დიპლომის წიგნაკს ეუფლებოდა.

ცნობილია, რომ კაცობრიობის განვითარების თანამედროვე პროცესი არა მხოლოდ ქვეყანათა, სახელმწიფოთა, კომპანიათა, ინდივიდთა და ა.შ. კონკურენციაა, არამედ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სახელმწიფო მოწყობის სხვადასხვა მოდელები.

„ნაციონალური მოძრაობის“ მიერ შემუშავებულმა სახელმწიფოებრივი მოწყობისა და განვითარების მოდელმა ადეკვატურად ვერ უპასუხა ქვეყნისა და ერის საჭიროებებს. ყოველივე ეს გამოვლინდა 2010 წლის ოქტომბერში მიღებულ საკონსტიტუციო ცვლილებებშიც, რომელშიც სრულფასოვნად ვერ აისახა ქვეყნის სოციალური პოლიტიკის ძირითადი პრინციპები [23].



„ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმის ტყვეობაში აღმოჩნდა ყველა სახელისუფლებო შტო და მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოც, რომელმაც ქართველი ერის ინტერესების საწინააღმდეგოდ, 2012 წლის 26 ივნისს, გააუქმა, ანუ ძალადაკარგულად ცნო „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული უკანასკნელი შეზღუდვა მოქალაქეობის არმქონე პირებზე (უცხოელებზე). სამწუხაროდ, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწა გატანილი აღმოჩნდა ღია ბაზარზე, სადაც, პრაქტიკულად, საქართველოს არც ერთი კონკურენტუნარიანი მოქალაქე არ არსებობდა.

როგორც პროფესორები ანა ფირცხალაშვილი და პაატა კოლუაშვილი მიუთითებდნენ, მიწის განუსაზღვრელი ოდენობით გასხვისება უცხოელებზე შეუთავსებელი იყო ქვეყნის სასიცოცხლო ამოცანებთან და საზოგადოებრივ ინტერესებთან. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება, რომელიც მორატორიუმის შინაარსისა და მის მიერ 2012 წელს გაუქმებული ძირითადი აკრძალვის შინაარსობრივ იდენტურობას ადგენდა, სამართლებრივად სრულ ნონსენსს წარმოადგენდა [24].

მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო განსაკუთრებით ფრთხილად ეკიდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის საკითხს და ეს სფერო უმკაცრესი რეგულაციით გამოირჩევა. ამასთანავე, არც ერთ თანამედროვე ქვეყანაში მიწაზე საკუთრება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და ის რეგულირდება სხვადასხვა ნორმატიული აქტით.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ნებისმიერ სახელმწიფოში, სტრატეგიული დანიშნულების ობიექტად

მიიჩნევა და მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში ამ ტიპის მიწის უცხოელებზე გასხვისება დაშვებულია იშვიათი, კანონით განსაზღვრული გამონაკლისების გარდა.

აღნიშნული გარემოება გათვალისწინებულ იქნა ახალი ხელისუფლების მიერ. ამიტომ 2013 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტმა უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისება დროებით შეაჩერა. კანონმდებელმა, ფაქტობრივად, დრო ითხოვა ახალი რეგულაციის შესაქმნელად. მით უმეტეს, მთავრობამ 2014 წლის 31 დეკემბრამდე უნდა უზრუნველყოს მიწის კადასტრის და მიწათმოწყობის ერთიანი სისტემის ორგანიზება საქართველოს ტერიტორიაზე, რადგანაც „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებამ 2004 წლიდან, ფაქტობრივად, უარყო მიწის აღრიცხვისა და კონტროლის, შედგენისა და დამუშავების აპრობირებული პრაქტიკა.

„ნაციონალური მოძრაობის“ საკონსტიტუციო სასამართლომ 2014 წლის 14 ივნისს, კვლავ აღადგინა „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ხელდასმული საკანონმდებლო ნორმა, ანუ ყოველგვარი არსებითი განხილვის გარეშე, განჩინებით, არაკონსტიტუციურად სცნო და ძალადაკარგულად გამოაცხადა სადავო მორატორიუმი, თუმცა, როგორც ექსპერტები განმარტავენ, საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება, რომელიც მორატორიუმის შინაარსისა და მის მიერ 2012 წელს გაუქმებული ძირითადი აკრძალვის შინაარსობრივ იდენტურობას ადგენს, სამართლებრივად სრული ნონსენსია [25].

უცხოელ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებზე მიწის გადაცემის საკითხი ევროკავშირისა და ზოგიერთი სხვა განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობაში ეროვნული ინტერესების გათვალისწინებითაა გადაწყვეტილი. ამ მიმართულებით შეიძლება გამოიყოს: ავსტრიის, დანიის, შვეიცარიის,

ლატვიის, თურქეთის, არგენტინის, გერმანიის, რუმინეთის, რუსეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, ესტონეთის, პოლონეთისა და სხვა ქვეყნების საკანონმდებლო დოკუმენტები.

უცხო ქვეყნების რეზიდენტების მიერ მიწის შესყიდვა აკრძალულია აშშ-ის ზოგიერთ შტატში, კანადის რამდენიმე პროვინციასა და ავსტრალიის დასავლეთ ნაწილში. ახალ ზელანდიაში შექმნილია მიწის დაცვის ტრიბუნალი და ეს ორგანო კონკრეტულად განიხილავს 2 ჰა-ზე მეტი მიწის შესყიდვის მსურველთა ყოველ განცხადებას, დადებითი გადაწყვეტილება კი უამრავი პირობის შესრულებაზეა დამოკიდებული. საფრანგეთში შეზღუდულია ვენახებისა და, განსაკუთრებით, დიდი ფართობის მიწის შეძენა.

ცხადია, სავსებით გასაზიარებელია ქართველ მეცნიერთა, პოლიტიკოსთა, საზოგადო მოღვაწეთა და საზოგადოების სხვა სფეროს წარმომადგენელთა დიდი ნაწილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მხოლოდ საქართველოს გადასაწყვეტია როგორი უნდა იყოს კანონმდებლობა მისი მიწის შესახებ.

საქართველოს კონსტიტუციამ მიწა უნდა დააფიქსიროს როგორც საკუთრების განსაკუთრებული ობიექტი და, შესაბამისად, მასთან განსაკუთრებული სამართლებრივი დამოკიდებულება უნდა შეიმუშავოს. მით უმეტეს, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მხოლოდ მცირე რესურსი არსებობს და ის სხვა ღირებულებებით არ შეიძლება შეიცვალოს.

მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო განსაკუთრებით ფრთხილად ეკიდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისათვის მიყიდვის საკითხს და ეს სფერო უმკაცრესი რეგულაციით გამოირჩევა.

2014 წლის 29 დეკემბერს საქართველოს პარლამენტში საქართველოს მთავრობის ინიციატივით შეტანილი კანონპროექტი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“, მისაღები არ აღმოჩნდა საზოგადოებისათვის, პოლიტიკური, სამეცნიერო და აკადემიური წრეების წარმომადგენელთა უდიდესი ნაწილისათვის. აღსანიშნავია, რომ საზოგადოება „საქართველოს მიწის გუშაგის“ სახელით 33-მა მეცნიერმა მიმართვა გაუგზავნა საქართველოს ხელისუფლებას და სთხოვა მიწათსარგებლობის ახალი რეალისტური კანონის მიღება [26].

ქართული მიწის უცხოელებისათვის მიყიდვის დაუშვებლობის საკითხი გახდა საქართველოს 1992-1995 წლების მოწვევის პარლამენტის წევრთა ერთი ჯგუფის მიმართვის საგანი საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის, პრემიერ-მინისტრის, იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს საზოგადოებისადმი.

აღნიშნულმა მიმართვამ მოგვიანებით წიგნის სახე მიიღო, სადაც ისტორიული, პოლიტიკური და სამართლებრივი თვალსაზრისით დასაბუთდა, რომ ქართული მიწა არის შეუცვლელი, გაუმრავლებელი და ამოწურვადი დიდი ფენომენი, ამიტომ მიწის განუსაზღვრელი ოდენობით გასხვისება უცხოელებზე ქვეყნის სასიცოცხლო ამოცანებთან და საზოგადოებრივ ინტერესთან შეუთავსებელია.

მიწა არის არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური და კულტურული ფასეულობა და მხოლოდ საქართველოს გადასაწყვეტია მისი მიწის კანონმდებლობის სტრუქტურა, სადაც თანამედროვეობასთან მორგებულად ასახული იქნება ის შეზღუდვები, რომლებიც ეხება უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისებას.

საქართველოს კანონმდებლობამ უნდა დაიცვას ქვეყნის მოსახლეობის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ინტერესები. მით უმეტეს, კონსტიტუცია არის ყველაზე დიდი კანონი, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს რაობას, ხოლო მისი ხარისხი, ისეთი ყველაზე დიდი საზომია, რომელიც ერის ხარისხს და, შესაბამისად, განსაზღვრავს ერისა და სახელმწიფოს აწმყოსა და მომავალს [27].

ე. შვეარდნაძის და შემდგომი პერიოდის საქართველოში კონსტიტუციით აღიარებული იყო სიტყვისა და აზრის თავისუფლება, თუმცა, საზოგადოების გარკვეული ნაწილი მიეჯახვა „მოქალაქეთა კავშირისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ ანუ ე. შვეარდნაძისა და მ. სააკაშვილის ავტორიტეტულობას და დაკარგა კრიტიკის შესაძლებლობა. პოლიტიკურმა ხელისუფლებამ ვერ მოძებნა საერთო ენა მოქალაქეებთან და ვერ მოხდა დემოკრატიული პროცესების სამართლებრივი რეგულირება, ანუ ქვეყანა ვერ ჩამოყალიბდა სამართლებრივ სახელმწიფოდ. იმ პერიოდის პარტიულმა ნომენკლატურამ ტირანიას დაუჭირა მხარი და დაიწყო ცალმხრივად ერთ განსაზღვრულ ინტერესსა თუ შეხედულებაზე დაქვემდებარების პროცესი. მმართველი პარტიის საპარლამენტო დეპუტატები მთლიანად ემორჩილებოდნენ მითითებებსა და დირექტივებს და პარლამენტში სხვადასხვა ძალთა შორის ვერ მოიძებნა კომპრომისის გზა. პარტიული ზეგავლენის ქვეშ მოექცა სახელმწიფო ადმინისტრაციული აპარატი, ძალოვანი სტრუქტურები და სასამართლო ხელისუფლება. ფაქტობრივად, ჩამოყალიბდა ე.წ. „დახურული საზოგადოების“ ფენა, რომელშიც პოლიტიკურ ელიტასთან აღმოჩნდნენ ხელისუფლებისაგან მართული და, შესაბამისად, მათგანვე ტკბობამიღებული კულტურული, სახელოვნებო, საგანმა-

ნათლებლო, სპორტული და სხვა ელიტარული ჯგუფები, რომლებმაც ქვეყანაში შექმნეს ელიტარული კორუფციული სისტემა.

ამდენად, საქართველო ვერ ჩამოყალიბდა დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოდ, სადაც მოხდებოდა პარტიულ-ნომენკლატურული გამიჯვნა. ამის ნათელი მაგალითი იყო ხელისუფლების გავლენის ქვეშ მოქცეული სამართლო სისტემა და ნომენკლატურული ბიუროკრატია.

საქართველოში მიმდინარე ცხრაწლიანმა პროცესებმა შეანელა პოლიტიკური აზროვნების განვითარება. საშიში გახდა სხვადასხვა ინდივიდუალური არგუმენტების გამოაშკარავება. თავისუფალი აზროვნება „ნაციონალური მოძრაობის“ იდეოლოგიის აღქმა-შეცნობას დაუკავშირდა. ჩამოყალიბება დაიწყო ერთმა ე.წ. ჰარმონიულმა სისტემამ, რომელიც ერთი იდეოლოგიით და მისი დიდი მესიტყვის მ. სააკაშვილის მითითებებით, ქცევით და საქმეებით ისაზღვრებოდა. ამიტომ ძველი კომუნისტური ღირებულებები შეიცვალა ახალი, „ნაციონალური მოძრაობის“ ღირებულებებით და, ფაქტობრივად, დაიწყო ახალი დახურული საზოგადოებრივი სისტემის შექმნა და საფრთხის წინაშე დადგა საშინაო და საგარეო მშვიდობა და უსაფრთხოება.

ყოველივე ამან განსაზღვრა საზოგადოების ერთიანობის არარსებობა. დაიწყო გაუცხოების პროცესი როგორც ქართულ, ისე ნაციონალურ უმცირესობებთან. თავი იჩინა შიდაპოლიტიკურმა თუ არაპოლიტიკურმა გათიშულობამ და დაპირისპირებამ. ქვეყანაში ჩამოყალიბდა მმართველი პარტიის მომხრეთა პრივილეგირებული ფენა – როგორც ქართულ, ისე რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ მოსახლეობაში.

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ შეიმუშავა მოქალაქეთა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური აღზრდის ახალი კონცეფცია, რომელიც ყველაზე ღრმად საშუალო და უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემას შეეხო. კ. ლომაიას ე.წ. საგანმანათლებლო მოდელი მთლიანად მიეხება ხელისუფლების იდეოლოგიას, რომელშიც აქცენტი კეთდებოდა სწავლისა და აღზრდის მხოლოდ ამერიკულ მოდელზე – მხოლოდ საინფორმაციო ცოდნის მიღებაზე, ხოლო აღზრდის პროცესში გამოიკვეთა ე.წ. თავისუფალი დროის გამოყენების სტრატეგია, ანუ მ. სააკაშვილის ე.წ. „ბუჩქის იდეოლოგია“. ნაკლები სწავლა, ნაკლები წიგნი და მეტი გართობა „ბუჩქებში“. ცხადია, ყოველივე ეს მიზნად ისახავდა სახელმწიფო სისტემიდან ხელისუფლებისათვის მიუღებელი ძველი, საშუალო და ახალი თაობის სწრაფად გამოდევნას.

თუ 2002 წელს, ფრანგული გაზეთი „მონდი“ სამხრეთ კავკასიის სამი რესპუბლიკიდან საქართველოს ყველაზე ღარიბ, ყველაზე კორუმპირებულ და ყველაზე სუსტ რესპუბლიკად მოიხსენიებდა, 2012 წლისათვის საქართველოში აყვავება დაიწყო კორუფციამ, ხოლო „ნაციონალური მოძრაობა“ მუდმივად სთავაზობდა ამომრჩეველს საკუთარ თავს ლოზუნგით: „დღეს ჩვენ ვართ და მომავალშიც ჩვენ ვიქნებით ხელისუფლებაში“.

„ნაციონალური მოძრაობის“ იდეოლოგიაში თავიდანვე იყო ჩადებული სოციალურ ფენებს შორის არსებული მკვეთრი განსხვავების სტრატეგია და ტაქტიკა – მდიდარი და ღარიბი ადამიანების არსებობა. ხელისუფლების კურსის მხარდამჭერები შეძლებულ ფენად ყალიბდებოდნენ და სხვადასხვა პრივილეგიებით სარგებლობდნენ. ფაქტობრივად, არ არსებობდა საშუალო ფენა, ხოლო სოციალური განსხვავებე-

ბი ქმნიდა სუსტ დემოკრატias. არსებული დემოკრატიული ინსტიტუტები თითქოს ემყარებოდა პოლიტიკურად თანასწორუფლებიანი მოსახლეობის საერთო ნებას, თუმცა სინამდვილეში, მას ეკონომიკურად ძლიერი ფენა განსაზღვრავდა.

ღარიბსა და მდიდარ ფენებს შორის არსებული დიდი განსხვავებულობა, მათ შორის პოლიტიკურ თანასწორობას გამორიცხავდა, მითუმეტეს, ქართულ პოლიტიკაში დომინირებდნენ ეკონომიკურად ძლიერი ძალები. ასეთ ვითარებაში კი ლაპარაკი ზედმეტი იყო საქართველოში დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის და თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბებაზე.

საქართველოში ვერ დამკვიდრდა ძლიერი სახელმწიფოდ, რომელიც სამართლიანი რეფორმების გზით წაიყვანდა ქვეყანას. უდავოა, არსებობდნენ ძლიერი სამთავრობო სტრუქტურები, მაგრამ ისინი არ ემორჩილებოდნენ კანონს. მით უმეტეს, სახელმწიფო აპარატი ყალიბდებოდა არა პროფესიონალური, არამედ პარტიული ნიშნით.

თუ სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის თვალსაზრისით დიდად არ გამოუჩენია თავი 1995 წლის კონსტიტუციას, ამ მხრივ უშედეგო აღმოჩნდა 2004 და 2014 წლებში განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებებიც. კონსტიტუციის 75-ე მუხლი აფიქსირებდა პრეზიდენტის ხელშეუვალობას და ხელშეუხებლობას, როგორც იტყვიან, ეს იყო ღმერთთან გატოლების მცდელობა, რასაც კარგად იყენებდნენ ე. შევარდნაძე და მ. სააკაშვილი.

„ნაციონალური მოძრაობა“ ყოველთვის გამოირჩეოდა ანტიკონსტიტუციური ქმედებებით. ჯერ კიდევ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობისას, მ. სააკაშვილს უკანო-



ნოდ ჰქონდა დედაქალაქის თავზე აღმართული „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული დროშა, მით უმეტეს, ის არ იყო გამოცხადებული სახელმწიფოს სიმბოლოდ.

ხუთჯვრიანი დროშის თემა ყოველთვის იყო განსჯის საგანი წარსულში და კამათის საგანია დღესაც. მეცნიერთა ერთი ჯგუფი – მ. ლორთქიფანიძე, რ. მეტრეველი, ო. ჯაფარიძე, გ. შარაძე, ნ. ქარქაშაძე, ნ. შოშიაშვილი, ა. ბაქრაძე, გ. ჯამბურია, ა. სილაგაძე, გ. ჯაფარიძე და სხვები ერთხმად აკეთებდნენ აქცენტს მის კათოლიკურ წარმომავლობაზე.

„ნაციონალური მოძრაობის“ აგრესიული ხასიათი თავიდანვე გამოკვეთა. ჯერ კიდევ მათი ერთ-ერთი მესიტყვე გივი თარგამაძე, 2002 წელს მკვეთრად უპირისპირდებოდა ე. შევარდნაძეს და მის ოჯახს და აცხადებდა: „მათ აქვთ ძალიან დიდი შანსი, ისე დაამთავრონ ცხოვრება, როგორც ელენე და ნიკოლაუ ჩაუმესკუებმა დაამთავრეს... ვედარ ვხედავ იმ სუბიექტურ და ობიექტურ მიზნებს, რამაც მათი ეს ხვედრი უნდა გამორიცხოს“ [28].

თუმცა, უფრო ადრე, 1992 წელს დიდი აღფრთოვანებით მიესალმებოდა საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების ერთ-ერთ მთავარ შემოქმედს და დამფინანსებელს, ე. შევარდნაძეს და აღნიშნავდა, რომ მისი ჩამოსვლა, მზის ამოსვლას უდრიდა საქართველოსთვის.

იმ დროისათვის ე. შევარდნაძის შტაბში ვერ იცნობიერებდნენ, რომ ამერიკელების დახმარებით „მოქალაქეთა კავშირში“ პოლიტიკურად დაფრთიანებული ახალი თაობის „მოქკავშირეები“ სერიოზულად ემზადებოდნენ სახელისუფლებო გადატრიალების მოსაწყობად და ხელისუფლებაში მოსასვლელად.

„ნაციონალური მოძრაობის“ პოპულისტურ თუ უტოპიურ იდეებს ბევრი თანამოაზრე გამოუჩნდა. ჯოგური პრინციპის გატარებით მოდიოდა ქართულ პოლიტიკაში წმინდა ამერიკული პროექტის მთავარი გმირი მ. სააკაშვილი, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ მთავარი „მეჯოგე“ გახდა. მან შესანიშნავად ისარგებლა ე. შევარდნაძის შეცდომებით საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში და ძირფესვიანად შეცვალა ე. შევარდნაძის მმართველობის სისტემის ფორმა და შინაარსიც.

მსოფლიო პოლიტიკურ ლაბირინთებში მოხეტიალე ე. შევარდნაძემ დამოუკიდებელი პოლიტიკური თამაში ვერ ისწავლა და ხან რუსეთს უჩოქებდა, ხან ევროპას და ამერიკას. საბოლოოდ, პოლიტიკურად გაკოტრებულმა საქართველოს კომპარტიის ყოფილმა ლიდერმა და საბჭოთა კავშირის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა აშშ-ს სთხოვა „მფარველობა“ და ამით საბოლოოდ დაუკარგა საქართველოს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. ერთი პერიოდი ე. შევარდნაძე „კავკასიური სახლის“ იდეამაც გაიტაცა და ჩეჩნეთის ვიცე-პრეზიდენტის, ახმედ ზაკაევის მიერ გახმოვანებულ „საქართველოს კონფედერაციის“ შექმნის ინიციატივას მიესალმა, რომელშიც გასული საუკუნის 20-იანი წლების ამიერკავკასიის რესპუბლიკების ანალოგიით ჩეჩნეთიც შევიდოდა.

2003 წლის ნოემბრიდან, ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შედეგად, ხელისუფლებაში მოსული „ნაციონალური მოძრაობა“ სახელმწიფო მმართველობის სისტემური ცვლილებების გატარების გზას დაადგა, მაგრამ ყოველივე ამის განხორციელება ახლო წარსულის მკვეთრი უარყოფით დაიწყო. „ნულოვანი ტოლერანტობის“ თეზა საზოგადოების დიდი ნაწილისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. მ. სააკაშვილი ყოველივე

არსებულის ნგრევამ გაიტაცა, მიიღო ვოლუნტარისტულ-ავტორიტარული გადაწყვეტილებები და ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით, მმართველობის 9 წლის განმავლობაში, ხალხის რისხვა დაიმსახურა. მ. სააკაშვილი ვერ ჩამოყალიბდა „პინოჩეტის“ მსგავს პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწედ და მთლიანობაში ქართული სახელმწიფო ვერ შედგა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და სამართლებრივი თვალსაზრისით.

მ. სააკაშვილის ხელისუფლებამ კიდევ უფრო გააძლიერა 1995 წელს ქართული კონსტიტუციის მიღებით დაწყებული უკანონობისა და უსამართლობის განცდა და კონსტიტუციის საკუთარ მმართველობაზე მორგების პროცესი, რომელმაც პარადოქსული ხასიათი მიიღო.

სწორედ ასეთ ვითარებაში, საზოგადოება სახელისუფლებო ცვლილებების უკიდურესი აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდა და 2012 წლის ოქტომბერი ახალი ათვლის წერტილად იქცა საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში. ხელისუფლების სათავეში მოსული პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება“ ურთულესი გამოწვევების წინაშე დადგა. ერთბაშად იჩინა თავი პოსტსაბჭოური საქართველოს სახელმწიფო და პოლიტიკურ მმართველობაში დაშვებულმა, უაღრესად ნეგატიური ხასიათის შეცდომებმა და დანაშაულობებმა, რომლებიც კომუნისტურ მმართველობასთან შედარებით უფრო რთული, საშიში და მავნე აღმოჩნდა.

ქვეყნის წინაშე ბევრი დილემა დგას, რომელიც დროსა და სივრცეშია გადასაწყვეტი. ქართულმა საზოგადოებამ ოცდათხუთი უმძიმესი წელი გაიარა. ბიბლიური მოსეს გზის ორმოცწლიანი მონაკვეთის თხუთმეტი წელი ისევ გასავლე-

ლია, რომ საქართველოში ასე თუ ისე ჩამოყალიბდეს დემოკრატიული და სამართლიანი სამოქალაქო საზოგადოება

### ლიტერატურა

1. ა. დემეტრაშვილი. გაზ.: „რეზონანსი“, 2009, 4 მაისი.
2. შარვაშიძე ივანე (ვაჟა), კონსტიტუციონალიზმი ზნეობრიობის გარეშე ფარატინა ქალაქი. გაზ.: „რეზონანსი“, 2010, 23 აპრილი.
3. ა. დემეტრაშვილი. გაზ.: „რეზონანსი“, 2010, 26 აპრილი.
4. ძაბირაძე ვ., კონსტიტუციური რევოლუცია – ხსნის ერთადერთი გზა! გაზ.: „რეზონანსი“ 2010, 17 ივნისი
5. გაზ.: „რეზონანსი“. 2010, 10 ივნისი.
6. გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა“, 2010, 10 აგვისტო.
7. გაზ.: „ახალი თაობა“, 2010, 5 ივლისი.
8. გაზ.: „რეზონანსი“, 2010, 21 ივლისი.
9. ნ. სარჯველაძე. გაზ.: „რეზონანსი“, 2010, 31 ივლისი
10. გაზ.: „რეზონანსი“, 2010, 4 სექტემბერი.
11. თ. ხიდაშელი. გაზ.: „რეზონანსი“, 2010, 21 აგვისტო.
12. დ. ლორთქიფანიძე. გაზ.: „საერთო გაზეთი“, 2015, 16 დეკემბერი.
13. ნ. კირთაძე. საქართველოს ახალი კონსტიტუცია დაღუპავს. გაზ.: „ახალი თაობა“, 2010 წლის 22 სექტემბერი.
14. გაზ.: „რეზონანსი“. 2012, 9 მაისი.
15. ა. დემეტრაშვილი, გაზ.: „ახალი თაობა“, 2012, 10 მაისი.
16. გაზ.: „მთელი კვირა“. 2010, 20 სექტემბერი.
17. ზ. ანჯაფარიძე. გაზ.: „რეზონანსი“, 2010, 28 სექტემბერი.
18. გ. ნოდია. გაზ.: „რეზონანსი“, 2010, 2 ოქტომბერი.

19. ლ. იზორია. დაუსაბუთებელი საკონსტიტუციო ცვლილებები, გაზ.: „რეზონანსი“, 2010, 6 ოქტომბერი.
20. მ. უგრეხელიძე. გაზ.: „რეზონანსი“, 2010, 8 ოქტომბერი.
21. ა. დემეტრაშვილი. გაზ.: „რეზონანსი“, 2011, 18 ივნისი.
22. ჯიბლაშვილი ზ., უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის ქართული ვარიაცია, გაზ.: „რეზონანსი“, 2012, 20 თებერვალი.
23. ნ. ნათაძე, პ. კოლუაშვილი, საქართველოს სახელმწიფოს სოციალური მოვალეობები, 2003, 14 ნოემბერი.
24. ა. ფირცხალაშვილი, პ. კოლუაშვილი, მიწის რეგულაციის უქონლობას კატასტროფული შედეგი მოჰყვება. გაზ.: „რეზონანსი“, 2014, 2-8 ივლისი.
25. გაზ.: „რეზონანსი“, 2015, 24 თებერვალი.
26. დავიცვათ კონსტიტუცია გაყალბებისაგან. თბ., 2014.
27. ბ. მძინარაშვილი. გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა“, 2002, 18 ივლისი.

## საპარლამენტო კონსტიტუციური მოდელი

„რა არის ტრიბუნა? – წამოიძახა ლუი ბონაპარტემ – ეს პარლამენტარიზმია!“ რა იტყოდით პარლამენტარიზმის შესახებ?.. პარლამენტარიზმი მარგალიტია. აი, კიდევ ერთი სიტყვით გამდიდრებული ლექსიკონი“, – წერს ვიქტორ ჰიუგო წიგნში „პატარა ნაპოლეონი“, ამგვარად, პირველად მოხდა აღნიშნული ტერმინის ლიტერატურაში გამოჩენა და მან მაშინვე ორგანიზება შეიძინა: კნინობითი და აღმატებითი. „მაშასადამე, განაგრძობს ვიქტორ ჰიუგო, პარლამენტარიზმი ნიშნავს მოქალაქეთა გარანტიებს, დისკუსიის, პრესის, ინდივიდუალურ თავისუფლებას, გადასახადებზე კონტროლს... უფლებას იცოდეთ, როგორ განკარგავენ თქვენს ფულს, კრედიტის სიმყარეს, რწმენის, კულტის აღსრულების თავისუფლებას... თითოეულის უსაფრთხოებას“, ტირანიის საპირწონეს, ერის ღირსებას, სახალხო ინიციატივას, ცვლილებებს, სიცოცხლეს და ბევრ სხვა რამეს [1. 3].

ლათინური სიტყვა „პარლიამენტუმ“ „ლაპარაკს“ ნიშნავს, თუმცა, პარლამენტში არა მარტო აზრებს უზიარებენ ერთმანეთს, არამედ საქმესაც აკეთებენ. ზოგიერთ სისტემაში მთავრობას პარლამენტი აყალიბებს და ზედამხედველობს კიდევ (გერმანია, იტალია). იგი პოლიტიკაშია ჩაბმული და ქვეყნის პოლიტიკის წარმართვის, ოფიციალურ პირთა არჩევა-დანიშვნის საქმეშიც მონაწილეობს. სხვა სისტემებში კი ეს ან არ ხდება, ან სხვაგვარად ხორციელდება, მაგრამ ყველა პარლამენტის საერთო ნიშან-თვისება ისაა, რომ ყველაზე მნიშვნელოვან საკანონმდებლო აქტებს შეიმუშავენ და საკანონმდებლო ფუნქციას ასრულებს კონსტიტუციების უმ-

რავლესობაში. პარლამენტი კანონმდებლობის განხორციელებისთვისაა პასუხისმგებელი. არჩეული სახალხო წარმომადგენლობითი ორგანოსათვის საკანონმდებლო უფლების გადაცემა დემოკრატიის ძირეული თვისებაა, რადგან ამ გზით მოქალაქეები, თუმცა არა პირდაპირ, მაგრამ მაინც თავად ქმნიან მოსახლეობისათვის მისაღებ კანონებს.

პარლამენტარიზმის იდეა უცხო არ ყოფილა საქართველოს ცხოვრებისათვის, თუმცა, მისი ქართული საზოგადოება და პრაქტიკული დატვირთვა ყოველთვის სპეციფიკური მოვლენა იყო. სამიათასწლოვანი სახელმწიფოებრივი ისტორიის მანძილზე საქართველო და მისი ცალკეული მხარეები, წეს-ჩვეულებებით, უხუცესთა საბჭოებით, სამეფო კართან არსებული დარბაზით იმართებოდა. თუმცა ქვეყანაში ფუნქციონირებდა ადგილობრივი საკანონმდებლო სამართალი რომაულ-ბიზანტიურ, სპარსულ და სხვა ქვეყნების ცალკეულ სამართლებრივ ნორმებთან ერთად.

ქართულ სინამდვილეს არ მოეპოვება ცნობები ძველი მოქმედი, არჩევითი სახალხო წარმომადგენლობითი ორგანოს არსებობის შესახებ, თუმცა, ბიზანტიური საისტორიო წყაროები გვაწვდის ცნობას 554 წელს ჩატარებული სახალხო კრების შესახებ, რომელიც შეეცადა განესაზღვრა ქართველთა პოლიტიკური ორიენტაცია.

ჩვენთვის ნაკლებად ცნობილია 1183 წელს თამარ მეფის ეპოქაში ყუთლუ-არსლანის მიერ „კარვის“ დადგმის და მისი შემდგომი შესაძლო პერიპეტეების შესახებაც, მაგრამ დაწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ის არ გადაიქცეოდა სოციალურ ფენათა წარმომადგენლობით ოფიციალურ ორგანოდ და მოგვიანებით არ გარდაიქმნებოდა კანონმდებლობაზე დაფუძნებულ ორპალატიან პარლამენტად.

ცნობილია, რომ XX საუკუნის პირველ ნახევარში მიღებულ სხვადასხვა ქვეყნების კონსტიტუციებში უმთავრესი ყურადღება სახელმწიფოს ფორმას და პიროვნების უფლებებს ეთმობოდა, ხოლო მეორე ნახევრიდან უპირატესობა მიენიჭა რეალური პოლიტიკის გატარების უმთავრეს ფაქტორს – სახელმწიფო მექანიზმს. შესაბამისად, კონსტიტუციას ორი ძირითადი მართვა-გამგეობის ფორმის და სახელმწიფო წყობილების საკითხი უნდა გადაეწყვიტა. ქვეყანას უნდა აერჩია საპარლამენტო ან საპრეზიდენტო რესპუბლიკა, რომელიც იქნებოდა უნიტარული ან ფედერალური სახელმწიფო.

სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის თვალსაზრისით საპრეზიდენტო და საპარლამენტო მოდელი ერთნაირად დემოკრატიულია და უზრუნველყოფს ეფექტურ მართვას (აშშ, გერმანია).

საპარლამენტო მოდელში ხალხი პარტიული არჩევნების გზით ახორციელებს თავის ხელმწიფებას, პარლამენტის მეშვეობით ქმნის აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომელიც პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე.

საპარლამენტო მოდელი წარმატებით ფუნქციონირებს იტალიაში, ისრაელში, გერმანიაში, საბერძნეთში, თურქეთში და ა.შ.

საპარლამენტო რესპუბლიკის არსებობის პირობებში, პარლამენტის მიერ არჩეული პრეზიდენტის ძალაუფლება შეზღუდულია, აქვს მხოლოდ ფორმალური ძალაუფლება და რეალურად, სახელმწიფოს მეთაურობს პრემიერ-მინისტრი, მთავრობის თავმჯდომარე, კანცლერი ან არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ლიდერი. თუმცა, ასეთ ვითარებაში ქვეყანა ნაკლებად სტაბილურია, ხშირია მთავრობის შეცვლა და რიგგარეშე არჩევნები. მდგრად სახელმწიფოში ეს დიდი პოლი-



ტიკური ტრაგედია არ არის და ზოგჯერ შეუმჩნეველია, მაგრამ საზოგადოებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისების დროს მთავრობის არასტაბილურობა შეიძლება გახდეს სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოშლის ფაქტორი. არ არის გამორიცხული საპარლამენტო უმრავლესობამ წარმოშვას ავტორიტარული რეჟიმი.

საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელში – საკანონმდებლო – პარლამენტი, აღმასრულებელი – მთავრობა, სასამართლო ხელისუფლება – სასამართლო, პრეზიდენტი არ დებულობს მონაწილეობას აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებაში. ის არის სახელმწიფოს მეთაური და ქვეყნის ერთიანობის, ადამიანის უფლებათა დაცვის და ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოთა კონსტიტუციური საქმიანობის გარანტი.

ამ მოდელში მთავრობის შექმნაზე პასუხისმგებელია პარლამენტი, რომელსაც აქვს მთავრობის საქმიანობის კონტროლის ქმედითი საშუალებები, შეუძლია უნდობლობა გამოუცხადოს მას და გადააყენოს. თუმცა, უნდობლობის გამოცხადებასთან ერთად აირჩევს ახალ პრემიერ-მინისტრს. ამდენად, მთავრობის გადაყენება შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმავდროულად არსებობს შეთანხმება ახალი პრემიერ-მინისტრის თაობაზე.

პრეზიდენტს ექნება პარლამენტის დათხოვნის უფლება მხოლოდ კონსტიტუციის ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. მაგალითად, პრეზიდენტი ვერ დაითხოვს პარლამენტს, თუ იგი უნდობლობას გამოუცხადებს მთავრობას, ან ნდობას არ გამოუცხადებს პრეზიდენტის მიერ წარდგენილ მთავრობას.

პრეზიდენტს მხოლოდ მაშინ ექნება პარლამენტის და-  
თხოვნის უფლება, თუ პარლამენტი ნდობას არ გამოუცხა-  
დებს პრეზიდენტის მიერ წარდგენილ მთავრობას და ვერც  
თავად აირჩევს პრემიერ-მინისტრს.

საპარლამენტო რესპუბლიკის დროს არ არის გამორი-  
ცხული მთავრობის ხშირი ცვლა. მაგალითად, იტალიამ 1990  
წლამდე, 50 წლის განმავლობაში, შეიცვალა დაახლოებით 45  
მთავრობა. ამასთან მთავრობის წასვლა არ ნიშნავს კა-  
ტასტროფას, რაც დამახასიათებელია საპრეზიდენტო რეს-  
პუბლიკისათვის, ამიტომ ფიქრობენ, რომ საპარლამენტო  
რესპუბლიკას სტაბილურობის უფრო მეტი განცდა მოაქვს.

ზოგიერთ პოლიტიკოსს ხიზლავდა საქართველოს პირ-  
ველი რესპუბლიკის დემოკრატიული სულისკვეთება, საპარ-  
ლამენტო მოდელი, რომელიც არ იყო კონსტიტუციით განმ-  
ტკიცებული. უდავოა, პირველ კონსტიტუციაში მართლაც  
იყო დემოკრატიული ნიშნები, მაგრამ ვინ ნახა ქართულ  
სინამდვილეში ამ სამდღიანი კონსტიტუციის რეალური  
ამოქმედება, ვინ იცის, როგორი იქნებოდა ის შემდგომში და  
მთავრობის მეთაური გახდებოდა თუ არა ავტორიტარი,  
როგორც ეს მოხდა იტალიასა და გერმანიაში (მუსოლინი,  
ჰიტლერი).

სხვათაშორის, არ არის აუცილებელი პარლამენტი ახორ-  
ციელებდეს კონტროლს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე,  
მათ შორის თანამდებობრივ დანიშვნებზე. მსოფლიოს არც  
ერთ ქვეყანაში პარლამენტი არ მართავს ქვეყანას, თუმცა აქ  
განიხილება საკითხი მთავრობის ნდობის შესახებ.

ქართული ოპოზიციური სპექტრის ერთი ნაწილი დაინ-  
ტერესებული იყო პარლამენტი ნაკლებად ყოფილიყო ხალ-  
ხის წარმომადგენლობითი ორგანო და პოლიტიკური პარ-

ტიების სარბიელად ქცეულიყო, შესაბამისად, ქვეყანას უნდა ჰყოლოდა პრეზიდენტს ჩანაცვლებული, კოლექტიური მმართველი პარლამენტის სახით.

ასეთ ვითარებაში პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები იყვნენ აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციების შექმნის მომხრენი და პარლამენტი უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოდ კი არ მოიაზრებოდა, არამედ ცალკეულ პოლიტიკურ ძალთა სახელისუფლებო ამბიციების განხორციელების ინსტრუმენტი ხდებოდა.

აშშ-ში პრეზიდენტი კონგრესის საქმიანობაზე ეფექტიანი გავლენის მიზნით ეყრდნობა თავის პარტიულ ფრაქციას და ე.წ. „ვეტოს“, რომელიც განსაკუთრებული ინსტრუმენტია და საშუალებას აძლევს კანონპროექტი უდავოდ შეაყოვნოს. ამასთან აშშ-ის პრეზიდენტები ზოგჯერ არ ერიდებიან უფლებამოსილების უხეშ გადამეტებას. მაგალითად, აშშ-ის პრეზიდენტებმა 200-ჯერ გამოიყენეს ჯარი საკუთარი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ კონგრესის დაუკითხავად და მხოლოდ 5-ჯერ მოხდა ომის გამოცხადება კონგრესის ნებართვით.

ნახტომი საპრეზიდენტო მოდელიდან საპარლამენტო რესპუბლიკაზე რთული პროცესია. ამიტომ უნდა განისაზღვროს ხელისუფლების შტოთა ბალანსისა და ჰარმონიზაციის მიღწევა, ისე რომ, მათ შორის კონტროლი და თანამშრომლობა არსებობდეს, თუმცა ამისათვის საჭიროა საყოველთაო კონსენსუსის მიღწევა საზოგადოების შიგნით.

ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება დაკავშირებული იყო გარდამავალი პერიოდის პარლამენტთან, რომლის ძირითადი ფუნქცია აღმოჩნდა არა იმდენად საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელება, არამედ სა-

ხელმწიფო გადატრიალების შემდეგ დარღვეული პოლიტიკური ლეგიტიმურობის აღდგენა, მეტად განსხვავებულ პოლიტიკურ ძალთა თანამშრომლობის გზით.

კონსტიტუციონალისტები იმასაც უსვამენ ხაზს, რომ 1995 წელს მიღებულმა კონსტიტუციამ (თავდაპირველი ტექსტი) შეასრულა თავისი დამფუძნებელი და მარეგულირებელი ფუნქცია. ხოლო 2004 წლის 6 თებერვლის და შემდგომმა ცვლილებებმა ხელი შეუწყვეს ძალზე მტკივნეული, ხშირად არასწორად ჩატარებული, მაგრამ საჭირო რეფორმების განხორციელებას.

საერთოდ კონსტიტუციური რეფორმები, არც ისე სასიამოვნო აქტია, თუმცა ის დამახასიათებელი აღმოჩნდა განვითარებადი დემოკრატიის ქვეყნებისათვის – მით უმეტეს მას მიმართავენ კანონმდებლობის გასასწორებლად, პოლიტიკურ ძალთა შორის რეალიების ასასახავად და რევილუციის შედეგების ლეგიტიმურობის მისაღწევად.

საკონსტიტუციო ცვლილებების სახელმწიფო კომისიის აზრით, არსებით გადახედვას მოითხოვდა კონსტიტუციის ნორმათა ის ნაწილი, რომელიც საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას და კონსტიტუციის გადასინჯვის წესს ეხებოდა. აქედან საპარლამენტო კონსტიტუციური ცვლილებების ჩარჩოში მისაღები ჩანდა მისი სტრუქტურის გადახედვა და ორპალატიანი პარლამენტის დამკვიდრება. მით უმეტეს ამ მოსაზრებას მხარს უჭერს კონსტიტუციონალისტთა დიდი ნაწილი, იმის გათვალისწინებითაც, რომ ამგვარი სისტემები არსებობდა განვითარებული დემოკრატიის, თუნდაც უნიტარულ სახელმწიფოთა აბსოლუტურ უმრავლესობაში. ასეთი სისტემის შემოღება ხელს შეუწყობდა პარლამენტის წარმომადგენ-

ლობითი ხარისხის ამღლებას და მასში დაბალანსებულად საზოგადოების, პოლიტიკური ელიტისა და ადგილობრივი (რეგიონული) ინტერესების წარმოდგენას.

ორპალატიანი პარლამენტის არსებობის პირობებში, გარკვეულწილად, იკვეცებოდა პრეზიდენტის გაზრდილი უფლებამოსილება, მაგრამ იზრდებოდა საპარლამენტო კონტროლი აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, მით უმეტეს პრეზიდენტი უფლებამოსილი იყო მხოლოდ ერთი – ქვედა პალატა დაეთხოვა.

მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ ქვედა და ზედა პალატებს უნდა დაებალანსებინათ ერთმანეთი, რაც პოლიტიკურ ოპოზიციას მეტ შანს აძლევდა წარმოეჩინა თავისი ადგილი და როლი საპარლამენტო ცხოვრებაში.

საინტერესო ჩანდა ა. დემეტრაშვილის მოსაზრება უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სახელწოდების შეცვლის თვალსაზრისითაც, ამ შემთხვევაში მას „საქართველოს ეროვნული კრება“ უნდა წოდებოდა, რომლის შემადგენლობაში იქნებოდა რესპუბლიკის საბჭო და სენატი.

რესპუბლიკის საბჭო აირჩეოდა პროპორციული საარჩევნო სისტემით პარტიული სიების საფუძველზე 4 წლის ვადით 100 დეპუტატისაგან.

სენატორების ერთი ჯგუფი აირჩეოდა მოსახლეობის მიერ პირდაპირი საარჩევნო უფლებების საფუძველზე ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში საინიციატივო ჯგუფის ან პოლიტიკური გაერთიანების მიერ დასახელებული კანდიდატებიდან. საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს სამ სენატორს, მათ შორის ორს – ხელოვნების, კულტურის, განათლების, მეცნიერების ან საზოგადოებრივ მოღვაწეობაში მათი

დამსახურების გათვალისწინებით, ხოლო ერთს საქართველოს სამეფო გვარის წარმომადგენლობიდან.

თანამედროვე ვითარებაში საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებთან დაკავშირებული პრობლემების პოლიტიკურ გადაწყვეტილებამდე ერთპალატიანი პარლამენტის დატოვებას უჭერდა მხარს საზოგადოებრივი კომისია, რომელიც, განსხვავებით ა. დემეტრაშვილისაგან, საერთოდ ვერ ხედავდა ჩვენისთანა პატარა სახელმწიფოსთვის ორპალატიანი პარლამენტის საჭიროებას. თუმცა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების, ანუ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ აუცილებელი იქნებოდა გადასვლა ორპალატიან სისტემაზე და ჩვენი აზრით, ალბათ, არ გამოირიცხებოდა საქართველოს ფედერალური მოწყობის სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაც.

საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისია არაერთ ნოვაციას უჭერდა მხარს, მათ შორის იყო პარლამენტის წევრად არჩევის, პარლამენტის ლეგიტიმაციის პროცედურის, იმუნიტეტის მოხსნის, დროებითი საგამომიებო კომისიის, იმპიჩმენტის პროცედურის გამარტივებისა და დაკონკრეტების, დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულის – გამოძიების სახელმწიფო დეპარტამენტის, სასამართლო ხელისუფლების საბჭოს, ეროვნული თავდაცვის საბჭოს, მთავარი (საგანგებო) პროკურორის შემოღების და სხვა საკითხები.

ამგვარად, საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის მიერ შემუშავებული კონსტიტუციის ახალი რედაქცია ცალსახად უჭერდა მხარს საპარლამენტო მმართველობის შემოღებას, რომელიც შესაბამისად გულისხმობდა პრეზიდენტის ფუნქციებისა და უფლებამოსილების შეზღუდვას.

საქართველოში პოპულარული იყო საპარლამენტო რესპუბლიკის იდეა. ბევრი ექსპერტი ფიქრობდა, რომ ჩვენი ქვეყნის ბოლო ოცწლიანი ისტორია უკავშირდებოდა სახელმწიფო მართვის საპარლამენტო სისტემას. ამ მიმართულებით ბოლო პერიოდში საზოგადოებას საინტერესო მოსაზრებებს სთავაზობდნენ საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის წევრები ვახტანგ ძაბირაძე და ვახტანგ ხმალაძე.

უდავოა, ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის შეინიშნება გარკვეული წინააღმდეგობა, რომელიც კაცობრიობის ისტორიის თანამდევი მოვლენაა და დამახასიათებელია მმართველობის ნებისმიერი ფორმისათვის. ამიტომ შეუძლებელია ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთობათა სრული ჰარმონიზაცია, თუმცა კაცობრიობამ შექმნა სახელმწიფოს მოწყობისა და მართვის ფორმები და პრინციპები, რომლებიც შესაძლებლობას აძლევს საზოგადოებას გამოხატოს თავისი დადებითი თუ უარყოფითი დამოკიდებულება პოლიტიკური ძალებისადმი არჩევნების გზით. ხოლო მმართველობის სისტემა ისე უნდა მოეწყოს შეუძლებელი გახდეს ხელისუფლების მხრიდან ძალაუფლების გადამეტება და უკიდურეს შემთხვევაში დიქტატორული რეჟიმის დამყარება.

„ჩვენი უახლესი ისტორიული წარსულიდან და სხვა დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ასეთი რამ შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც არის დიდი დემოკრატიული ტრადიციები, ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება და მდგრადი პარტიული სისტემა და ამ შემთხვევაშიც კი ასეთი სისტემები საკმაოდ დიდი რისკის შემცველია“ (ვ. ძაბირაძე, ვ. ხმალაძე).

ექსპერტების რწმენით, საქართველო დემოკრატიული და წარმატებული ქვეყანა მაშინ იქნება, თუ მუდმივი და ეფექტიანი კონტროლი გაეწევა აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობას, ხოლო ეს მექანიზმები, მათივე აზრით, სრულყოფილად მოცემულია სახელმწიფო მოწყობის იმ მოდელში, რომელსაც საპარლამენტო რესპუბლიკას უწოდებენ.

ასეთ საპარლამენტო სისტემაში პრეზიდენტი არ არის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, ასრულებს წარმომადგენლობით ფუნქციებს და არის ქვეყნისა და ერის მთლიანობის გარანტი. ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასამართლო ხელისუფლების ფორმირებაში. ამასთანავე სახელმწიფოს მეთაურის როლი იზრდება სამთავრობო და საპარლამენტო კრიზისების დროს, როდესაც მთავრობა კარგავს საპარლამენტო უმრავლესობის მხარდაჭერას, ან მისი მუშაობა პარალიზდება პარლამენტში არსებული პოლიტიკური დაჯგუფებების შედეგად. ასეთ ვითარებაში პრეზიდენტის უფლებამოსილება მკვეთრად იზრდება და ის დამოუკიდებლად წყვეტს ბევრ მნიშვნელოვან სახელმწიფო-პოლიტიკურ საკითხებს (პარლამენტის დათხოვნა, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა და ა.შ.).

საპარლამენტო სისტემაში სახელმწიფოს მეთაურის კონსტიტუციური სტატუსით მოქმედი პრეზიდენტი მოწყვეტილია აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროს ხელმძღვანელობას, არ არის ხელისუფლების არც ერთი შტოს წევრი, არ არის რომელიმე პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი, ან შეჩერებული აქვს წევრობა, არ მონაწილეობს მთავრობისა და პარლამენტის ყოველდღიურ საქმიანობაში, რის გამოც მოკლებულია საზოგადოებისა და პოლიტიკური ძალების მხრიდან კრიტიკას, სარგებლობს მაღალი ნდობით და ებ-



ლევა შესაძლებლობა კონსტიტუციური გზით „რბილად“ გამოიყვანოს ქვეყანა ეკონომიკური თუ პოლიტიკური კრიზისიდან.

ზოგადად საპარლამენტო სისტემაში პრეზიდენტის არჩევა ხდება არაპირდაპირი ან პარლამენტის გზით. ცხადია, ასეთ ვითარებაში, როდესაც პრეზიდენტი არ არის არჩეული, საერთო-სახალხო, პირდაპირი არჩევნების გზით ნაკლებია პოლიტიკური ამბიციის და ლეგიტიმაციის ხარისხიც. როგორც ფიქრობენ ე.წ. ახალი დემოკრატიის ქვეყნებში, დაბალი პოლიტიკური კულტურის და სუსტი სამოქალაქო საზოგადოების არსებობის პირობებში, უმჯობესია პრეზიდენტის არჩევა კოლეგიის მიერ, რაც განაპირობებს და ზრდის პრეზიდენტის, როგორც ძლიერი და მიუკერძოებელი არბიტრის ლეგიტიმაციის ხარისხს და ხელს უწყობს უფრო სტაბილური პოლიტიკური გარემოს ჩამოყალიბებას.

საპარლამენტო სისტემაში პარლამენტი ქმნის მთავრობას და აკონტროლებს მის საქმიანობას. თუმცა შესაძლებელია, მთავრობამ დაკარგოს პარლამენტის ნდობა, თუ აღმასრულებელი ხელისუფლება მთლიანად მთავრობის ხელშია, მისი მეთაური კი, პოლიტიკური გავლენის თვალსაზრისით, სახელმწიფოს პირველ პირადაა მიჩნეული. აქ შეიძლება უარყოფითი როლი ითამაშოს, ქვეყნის არამყარმა პარტიულმა სისტემამ და გამოიწვიოს ქვეყნის ქრონიკული სამთავრობო კრიზისი. მეორე მხრივ, პარტიულმა დისციპლინამ და ერთ საპარლამენტო ვადაში დომინანტური პარტიის არსებობამ შეიძლება შთანთქას პარლამენტის უმნიშვნელოვანესი საკონტროლო ფუნქცია.

საპარლამენტო რესპუბლიკის მომხრეთა დასკვნით: „პარლამენტი არის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორ-

განო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას. განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, ქმნის აღმასრულებელ ხელისუფლებას და აკონტროლებს მის საქმიანობას, მთავრობა ახორციელებს ქვეყნის მმართველობას, სასამართლო ხელისუფლება – მართლმსაჯულებას და კონსტიტუციურ კონტროლს, ხოლო სახელმწიფოს მეთაურს მეტწილად პოლიტიკური სისტემის სარეზერვო ინსტიტუტის როლი აკისრია. ყოველივე ეს, ერთობლიობაში, ქმნის შესაძლო პოლიტიკური კრიზისიდან „რბილად“ გამოსვლის ისეთ შესაძლებლობას, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების მოწყობის არც ერთ სხვა სისტემაში არ არსებობს“ [2].

ვ. დაბირაძე და ვ. ხმალაძე მხარს არ უჭერდნენ შერეული მმართველობის მოდელს, რომელიც გულისხმობდა პრეზიდენტის საკმაოდ ფართო უფლებამოსილებას, როდესაც ამავე დროს პრეზიდენტი უზრუნველყოფდა წონასწორობას პარლამენტსა და მთავრობას შორის. ამ მოდელში ურთიერთობათა სქემა დამოკიდებულია სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურის პიროვნებაზე, უფრო მეტად კი პარლამენტში პარტიული ძალების თანაფარდობაზე.

შერეული სახელმწიფო მმართველობა არის საფრანგეთში, რუსეთში, უკრაინაში, პორტუგალიაში, სლოვაკეთში, ლიტვაში და სხვაგან, მაგრამ კლასიკური სახით ის წარმოდგენილია საფრანგეთში და მმართველობის ამ მოდელს ფრანგულ მოდელსაც უწოდებენ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მასობრივად დაიწყო დეკოლონიზაციის პროცესი, ცხადია, ის საფრანგეთის კოლონიებსაც გადასწვდა, ასეთ ვითარებაში საფრანგეთი სახელისუფლებო კრიზისმა მოიცვა, რომლიდანაც თავის დასაღწე-

ვად ფრანგებმა ეროვნულ გმირს დე გოლს უხმეს. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ გოლისტი გენერლების ჟაკ მასუს და რაულ სალანის დიდი აქტიურობა. დე გოლის გაპრეზიდენტებამ განსაზღვრა კიდევაც 1958 წელს საფრანგეთის ახალი კონსტიტუციის მიღება, რაც ნიშნავდა უარის თქმას საპარლამენტო რესპუბლიკის კლასიკურ მოდელზე. ცხადია, ფრანგებმა მხარი დაუჭირეს ისეთი ქარიზმატული ლიდერის ფიგურას, რომელსაც უნდა აელაგმა საფრანგეთის კოლონიის – ალჟირის სეპარატისტული მოძრაობა, შეექმნა ძლიერი და სტაბილური ხელისუფლება და თავიდან აეცილებინა სამოქალაქო დაპირისპირება. დე გოლმა იმჟამად შეძლო ბევრი პრობლემის გადაწყვეტა და ის, რომ ალჟირმა დამოუკიდებლობა მოიპოვა, მას დამსახურებად უნდა ჩაეთვალოს და არა ნაკლად.

დე გოლის საპრეზიდენტო მმართველობის დროს აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებდა პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრიც და მათ შორის უფლებამოსილებები და ფუნქციები მკაფიოდ გადანაწილებული არ იყო. პირდაპირ, საერთო-სახალხო არჩევნების გზით არჩეული პრეზიდენტი იყო სახელმწიფოს მეთაური და შეეძლო ერთპიროვნულად, პარლამენტთან მოთათბირებისა და მისი თანხმობის გარეშე დაენიშნა პრემიერ-მინისტრი და მისი წარდგინებით მთავრობის წევრები. ეხელმძღვანელა მთავრობის სხდომებისათვის, საკუთარი აქტით მიეღო ბიუჯეტი, დაეთხოვა პარლამენტის ქვედა პალატა, გამოეცა საკანონმდებლო აქტები და ა.შ.

უფლებამოსილების თვალსაზრისით, ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობისას პრეზიდენტის უფლებამოსილება, აღემატება კიდევ საპრეზიდენტო მმართველობის

დროს პრეზიდენტისათვის მინიჭებულ უფლებამოსილებას, რაც აღმასრულებელ ხელისუფლებას პარლამენტის მიმართ დომინანტურ მდგომარეობაში აყენებს.

ასეთ ვითარებაში პარლამენტი შეზღუდულია, სუსტია საკანონმდებლო ინიციატივებიც და კომპეტენცია, თუმცა აქვს იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან პრეზიდენტის გადაყენების უფლება, მაგრამ ეს უფრო ფორმალური უფლებაა, ვიდრე რეალური. ამასთანავე პარლამენტი იტოვებს უფლებას უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას, რაც გადადგომით მთავრდება, ეს კი ნახევრად საპრეზიდენტო სისტემას განასხვავებს საპრეზიდენტო მმართველობისაგან და საპარლამენტო სისტემასთან აახლოებს.

აღნიშნულ სისტემაში ბევრია წინააღმდეგობები (პრეზიდენტის, პარლამენტის, პრემიერ-მინისტრის, რეალური და არარეალური უფლებრივი მხარეები), რაც შეიძლება გახდეს სახელისუფლებო კრიზისის საფუძველი. არ არის გამორიცხული ნახევრად საპრეზიდენტო სისტემის გადაქცევა სუპერსაპრეზიდენტო სისტემადაც ან პრეზიდენტის მმართველობის შესუსტების შემთხვევაში, მოხდეს საპარლამენტო მმართველობის მოდელზე გადასვლა.

ამდენად, ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობის სისტემა არ არის დაზღვეული კონფლიქტებისა და დაპირისპირებებისაგან, ვერ ხერხდება კრიზისისაგან მშვიდობიანად თავის დაღწევა, მით უმეტეს თუ არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური კონიუნქტურა პარტიული სისტემაა, პრეზიდენტისა და პრემიერის პიროვნულ-პოლიტიკური და საზოგადოებრივი ავტორიტეტი ვერ პასუხობს საჭირო მოთხოვნებს.

ცხადია, საქართველოში არ იყო დე გოლის მსგავსი პოლიტიკური ფიგურა, მით უმეტეს, არც პოლიტიკური კულტურა იყო მაღალი და არც პარტიული სისტემა მდგრადი, ამიტომ, ნახევრად საპრეზიდენტო მოდელი მიგვიყვანდა სუპერსაპრეზიდენტო მმართველობასთან, ან ერთმანეთთან დაპირისპირებულ პრეზიდენტთან და პარლამენტთან, ან მუდმივად იქნებოდა დესტაბილიზაციისა და სამოქალაქო დაპირისპირების ან დიქტატურის საფრთხე. რაც ქვეყანას აიძულებდა მთელი ეროვნული ენერგია, ინტელექტუალური და ეკონომიკური პოტენციალი მიემართა ამ საფრთხეთა განეიტრალებისაკენ და არა ქვეყნის აღმშენებლობისკენ [3].

საპარლამენტო მმართველობის სისტემის ქმედითუნარიანობაზე მსჯელობდნენ ნაციონალური მოძრაობის ყოფილი გამორჩეული სახეები, მათ შორის შესამჩნევად აქტიურობდა ალექსანდრე შალამბერიძე, რომელიც ფიქრობდა, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის ოცწლიანმა პერიოდმა პრაქტიკულად დაადასტურა საპრეზიდენტო სისტემის უვარგისობა, სადაც პრეზიდენტის ხელში არის კონცენტრირებული სახელმწიფოს ყველაზე ძლიერი ორი ხელისუფლება – აღმასრულებელი და სახელმწიფო მეთაურისა, რომელიც ვერ გაუმკლავდა გარე საფრთხეებს, სეპარატიზმს და ვერც ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა გააუმჯობესაო.

ხელისუფლების მკაცრი ოპონენტი ყველა ამ უბედურების სათავედ პრეზიდენტის ინსტიტუტს მიიჩნევდა და აღიარებდა, რომ სახელმწიფო ყოველთვის ნიშნავს იძულებას, მაგრამ ის სამართლებრივად შეზღუდული და გაკონტროლებული უნდა ყოფილიყო, თუმცა საპრეზიდენტო მმართველობა ამის შესაძლებლობას არ იძლეოდა და ეს მისია საპარლამენტო სისტემას უნდა ეტვირთა.

ა. შალამბერიძემ ამის დასამტკიცებლად მოიშველია ცნობილი მეცნიერების ხუან ლინცის, ფრედ რიგის, ბრიუს აკერმანის, რობერტ დალის გამოკვლევები, რომლებშიც ხაზი ესმებოდა, რომ პარლამენტარიზმს უფრო ნაკლებად აქვს ავტორიტარიზმის საფრთხეები, ვიდრე საპრეზიდენტო სისტემებს. ამ გამოკვლევებიდან ისიც ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, მესამე სამყაროს ქვეყნების ორმა მესამედმა, რომლებმაც დააფუძნეს საპარლამენტო მმართველობა, წარმატებით დაძლიეს დემოკრატიაზე გადასვლის პრობლემები, განსხვავებით მესამე სამყაროს ქვეყნების ერთი მესამედისაგან, სადაც საპრეზიდენტო მმართველობის სისტემა იქნა შემოღებული და სადაც არც ერთ ქვეყანაში დემოკრატიაზე გადასვლის მცდელობები არ განხორციელებულა გადატრიალებებისა და კონსტიტუციური წყვეტის გარეშე.

ამ კონტექსტში ა. შალამბერიძე იშველიებდა ბრიუს აკერმანის მიერ 2009 წლის მაისში გამოქვეყნებული კვლევის მონაცემებს, საიდანაც გაირკვა, რომ იმ 30 ქვეყნიდან, სადაც არსებობდა ამერიკული კონტროლისა და ბალანსის სისტემა, ყველგან, გამონაკლისის გარეშე ავტორიტარიზმი იყო გამეფებული და მუდმივად არსებობდა გადატრიალების საფრთხე.

დაახლოებით ანალოგიური ვითარება იყო საქართველოში, ამიტომ საპარლამენტო მმართველობის მოდელზე გადასვლით, თავიდან ავიცილებდით გადატრიალებებსა და რევოლუციებს [4].

ექსპერტები, საფრანგეთის მაგალითზე, ხშირად გამოყოფენ ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობის ფორმას, სადაც შენარჩუნდა 1946-1958 წლების საპარლამენტო მმართველობის ცალკეული ელემენტები, იმ შემთხვევაში, თუ ხე-

ლისუფლებას საფრანგეთის ეროვნულ კრებაში ჰყავს უმრავლესობა. თუმცა 1958 წლიდან, საფრანგეთის პოლიტიკურმა ელიტამ და საზოგადოებამ, სახელისუფლებო კრიზისის დაძლევის მიზნით უარი თქვა საპარლამენტო რესპუბლიკის კონსტიტუციურ მოდელზე და კონსტიტუციით საპრეზიდენტო მმართველობაზე გადასვლის შემდეგ, ძლიერი, ქარიზმატული პრეზიდენტის დე გოლის ფიგურა გამოიკვეთა, რომელიც გამოირჩეოდა საკონსტიტუციო ცვლილებებით, რამაც იგი ქვეყნის ერთმმართველი ლიდერი გახადა.

უდავოა, დე გოლის მმართველობა ბევრად ძლიერი იყო, ვიდრე ეს საპრეზიდენტო რესპუბლიკებში. კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში, თუმცა კონსტიტუციური მოწყობის ამ მოდელმა, მოგვიანებით სერიოზული უსიამოვნებები მოუტანა საფრანგეთის პრეზიდენტ მიტერანს 1986-1988 და 1993-1995 წლებში, როდესაც სოციალისტი პრეზიდენტი პარლამენტში, უმცირესობაში აღმოჩნდა და იძულებული გახდა მისთვის მიუღებელ კანონებზე მოეწერა ხელი. თუმცა, საფრანგეთში შექმნილი სახელისუფლებო კრიზისის მოწესრიგება მოხერხდა და მას პრობლემები არ შეუქმნია ქვეყნის განვითარებისათვის.

ყველა სახელმწიფოს და ყველა ერს თავისი გზა აქვს, მასში მცხოვრები ადამიანების ხასიათისა და ბუნებიდან გამომდინარე. ამდენად, მმართველობის ფორმებიც ამ ხასიათიდან და ბუნებიდან უნდა გამომდინარეობდეს.

ცხადია, სხვა ქვეყნის რომელიმე შემუშავებული მმართველობის, კონსტიტუციური მოდელის პირდაპირ გადმოღება მიუღებელია მოსახლეობისათვის. თუმცა, 1995 წელს მიღებული ქართული კონსტიტუცია აშშ-ის კონსტიტუციის გადმოღების უსარგებლო ცდა იყო და ე. შევარდნაძის ინ-

ტერესებში შედიოდა. მით უმეტეს, ამ მოდელში უადრესად გართულებულია პრეზიდენტის კონსტიტუციური გზით გადაყენების მექანიზმი, მითუმეტეს, ჩვენთან ხალხის მიერ პირდაპირი კენჭისყრით არჩეული პრეზიდენტი აუცილებლად დაუშვებს სერიოზულ შეცდომებს, გადაამეტებს უფლებამოსილებას, მაგრამ სახელმწიფოს მეთაურის იმუნიტეტი მას შეუზღუდავ, უკონტროლო ძალაუფლებას ანიჭებს.

მაგალითად, მმართველობის ფრანგული მოდელი ახლაც სხვადასხვა ვარიაციებით მოქმედებს პოსტსაბჭოურ რესპუბლიკებში (თურქმენეთი, ტაჯიკეთი, ყაზახეთი, რუსეთი, ყირგიზეთი, უზბეკეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსია).

1995-2012 წლებში მოქმედი საქართველოს კონსტიტუციით, ქვეყნის პრეზიდენტი აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური და იმავდროულად, მმართველი პარტიის თავმჯდომარე იყო, პოლიტიკური პარტია სახელმწიფოს ერწყმოდა, რაც შესაძლებლობას აძლევდა პრეზიდენტს, ეკონტროლებინა სასამართლო და ადგილობრივი ხელისუფლება, საარჩევნო ადმინისტრაცია და თითოეული ადამიანის ცხოვრება, აქედან გამომდინარე, ყველა მტკიცეული შედეგით.

საკონსტიტუციო ცვლილებებმა ქვეყანა ახალი პოლიტიკურ-სამართლებრივი რეალობების წინაშე დააყენა. საქართველო ჩამოყალიბდა საპარლამენტო რესპუბლიკად, სადაც მნიშვნელოვანი გახდა საპარლამენტო უფლებამოსილებანი. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ კი პარლამენტის უფლებები ასე განისაზღვრა:

- განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს;
- უფლებამოსილია, მიიღოს კანონპროექტი ან დადგინილება;



- იღებს სახელმწიფო ბიუჯეტს;
- ირჩევს სახალხო დამცველს, გენერალურ აუდიტორს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და მოსამართლეებს;
- ქმნის საგამომიებო კომისიას;
- ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს სამ წევრს;
- პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებას, დენონსირებასა და გაუქმებას;
- კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას;
- უფლებამოსილია, ნდობა ან უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას;
- უფლებამოსილია, პრემიერ-მინისტრის წინაშე დასვას მთავრობის ცალკეული წევრის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი;
- შეუძლია მოითხოვოს მთავრობის წევრის დასწრება პარლამენტის, მისი კომიტეტისა და კომისიის სხდომებზე.

პარლამენტის სრული შემადგენლობის 2/3-ს შეუძლია მოითხოვოს პრეზიდენტის იმპიჩმენტი.

ბოლო ხანებში ქართველი კონსტიტუციონალისტები საუბრობენ პარლამენტარების მიერ ფიცის დადების პროცედურაზე. ა. ტოლსტოის მტკიცებით, 2012 წლის 21 ოქტომბერს ახლადარჩეულმა პარლამენტის 147-მა წევრმა დადო ე.წ. ფიცი და ყველამ ერთად, კოლექტიურად წარმოსთქვა სიტყვა „ვფიცავ“, თუმცა ტექსტში სიტყვა „ვფიცავ“ არ არის ნახსენები და მასში ჩაწერილია სიტყვა „ვაცხადებ“. ეს სიტყვები კი ერთმანეთის სინონიმები არ არის. ამ კონტექსტში

საინტერესოა სხვა ქვეყნების პრაქტიკა. მაგ. ლიტვის კონსტიტუციით 53-ე მუხლი მოითხოვს, რომ სეიმის წევრი, რომელიც არ დადებს ფიცს კანონის შესაბამისად, ან ფიცს პირობითად დადებს კარგავს სეიმის წევრის მანდატს. ისრაელის კონსტიტუცია ავალდებულებს „ქნესეთის“ წევრს ფეხზე დგომით დააფიქსიროს ფიცის სიტყვა „ვფიცავ“ [5].

### ლიტერატურა

1. ლოვო ფ. პარლამენტარიზმი, თბ., 2005,
2. გაზ.: „მთელი კვირა“, 2009, 30 ნოემბერი
3. გაზ.: „მთელი კვირა“, 2009, 23 ნოემბერი.
4. გაზ.: „მთელი კვირა“, 2009, 23 ნოემბერი.
5. გაზ.: „ასავალ-დასავალი“, 2016, 13-19 იანვარი.

## საქართველოში ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლილება და საკონსტიტუციო საკითხები

2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დღის წესრიგში დადგა „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ 2010 წელს მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებების პრაქტიკაში განხორციელების საკითხი, რომლის მიხედვით სახელმწიფოში დომინანტი პრემიერ-მინისტრი იქნებოდა. მაშინდელი ოპოზიციის შეფასებით ეს იყო ცვლილება, რომელიც მ. სააკაშვილმა თავისთვის გაიმზადა, ვინაიდან 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ის პრემიერის პოსტის დაკავებას გეგმავდა.

ქართული კონსტიტუციონალიზმის პრობლემურ საკითხებს შორის ერთ-ერთ უმთავრესს წარმოადგენდა ტრადიციულად ქვეყნის მმართველობის მოდელი.

ცხადია, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებმა ვითარება ძირეულად შეცვალა. ახალმა ხელისუფლებამ საკონსტიტუციო რეფორმები დაიწყო და ეს უპირველესად პრეზიდენტის უფლებების შემცირების ნორმების სწრაფად ამოქმედებას შეეხებოდა, თუმცა კონსტიტუციონალისტები სხვა ცვლილებების აუცილებლობაზეც საუბრობდნენ.

2012 წლის 22 ნოემბერს ქვეყნის ახალმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა პრესკონფერენციაზე ხაზი გაუსვა, რომ პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი არ დადგებოდა, თუმცა, საპარლამენტო უმრავლესობა, საკონსტიტუციო ცვლილებების ინიციატივით გამოვიდოდა, რომლის მიხედვითაც პრეზიდენტის არჩევნებამდე კონსტიტუციურად მოხ-

დებოდა მმართველობის საპარლამენტო მოდელის ამოქმედება.

2012 წლის პირველი ოქტომბრიდან საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკა გახდა. შესაბამისად, ლოგიკური იყო პრეზიდენტი, რაც შეიძლება სწრაფად დაქვემდებარებოდა ახალ საკონსტიტუციო ცვლილებებს, ანუ შესაბამისობაში მოსულიყო უზენაეს კანონმდებლობასთან, თუმცა მ. სააკაშვილი ასე არ ფიქრობდა, რომელმაც 2012 წლის 23 ნოემბერს, პირველად, ღიად გამოხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ახალი კურსის მიმართ და განაცხადა, რომ „საქართველო განსაცდელშია და ამ განსაცდელში მას არ მიატოვებს“. მაშინ ყველა პოლიტოლოგ-ექსპერტი თანხმდებოდა იმაზე, რომ სააკაშვილი „ქართულ ოცნებას“ და მის ლიდერს ბიძინა ივანიშვილს გულისხმობდა.

მოგვიანებით მ. სააკაშვილი აკონკრეტებდა, რომ რჩებოდა პოლიტიკაში: „მე ვიქნები პოლიტიკაში. ეს პერიოდი დადგება ბევრად უფრო ჩქარა, ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია, არა ოთხ წელიწადში და არა რვა წელიწადში. როგორც დღეს ვუყურებ, თუ ჩემი პროგნოზი გაინტერესებთ, პირველივე არჩევნებს, რომელსაც დღევანდელი მთავრობა წააგებს, იქნება ეს საპრეზიდენტო თუ ადგილობრივი არჩევნები პარლამენტში მოჰყვება სერიოზული გადაჯგუფებები, პარლამენტის გარშემო და არ გამოვრიცხავ, რომ სამთავრობო გუნდშიც. მოვა პერიოდი იმისა, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ უნდა ჩამოაყალბოს ასევე მთავრობა“ [1].

პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები იყვნენ და თუ ეს დამახასიათებელია ევროპული დემოკრატიისათვის, ქართული პოლიტიკური სინამდვილისათვის მიუღებელი აღმოჩნდა და, ფაქტობრი-

ვად, საქმე გვექონდა კლასიკურ კონფლიქტთან. მართალია, ახალი საკონსტიტუციო ნორმები საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შევიდოდა ძალაში, მაგრამ საზოგადოებამ ახალი მოდელის პარლამენტს მისცა ხმა, რომლითაც აღიარა კიდევ პარლამენტის დომინანტობა და ხელისუფლების სხვა შტოებიც ამ მოდელზე უნდა გადასულიყვნენ.

კონსტიტუციის არსს ხელისუფლების თვითშეზღუდვა წარმოადგენს. ზოგიერთ ქვეყანაში საერთოდ არ არსებობს დაწერილი კონსტიტუცია, მაგრამ არის ხელისუფლების თვითშეზღუდვის და დანაწილების მდიდარი ტრადიცია (ინგლისი, ისრაელი, ახალი ზელანდია და ა.შ.).

ბევრი ქვეყანა ასწლეულების მანძილზე ხვეწდა თავის კონსტიტუციას. საფრანგეთმა ხუთი რესპუბლიკა და 16 კონსტიტუცია იგემა. დემოკრატიული სახელმწიფოების კონსტიტუციები ამ ქვეყნების მენტალიტეტზე, ფსიქოლოგიაზე, კულტურაზე, ისტორიაზე და ხალხის თავისებურებებზეა დაფუძნებული, თუმცა, პოლიტიკური სისტემის სხვადასხვა მოდელების მიუხედავად, ყველგან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ძალთა დაბალანსებას და კონტროლს.

2013 წლის მარტში შეიქმნა სიტუაცია, როდესაც პრეზიდენტს შესაძლებლობა ჰქონდა ასანთისთვის გაეკრა ხელი და „პოლიტიკური ცეცხლი“ გაეჩაღებინა – დაეთხოვა მთავრობა და პარლამენტი.

21 მარტს უმრავლესობისა და უმცირესობის შეთანხმების მიხედვით, პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო საპარლამენტო ცვლილება, რომელიც ზღუდავდა პრეზიდენტის უფლებებს. „ნაციონალური მოძრაობა“ თანხმობის სანაცვლოდ კონსტიტუციაში ქვეყნის საგარეო კურსის უცვლელობაზე ჩანაწერის დაფიქსირებას ითხოვდა, ამაზე უარის

მიღების შემდეგ კი მ. სააკაშვილმა „ნაციონალური მოძრაობის“ სრული ამნისტია მოითხოვა, უმცირესობის ბოლო მოთხოვნა კი ამ საკითხებზე სარეიტინგო კენჭისყრის ჩატარება იყო.

ცხადია, საპარლამენტო უმრავლესობამ ყველა პოლიტიკურ გარიგებაზე უარი თქვა, თუმცა „ნაციონალური მოძრაობის“ საპარლამენტო გუნდი იძულებული გახდა ყველა საკონსტიტუციო ცვლილებისათვის დაეჭირა მხარი.

საპარლამენტო კენჭისყრიდან რამდენიმე წუთში, გაგულისებულმა პრეზიდენტმა საგანგებო განცხადება გააკეთა და, ფაქტობრივად, გამორიცხა თანამშრომლობა „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ გუნდთან.

„ყველანაირი მცდელობა, რომ მე გამომიყვანონ პოლიტიკური ბრძოლიდან, ახლა ან მომავალ წლებში, არ გამოგივით იმიტომ, რომ მე ვიქნები ერთ-ერთი მებრძოლი იმ ბრძოლაში, რომელსაც დემოკრატიისა და განვითარების საბოლოოდ დამკვიდრება და გაგრძელება ჰქვია. მე მინდა ვუთხრა ხალხს, გულს ნუ გაიტეხთ, ჩვენი ბრძოლა გრძელდება და დღეს ვაჩვენეთ, რომ ძალიან ბრძოლისუნარიანები ვართ. ჩვენ ჩვენს ბრძოლას გავაგრძელებთ, მე თქვენთან ერთად ამ ბრძოლას გავაგრძელებ. პრეზიდენტის რანგში, თუ პრეზიდენტის რანგის გარეშე მანამ, სანამ საქართველოს ხელახლა გადარჩენის საკითხი დგას“ – აცხადებდა მ. სააკაშვილი. მისი აზრით, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საქართველო გადაარჩინა 2003 წელს, 2008 წელსაც და საქართველო გადაარჩებოდა ამ გამოწვევებშიც. ის ირწმუნებოდა, რომ 21 მარტს დაიბადა ახალი „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც ბოლომდე იბრძოლებდა და ყველას დაუმტკიცებდა, რომ ცოცხალი იყო, ვიდრე ოდესმე [2].

ამ კონტექსტში შეიძლება წარმოვიდგინოთ პოსტსაბჭოური საქართველოს კონსტიტუციონალიზმის ისტორია, როდესაც სახელმწიფოს მეთაურები ქვეყნის მმართველობის სისტემას პირად პოლიტიკურ ინტერესებს უკავშირებდნენ. სწორედ ამ ტენდენციით ხასიათდებოდა 1995, 2004 და 2010 წლე ბის საკონსტიტუციო რეფორმები.

პოსტსაბჭოური საქართველოს პირველი კონსტიტუციის პროექტი, 26-თვიანი მომზადების შემდეგ, მიუღებელი აღმოჩნდა პირადად ე. შევარდნაძისათვის. მის მიღებას არავითარი სახალხო განსჯა არ უსწრებდა წინ და პარლამენტის 235 შემადგენლობიდან მხოლოდ 157 პარლამენტარმა, პრაქტიკულად განხილვის გარეშე დაუჭირა მხარი და მხოლოდ ერთი ხმით გადალახა მისაღები ზღვარი.

„მოქალაქეთა კავშირიდან“ გამოყოფილი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სახელით მოქმედი პოლიტიკური პარტია, როგორც ახლა ირკვევა, თავიდანვე სიყალბის გზას დაადგა, მიითვისა, 1999 წლიდან არსებული ანალოგიური დასახელების პარტიის სახელწოდება და ამ ფაქტის გამჟღავნების შემდეგ იუსტიციის მინისტრის იმჟამინდელმა მოადგილემ და შემდგომში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ, კოტე კუბლაშვილმა მეორე მხარის თანხმობის გარეშე გამოსცა უკანონო „ბრძანება“ მათი გაერთიანების შესახებ [3].

სიყალბის გზით შექმნილმა ერთიანმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კარგად ისარგებლა, ე. შევარდნაძის მიერ „გაყალბებული“, 2003 წლის ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგების გამოცხადებით და ხალხის გარკვეული ნაწილის მხარდაჭერით, თუმცა სახელმწიფო გადატრიალების გზით, მოვიდა ხელისუფლების სათავეში. შესაბამისად, ამას

მოჰყვა 2004 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების საკუთარ ძალაუფლებაზე მორგება და სუპერსაპრეზიდენტო მმართველობის დამკვიდრება.

2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებიც მიზნად ისახავდა მ. სააკაშვილის ძალაუფლების შენარჩუნებას სხვადასხვა ფორმით და საშუალებებით. პრეზიდენტს არანაირი ბერკეტი არ ჰქონდა პოლიტიკურ სიტუაციაზე სერიოზული გავლენა მოეხდინა, თუმცა კონსტიტუციაში ჩადებული ერთი „პოლიტიკური ნაღმის“ გამო შეეძლო ვადის დასრულებამდე დაენიშნა რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, როდესაც მთელი რიგი ტექნიკური ხასიათის იურიდიული მიზეზით ცალკეული საკონსტიტუციო ცვლილებები ძალაში ვერ შევიდოდა და ქვეყანას მომდევნო წლების განმავლობაში, ისევ სუპერსაპრეზიდენტო მოდელის პირობებში მოუწევდა ცხოვრება, თუმცა ცხადია, მ. სააკაშვილი ამას იმ შემთხვევაში დაუჭერდა მხარს, თუ ეს ვარიანტი მისი ჯგუფის პოზიციებს გააძლიერებდა.

საქმე ის იყო, რომ მთელ რიგ მუხლს, რომლებიც ოქტომბერში ძალაში უნდა შესულიყო, ჰქონდა მინაწერი: „ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან“.

მ. სააკაშვილის ვადამდელი გადადგომის შემთხვევაში, კონსტიტუციის 76-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდებოდა 45 დღის ვადაში და მათ ჩატარებას უზრუნველყოფდა პარლამენტი, მაგრამ ახალი საკონსტიტუციო ცვლილებები პარლამენტს მოგვიანებით უნდა მიეღო.



ცხადია, ისეთ ვითარებაში, როდესაც ბიძინა ივანიშვილი პარლამენტში მთლიანად აკონტროლებდა უმრავლესობას, მ. სააკაშვილის გეგმებს შესრულება არ ეწერა. მით უმეტეს, „ნაციონალებს“ არავითარი შანსი არ ჰქონდათ დაემარცხებინათ „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი, თუმცა იმ პერიოდში „ნაციონალური მოძრაობა“ ცდილობდა ერთ-ერთ სახელმწიფო სტრუქტურაში – უმიშროების საბჭოში, რომელიც ახალი ხელისუფლების კონტროლს არ ექვემდებარებოდა, შეემუშავებინა სხვადასხვა ანტისახელმწიფოებრივი სცენარი, რომელიც პრობლემებს შეუქმნიდა „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ გუნდს.

უდავოა, „ნაციონალური მოძრაობის“ ამ შტაბში სამოქმედო გეგმებს ცივ ლოგიკასა და ზუსტ ციფრებზე დაყრდნობით არასოდეს ადგენდნენ და ადვილად შეეძლოთ მიეღოთ არააკეკვატური გადაწყვეტილებები, მათი პიროვნული, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე.

„ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები, მათი „ფიურერის“ ხელმძღვანელობით, ყოველთვის მზად იყვნენ, თუნდაც თეორიულად, სახელმწიფო გადატრიალების მოსაწყობად და იმჟამად ამის პოლიტიკური, ფინანსური და მედიარესურსებიც ჰქონდათ, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარედანაც.

პოსტსაბჭოური პერიოდის საქართველოში არაერთხელ მოხდა საკონსტიტუციო დარღვევები და ხელისუფლებამ არაერთხელ მოახდინა ძირითადი კანონის „გაუპატიურება“ და სწორედ კანონისადმი ასეთმა არასახელმწიფოებრივმა დამოკიდებულებამ განსაზღვრა კიდევაც მათი სიმძიმე და საბოლოო მარცხი.

2013 წლის ივლისისათვის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება ახალი საკონსტიტუციო კომისიის შექმნის შესახებ. კომისიაში მმართველი კოალიციის გარდა ფართო პოლიტიკური სპექტრი და არასამთავრობო ორგანიზაციები იქნებოდნენ წარმოდგენილი, რომლებსაც ერთი წლის განმავლობაში უნდა ემუშავათ და კონსენსუსის საფუძველზე შეექმნათ ახალი საკონსტიტუციო მოდელი.

ამავე პერიოდში პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა გაახმოვანა, რომ ახალი კომისია უფლებამოსილი იქნებოდა ფუნდამენტურად გადაეხედა კონსტიტუციისათვის, მით უმეტეს 1995 წლის კონსტიტუციაში დღემდე 30-ზე მეტი ძირითადი ცვლილება იყო შესული, რომლებმაც ის სერიოზულად დააზიანა.

საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებებით კონსტიტუციის გაუმჯობესება სამ ეტაპად განხორციელდებოდა. პირველ ორ ეტაპზე მოხდებოდა გადაუდებელი ცვლილებების შეტანა, მესამე კი კონსტიტუციის ფუნდამენტურ გადასინჯვას ითვალისწინებდა.

დ. უსუფაშვილის განცხადებით, საკონსტიტუციო ცვლილებები რამდენიმე ათწლიან პერსპექტივაზე იყო გათვლილი, ხოლო კომისიის ფუნქცია იქნებოდა არა მხოლოდ სამართლებრივად უზრუნველყოფილი ტექსტის დაწერა, არამედ პარალელურად სტრატეგიული დოკუმენტის შექმნაც. ცხადია, ახალი საკონსტიტუციო ცვლილებების იდეას მხარი არ დაუჭირა „ნაციონალური მოძრაობის“ საპარლამენტო უმცირესობამ, რაც მათი პოლიტიკური რეჟიმის გაგრძელება იყო.

ახალი საკონსტიტუციო ცვლილებების საკითხი წინა პლანზე იწეოდა, ვითარებაში, როდესაც მთელ რიგ ქვეყნებში მცირდებოდა თვითონ კონსტიტუციის ტექსტის ღირებულება. მართალია, მოსახლეობის დიდი ნაწილი აღიარებდა კონსტიტუციის მნიშვნელობას, მაგრამ ძალიან ცოტამ იცოდა ტექსტის შინაარსი. ამ კონტექსტში საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამდა პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თამარ კვენაძე. მისი აზრით, კონსტიტუციის ტექსტი განიხილებოდა მხოლოდ იურიდიული ასპექტით, მაშინ, როდესაც კონსტიტუციას უნარი შესწევდა ჩამოეყალიბებინა ქვეყნის სამოქალაქო სახე, ხელი შეეწყო ერის თვითიდენტიფიკაციისათვის, გამოევიწყინა ქვეყნის სულიერი სიმდიერე, მაშინ, როდესაც ცუდი კონსტიტუცია გამოხატავდა მოსახლეობის დაქსაქსულობას, პოლიტიკური სისტემის სისუსტეს [4].

უდავოა, კონსტიტუციის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულებაა ხელისუფლების შეზღუდვის ფუნქცია, მაგრამ პოსტსაბჭოთა და პოსტსოციალისტური ქვეყნების კონსტიტუციებს ჰქონდათ რეჟიმის ნგრევის და ახლის ჩამოყალიბების, პოლიტიკური მომავლის კონტურების შექმნის და პოლიტიკური დიალოგის წარმართვის ფუნქციაც.

ცხადია, ქართული პოლიტიკური სინამდვილისათვის ადვილი არ იყო მდგრადი კონსტიტუციის მიღება, პოლიტიკური ელიტის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებლობის პირობებში, მით უმეტეს შეუძლებელი იქნებოდა ამის გაკეთება ქართული მენტალიტეტის ფსიქოლოგიის, ისტორიული წარსულისა და გამოცდილების და კულტურის გათვალისწინების გარეშე.

საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის მიმდინარე პროცესთან დაკავშირებით მოსაზრებას გამოთქვამდა სამართლის დოქტორი დავით წერეთელიც, რომელიც ფიქრობდა, რომ მისაღები და საჭირო კონსტიტუციურ-სამართლებრივი სისტემა საქართველოს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოძიებული და სწორედ ეს გარემოება წარმოშობდა კონსტიტუციურ პრობლემებს. მით უმეტეს, 2013 წლის აგვისტოსთვის გამოირკვა, რომ საკონსტიტუციო კომისიის ფორმირება გადაიდო. პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ვახტანგ ხმაღამის აღიარებით, იმის მიუხედავად, რომ საკონსტიტუციო კომისიის, ახლო მომავალში ამოქმედების თაობაზე ბევრჯერ ითქვა ამ საქმისათვის „თავის მობმა“ ვერ მოხერხდა, თუმცა, მისივე განმარტებით, კომისია პარლამენტის დადგენილებით შეიქმნებოდა და მას ლეგიტიმაციის მაღალი ხარისხი ექნებოდა.

ცხადია, არსებობდა გარკვეული, მიზეზები, რომლებმაც ხელი შეუშალეს ახალი საკონსტიტუციო კომისიის შექმნასა და ამოქმედებას. მით უმეტეს, საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში მოვლენები ისე განვითარდა, რომ წინა ხელისუფლების გუნდი მაინც დარჩა დამოუკიდებელ პოლიტიკურ ასპარეზზე.

ვ. ძაბირაძის შენიშვნით, ხელისუფლება ორ ნაწილად იყო გაყოფილი: – პრეზიდენტი თავისი საპარლამენტო უმცირესობით, დედაქალაქის მერია და რაიონების გამგებლებით და საქართველოს სხვადასხვა მხარეში დარჩენილი, ყოფილი ხელისუფლების მმართველობებით და მეტ-ნაკლებად სასამართლო ხელისუფლებით და პრემიერი – საპარლამენტო უმრავლესობით, მთავრობით და ქვეყნის სხვადასხვა მხარეებში დანიშნული რწმუნებულებით და გამგებლებით.

ეს იყო ურთულესი ვითარება, როდესაც „ქართული ოცნება“ ერთი წლის განმავლობაში შინ და გარეთ პოლიტიკური ავანტურების კერების ჩაქრობით იყო დაკავებული. ყველგან ვერ მოხერხდა სახელისუფლებო სტრუქტურების რეფორმირება, რომლის თვალსაჩინო მაგალითი იყო იუსტიციის საბჭოს არჩევნები და სასამართლო ხელისუფლების რეფორმა.

„ნაციონალური მოძრაობის“ ეპოქაში მოხდა ელიტური კორუფციის ჩამოყალიბება, რომელიც შეერწყა ელიტურ ბიუროკრატias. „საქართველოს ეკონომიკა ნომენკლატურული კაპიტალიზმის მოდელს უფრო მიუახლოვდა, ვიდრე თავისუფალი კაპიტალიზმის მოდელს“ – შენიშნავდა ვ. ძაბირაძე [5].

2010 წელს მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებები ვერ წყვეტდა სოციალურ პრობლემებს. უფრო მეტიც, აქ საფრანგეთის, იტალიის, გერმანიისა და სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით ზოგადად იყო მინიშნებები სოციალურ საკითხებზე, მაშინაც, როდესაც აღნიშნული ქვეყნების კონსტიტუციების ცალკეული თავები, პარაგრაფები თუ მუხლები უშუალოდ აფიქსირებდნენ თავიანთ დამოკიდებულებას სოციალური ფასეულობების მიმართ.

2013 წლის ოქტომბერში პარლამენტმა იმსჯელა საკონსტიტუციო კომისიის ფუნქციებისა და უფლებამოსილებების შესახებ და მიიღო გადაწყვეტილება კომისია წარმოდგენილი ყოფილიყო პარლამენტის 20 წევრით, პარლამენტში მყოფი კვალიფიციური პოლიტიკური პარტიების და არაკვალიფიციური პოლიტიკური პარტიების თითო წარმომადგენელით, რომელთა საპრეზიდენტო კანდიდატი 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღებდა ხმების 3%-ზე მეტს. კომისიაში

ასევე უნდა შესულიყვნენ საკონსტიტუციო სასამართლოს, უზენაესი სასამართლოს, აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი საბჭოების თავმჯდომარეები, სახალხო დამცველი, იუსტიციის მინისტრი, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი, მთავრობის საპარლამენტო მდივანი და ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე.

კომისიაში ასევე წარმოდგენილი უნდა ყოფილიყვნენ სამართლის, საჯარო პოლიტიკისა და სახელმწიფო მართვის არა უმეტეს 20 ექსპერტ-სპეციალისტისა და ამავე სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების შემდეგ ისიც გაცხადდა, რომ გამოვლინდა საპარლამენტო რესპუბლიკისათვის არადამახასიათებელი ნიშნები, რომელსაც ზოგიერთი კონსტიტუციონალისტი ამართლებდა იმით, რომ საქართველოში შერეული მმართველობის სისტემა არსებობდა, თუმცა გ. მეფარიშვილი არ გამოორიცხავდა უახლოეს პერიოდში კონსტიტუციის ახალი პროექტის მომზადებას.

2014 წლის იანვარში ა. დემეტრაშვილის და პოლიტიკურ მეცნიერებათა პროფესორის მ. მაცაბერიძის და სამართლის პროფესორის ბ. ქანთარიას ხელმოწერით გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნდა მოსაზრებები, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ, რომელშიც ავტორები კვლავ წინ სწევდნენ 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის თემას. ცნობილია, რომ აღნიშნული დოკუმენტის ამოქმედება შეაჩერა რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად განხორციელებულმა სამხედრო გადატრიალებამ და, შესაბამისად, საბჭოური პოლიტიკური რეჟიმის დამკვიდრებამ.

ცხადია, 1990 წელს ეროვნული ძალების ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, დაიწყო ფიქრი 1921 წლის კონსტიტუციის საფუძველზე ახალი საკონსტიტუციო დოკუმენტის შემუშავების შესახებ, თუმცა მას არ აღუდგენია 1921 წელს მიღებული კონსტიტუცია.

1992 წლის თებერვალში რუსეთ-საქართველოს მეოთხე ომის და სამხედრო გადატრიალების შედეგად ხელისუფლების სათავეში მოსულმა სამხედრო საბჭომ (თ. სიგუა, თ. კიტოვანი, ჯ. იოსელიანი) უმართებულოდ აღადგინა 1921 წლის კონსტიტუცია, რამაც კიდევ უფრო გაართულა ქვეყანაში მიმდინარე საკონსტიტუციო პროცესი.

წერილის ავტორების ცნობით, 1993-1995 წლებში მომუშავე სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ ბევრი რამ გადმოიღო საქართველოს პირველი რესპუბლიკის საკონსტიტუციო დოკუმენტიდან [6], შესაბამისად, მისი კვალი ჩანს 2004 და 2010 წლებში მიღებულ საკონსტიტუციო ცვლილებებშიც.

ამ კონტექსტში საინტერესოდ გვეჩვენება ავტორების მიერ გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ახალმა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ ამოსავალ წერტილად აიღოს არა 1995 წელს მიღებული საკონსტიტუციო დოკუმენტი, არამედ 1921 წლის კონსტიტუცია, მით უმეტეს, ახალმა ხელისუფლებამ მხარი დაუჭირა საპარლამენტო მოდელს, რომელზეც 1995 წლის კონსტიტუციაში თითქმის არაფერია ნათქვამი.

უკვე 2014 წლის მარტის დასაწყისში, ქვეყანაში საბოლოოდ ჩამოყალიბდა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის ხელმძღვანელობით. მდივნად რეკომენდაცია გაეწია კონსტი-

ტუციონალისტ გიორგი კვერენჩილაძეს. შეიქმნა ხუთი სხვადასხვა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში 58 წევრი გაერთიანდა.

მართალია, 2010 წელს მიღებულმა საკონსტიტუციო ცვლილებებმა დასაბამი მისცა საპარლამენტო მმართველობის ამოქმედებას, მაგრამ დასამუშავებელი იყო საპარლამენტო რესპუბლიკის სრული სისტემა. ამ მოსაზრებას იზიარებდა ქვეყნის პრემიერ-მინისტრიც: „ბოლო დროს ნათლად გამოჩნდა, რომ კონსტიტუციის დღევანდელი მოდელი გადახედვას საჭიროებს. სწორედ ამისთვის შეიქმნა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია, რომელიც დღეს არსებულ ხარვეზებს გამოასწორებს და კონკრეტული პოლიტიკური ძალისათვის მორგებულ დებულებებს გამოორიხავს. ქვეყანას, ბოლოსდაბოლოს, ექნება კონსტიტუცია, რომელიც ფართო კონსენსუსის გზით იქნება მიღებული“ – აცხადებდა ირაკლი ღარიბაშვილი [7].

უდავოა, 1995 წელს მიღებული კონსტიტუცია, ხელისუფლებების მხრიდან, მუდმივ ცვლილებებს განიცდიდა, ე. შევარდნაძის, შემდეგ კი მ. სააკაშვილის ინტერესებზე იყო მორგებული და ბევრ პოლიტიკურ და სამართლებრივ გაუგებრობებს იწვევდა. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა ახალი კონსტიტუციის შექმნის ან, უკიდურეს შემთხვევაში, მისი ძირეული ცვლილებების საკითხი, როგორც კონცეპტუალური, ისე ახალი რეალობის გათვალისწინებით. ასეთია, ძირითადად, ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური სპექტრის დიდ ნაწილში ჩამოყალიბებული განწყობაც. თუმცა, სიმართლე უნდა ითქვას, რომ კომისიის შექმნიდან ორი წლის განმავლობაში ვერ მოხერხდა საკონსტიტუციო ნორმების არსებითი გადასინჯვა. სამუშაო ჯგუფებში ვერ ჩა-



მოყალიბდა პრობლემებისადმი კოლექტიური მიდგომა. ვერ გამოიკვეთა ერთიანი დამოკიდებულება სახელმწიფო მოწყობის სისტემის მიმართ. აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა პრეზიდენტის ინსტიტუტისა და მისი არჩევის, ძალთა გადანაწილების, კონსტიტუციის გადასინჯვის პროცედურის და სხვა საკითხებზე. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ საკონსტიტუციო კომისია, როგორც ადრე, ხელისუფლებიდან ელოდებოდა პოლიტიკურ გადაწყვეტილებას, რომლის გარეშე შეუძლებელი ჩანდა მთლიანი საკონსტიტუციო პროექტის მომზადება საპარლამენტო განხილვისათვის.

ერთადერთი გამოკვეთილი გზავნილი საქართველოს საზოგადოებისათვის, რომელსაც საკონსტიტუციო კომისია ხაზგასმით აღნიშნავდა, იყო ის, რომ საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკა იქნებოდა.

უნდა ვიფიქროთ, რომ ახალი კონსტიტუციის მიღების ან ძირეული საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელების ერთ-ერთ ხელისშემშლელ მიზეზად შეიძლება დასახელდეს 2014 წლის აგვისტოს ბოლოს სახელისუფლებო უფლებამოსილებების გადანაწილების საკითხში, პრეზიდენტსა და მთავრობას და პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის წარმოშობილი საკონსტიტუციო უთანხმოებები, რომელმაც 2015 წლის მიწურულს კერძო ტელეკომპანიის მეპატრონეების „რუსთავი – 2“-ის სასამართლო დავამ სერიოზული ხასიათი მიიღო და საბოლოოდ დაპირისპირებებში გადაიზარდა.

სრულ საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადასვლის გარდამავალ პერიოდში პრეზიდენტსა და მთავრობას შორის ფუნქციათა გამიჯვნა პრობლემად იქცა. ვითარებაში, როდესაც პრეზიდენტი არ ფლობდა საპარლამენტო უმრავლესობის მხარდაჭერას, საყოველთაო წესით არჩეულ პრეზიდენტ-

სა და რეალური ძალაუფლების მქონე პრემიერ-მინისტრს შორის წარმოიშვა კონფლიქტის ნიშნები და მივიღეთ კონსტიტუციური დუალიზმი, როდესაც პრეზიდენტსაც გაუჩნდა პრეტენზია ქვეყნის ხელმძღვანელობაზე.

პრეზიდენტი ვერ იცნობიერებდა, რომ საპარლამენტო რესპუბლიკა „სუსტ პრეზიდენტს“ გულისხმობდა. მისთვის გაუგებარი დარჩა კონსტიტუციის 69-ე მუხლში მოცემული განმარტება იმის შესახებ, რომ მთავრობასთან შეთანხმების გარეშე არ შეუძლია აწარმოოს მოლაპარაკებები სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან; დადოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები და ა.შ.

კონსტიტუციის 73-ე მუხლი იმასაც გვამცნობს, რომ, მართალია, პრეზიდენტი გამოსცემს იურიდიული მნიშვნელობის აქტებს, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში ამ აქტებმა უნდა გაიაროს პრემიერის თანხმობის – კონტრასიგნაციის პროცედურა, რათა მათ მიენიჭოთ იურიდიული ძალა. პრეზიდენტს აღარ აქვს საკანონმდებლო ინიციატივების უფლება, ვერ დანიშნავს რეფერენდუმს, არ შეუძლია აღმასრულებელი ხელისუფლების სამართლებრივი აქტების გაუქმება ან შეჩერება. ადვილად დაიძლევა პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებზე მისი „ვეტოც“.

პრეზიდენტი ვერ ფლობს ძალაუფლების „სიმძიმის ცენტრს“. ასეთ ვითარებაში კი საპარლამენტო მოდელის წინააღმდეგ გააქტიურებას იწყებენ მისი მრჩეველები, რომლებიც ცდილობენ რჩევა კი არ მისცენ პრეზიდენტს, არამედ „ჭკუა ასწავლონ“ და უბიძგონ მას პოლიტიკური და სამართლებრივი ზეგავლენა მოახდინოს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე.

მართალია, დღევანდელი საქართველოს პარტიული სისტემა და პოლიტიკური კულტურა არ იძლევა სრული საპარლამენტო მმართველობის განხორციელების შესაძლებლობას, მაგრამ ამ მიმართულებით მოქმედი ხელისუფლების ორიენტაცია გამოკვეთილია და დრომ უნდა გვიჩვენოს დაგეგმილი „პროგრამა მაქსიმუმის“ განხორციელების პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი მიზანშეწონილობა და შედეგები.

### ლიტერატურა

1. სააკაშვილი მ. გაზ.: „რეზონანსი“, 2013, 8 ივლისი.
2. სააკაშვილი მ. გაზ.: „რეზონანსი“, 2013, 22 მარტი.
3. მელქაძე ო., ქართულ კონსტიტუციონალიზმში განხორციელებული ოპერატიული რეფორმების ნეგატიური რეზონანსი. გაზ.: „რეზონანსი“, 2013, 25 მარტი.
4. კიკნაძე თ. გაზ.: „რეზონანსი“, 2013, 20 ივლისი.
5. ძაბირაძე ვ. კონსტიტუციაში რაღაც რიგზე ვერ არის. გაზ.: „ახალი თაობა“, 2013, 24 ოქტომბერი.
6. დემეტრაშვილი ა. მაცაბერიძე მ. ქანთარია ბ. მოსაზრებანი სახელმწიფო კონსტიტუციის კომისიის საქმიანობის ძირითადი მიმართულების შესახებ. გაზ.: „რეზონანსი“, 2014, 20 იანვარი.
7. ღარიბაშვილი ი. გაზ.: „რეზონანსი“, 2014, 5 აგვისტო.

## ქართული სახელმწიფოებრიობა და საკონსტიტუციო ცვლილებების აუცილებლობა

საქართველო არის ახლად ფეხადგმული სახელმწიფოებრიობისა და დემოკრატიის თანადათანობით განვითარებასა და სრულყოფის გზაზე შემდგარი სახელმწიფო, ამიტომაც სამართლებრივ-სოციალური სახელმწიფოს მშენებლობის ცალკეულ ეტაპებზე სახელმწიფოებრივი აზროვნება დროით ხოვს ჩვენი ქვეყნის ძირითადი კანონის გადასინჯვასა და ცვლილებებს. კონსტიტუცია არ არის მყარი მოცემულობა, ის მუდმივად განიცდის ცვლილებებს გარკვეული ფაქტორების გათვალისწინებით, მით უფრო, სამართლებრივი ტრანსფორმაციის ქვეყანაში, როგორც საქართველოა [1. 5].

როგორც აღვნიშნეთ საქართველოს კონსტიტუცია 1995 წლის 24 აგვისტოს მიიღო საქართველოს პარლამენტმა, კონსტიტუციის მოქმედი რედაქცია შეიცავდა არაერთ ხარვეზს და ნაკლოვანებას, რაც პრაქტიკაშიც ბევრჯერ იყო დადასტურებული. ამიტომაც დროდადრო მასში 33-ჯერ იქნა ცვლილებები შეტანილი.

კონსტიტუციის ფუნდამენტური გადასინჯვის მიზნით, საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 15 დეკემბრის დადგენილებით, შეიქმნა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია.

საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტის მომზადების მიზნით შექმნილი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია იყო 73 წევრის შემადგენლობით. თანამდებობრივად, კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ საპარლამენტო სუბიექტები. გარდა ამისა, კომისიაში წევრები წარმოადგინა როგორც საპარლამენტო უმრავლესობამ, ასევე

საპარლამენტო უმცირესობამ და ფრაქცია „საქართველოს პატრიოტებმა“. კომისიაში წარმოდგენილი იყო დამოუკიდებელი დეპუტატი შესაბამისი კვოტით.

23 დეპუტატი უმრავლესობიდან იყვნენ: თამარ ჩუგოშვილი, არჩილ თალაკვაძე, ზვიად ძიძიგური, გიორგი ვოლსკი, ილია ნაკაშიძე, მამუკა მდინარაძე, კახა ოქრიაშვილი, კობა ნარჩქვინაძე, სიმონ ნოზაძე, ნინო გოგუაძე, ევა ბესელია, ვანო ზარდიაშვილი, დავით მათიკაშვილი, გიორგი კახიანი, ირაკლი სესიაშვილი, გიორგი ლილუაშვილი, სოფო კილაძე, გედევან ფოფხაძე, მანანა კობახიძე, ზაქარია ქუცნაშვილი, ზაზა გაბუნია, სავალან მირზოევი, ენზელ მკოიანი. ოპოზიციური ნაციონალური მოძრაობის უმცირესობიდან კომისიაში წარმოდგენილი იყო 8 დეპუტატი: სერგი კაპანაძე, ოთარ კახიძე, გიორგი ტულუში, ზურაბ ჭიკაბერაშვილი, ხათუნა გოგორიშვილი, სალომე სამადაშვილი, მამუკა ჩიქოვანი, ირაკლი აბესაძე. პატრიოტთა ალიანსიდან კომისიაში მუშაობდა 2 დეპუტატი: ირმა ინაშვილი და ნატო ჩხეიძე. დამოუკიდებელი დეპუტატის სტატუსით მთაწმინდის მაჟორიტარი სალომე ზურაბიშვილი.

კომისიაში ჩაერთო ოთხი არასაპარლამენტო პარტია თითო წარმომადგენლით, რომელთაც დამოუკიდებლად ან ბლოკის ლიდერის რანგში ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე ამომრჩეველთა ხმების 3% მაინც მიიღეს. კერძოდ, კომისიაში იმუშავეს „თავისუფალი დემოკრატებიდან“ – შალვა შავგულიძემ; ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიული მოძრაობიდან“ – დიმიტრი ლორთქიფანიძემ; მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის ნიკა მაჭუტაძემ; ლეიბორისტული პარტიიდან – გიორგი გუგავა.

სახელმწიფო ორგანოებიდან კომისიაში მთავრობიდან ორი წარმომადგენელი იყო იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი და მთავრობის საპარლამენტო მდივანი შალვა თაღუმაძე ჩაერთვებიან; საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ: საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ზაზა თავაძე; უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე; აჭარისა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე და მთავრობის ხელმძღვანელი ზურაბ პატარაძე; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავა და მთავრობის თავმჯდომარე ვახტანგ ყოლბაია; სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი; ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კობა გვენეტაძე; სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორი ლაშა თორდია.

კომისიაში იმუშავეს შვიდი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა სახელდობრ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ხელმძღვანელმა ანა ნაცვლიშვილმა; საერთაშორისო გამჭირვალობამ – საქართველოს დირექტორი ეკა გიგაური; სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების ხელმძღვანელმა მიხეილ ბენიძე; ფონდი ღია საზოგადოებისაგან ვახტანგ ნაცვლიშვილმა; საქართველოს ეროვნული პლატფორმიდან – ლაშა ტულუშმა; მრავალეროვანი საქართველოდან არნო სტეპანიაძე; საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან – დავით ასათიანმა.

კომისიის შემადგენლობაში მონაწილეობდა 13 პირი ექსპერტის სტატუსით: ავთანდილ დემეტრაშვილი; ჯონი ხეცურიანი, მინდია უგრეხელიძე, ვახტანგ ხმაღაძე, ვახტანგ ძაბირაძე, თენგიზ შარმანაშვილი, ვახტანგ მენაბდე,

რატი ბრეგამე, ვასილ გონაშვილი, შალვა პაპუაშვილი, ზაზა რუხამე, ანა ფირცხალაშვილი, ზვიად კორძამე.

კომისიაში მონაწილეობაზე იყო კონსულტაციები პარლამენტის ექს-სპიკერთან დავით უსუფაშვილთან, თუმცა „გამომდინარე იქიდან, რომ მას ჰქონდა პოლიტიკური წარსული და აქვს პოლიტიკური აწმყო. ის ვერც ექსპერტის რანგში ვერ მიიღებდა კომისიის მუშაობაში მონაწილეობას. ამრიგად ეს გახდა მიზეზი იმ სამწუხარო გარემოებისა, რომ დავით უსუფაშვილი ვერ ჩაერთო კომისიის მუშაობაში“[3].

**კომისიის თავმჯდომარედ დამტკიცებულ იქნა პარლამენტის თავმჯდომარე. ირაკლი კობახიძე.** სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მდივნად დაინიშნა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე თამარ ჩუგოშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ იყო აზრთა სხვადასხვაობა და მწვავე დაპირისპირებებისა, კომისიამ შეძლო და 4 თვის ვადაში მოამზადა კონსტიტუციის ფაქტობრივად ახალი ვერსია. კომისია მუშაობდა მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებული დემოკრატიული პრინციპების დაცვით. ამის დასტურად აქვე მოვიყვანთ არასამთავრობო ორგანიზაციების: სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოსა“ და ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“-ს „კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტის მოკლე შეფასებას“. მათი აზრით კონსტიტუცია, როგორც ქვეყნის უზენაესი კანონი, უნდა ეფუძნებოდეს ფართო საზოგადოებრივ და პოლიტიკურ კონსენსუსს, რაც გამორიცხავს იმას, რომ მნიშვნელოვან საკითხებზე არ იქნეს გათვალისწინებული კომისიის წევრთა

და საზოგადოების სხვა წარმომადგენელთა მკაფიოდ ნეგატიური ერთიანი პოზიციები.

აღსანიშნავია, რომ დისკუსიების შედეგად ხელისუფლების მხრიდან გათვალისწინებული იქნა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი:

- გაჩნდა ჩანაწერი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის შესახებ – კონსტიტუციური ორგანოები თავისი უფლებამოსილების ფარგლებში იღებენ ვალდებულებას გაატარონ ყველა საჭირო ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.
- განხორციელდა რიგი უფლებრივი გარანტიების განმტკიცება და გაუმჯობესება – განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩანაწერი არსებითი თანასწორობის შესახებ, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს განსაკუთრებული ზომების გატარება მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად; ასევე კონსტიტუციაში გაჩნდა უფლება ინტერნეტის ხელმისაწვდომობაზე.
- გაიზარდა/გაჩნდა რიგი ინსტიტუტების კონსტიტუციური დამოუკიდებლობის გარანტიები, როგორცაა:

**საზოგადოებრივი მაუწყებელი** – კანონით უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობა სახელმწიფო უწყებებისგან და მისი თავისუფლება პოლიტიკური და არსებითი კომერციული გავლენებისგან.



**პროკურატურა** – პროკურატურა განისაზღვრა, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი ორგანო.

**სასამართლო ხელისუფლება** – განისაზღვრა, რომ მოსამართლე შეირჩევა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დასაბუთებული გადწყვეტილებით, ღია კენჭისყრით, კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის ნიშნით.

დადგინდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ფუნდამენტური მიმართულება – სასამართლოების დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა და დაკონკრეტდა, რომ მისი საქმიანობის წესი დგინდება ორგანული კანონით.

- შედარებით გაძლიერდა საპარლამენტო კონტროლის მექანიზმი, კერძოდ:

**საგამომიებო კომისია** – მოქმედი კანონმდებლობისგან განსხვავებით, დადგინდა საგამომიებო კომისიის შექმნისთვის საჭირო დაბალი ქვორუმი, კერძოდ აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღება პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედის მხარდაჭერით.

მიუხედავად რიგი დადებითი ცვლილებებისა, კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი ასევე აერთიანებს არაერთ უაღრესად ნეგატიურ ინიციატივას. მათ შორის აღსანიშნავია:

- პარლამენტის არჩევის კვლავაც არასამართლიანი წესი, კერძოდ:

**მანდატების განაწილების წესი** – კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტით შემოთავაზებულია გაუნაწილებელი მანდატების მხოლოდ პირველ ადგილზე გასული პოლიტიკური პარტიისთვის მინიჭება. იმ პირობებში, როდესაც

შეიძლება გაუნაწილებელი მანდატების რაოდენობა 10%-ს ან მეტს შეადგენდეს, ამ მანდატების მთლიანად ერთი პარტიისთვის მინიჭება არსებითად გაზრდის პარტიის მიერ მიღებულ ხმებსა და მანდატებს შორის დისპროპორციას. აღნიშნული მიდგომა კი დიდწილად დააკნინებს მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის გაუქმების მიზანს და ეჭვქვეშ დააყენებს მანდატების სამართლიანი გადანაწილების პრინციპს. მიგვაჩნია, რომ პროპორციულ სისტემაზე გადასვლასთან ერთად, გაუნაწილებელი მანდატები პარტიებს შორის უნდა გადანაწილდეს მათ მიერ მიღებული ხმების პროპორციულად.

**ბლოკების გაუქმება** – მომზადებული ცვლილებები ითვალისწინებს საარჩევნო ბლოკების გაუქმებას, რის არგუმენტადაც მოყვანილია პარტიების განვითარების და გაძლიერების აუცილებლობა. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ცვლილება წარმოადგენს რადიკალურ ზომას და არ არის გამართლებული ლეგიტიმური ინტერესით.

აღნიშნული ცვლილებები განსაკუთრებით უარყოფითია იმ პირობებში თუ 5%-იანი ბარიები შენარჩუნდება.

- პრეზიდენტის პირდაპირი არჩევის წესის გაუქმება – შემოთავაზებული ვერსიით უქმდება პრეზიდენტის პირდაპირი არჩევის წესი და ის არაპირდაპირ, პარლამენტის მიერ აირჩევა. საქართველოში დემოკრატიის განვითარების ხარისხის და ამომრჩეველთა ინტერესების გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ პრეზიდენტი პირდაპირი წესით უნდა იყოს არჩეული. განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევნების გაუქმება არ წარმოადგენს საპარლამენტო მოდელიდან გამომდინარე აუცილებლობას.

- ადამიანის უფლებათა სფეროში რიგი უკან გადადგმული ნაბიჯები, განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩანაწერი ქორწინების უფლებაზე – შემოთავაზებული ვერსიის თანახმად, ქორწინება წარმოადგენს ქალისა და მამაკაცის კავშირს ოჯახის შექმნის მიზნით. იმ პირობებში, როდესაც ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა ქორწინება კანონმდებლობით არ არის დაშვებული, ხოლო ლგბტ ჯგუფების მხრიდან ქორწინების თანასწორობის მოთხოვნა არასოდეს დამდგარა, მსგავსი ინიციატივა შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ პოპულისტური დატვირთვის მატარებლად, რომელიც ამ თემის ხელოვნურად გააქტიურებით პოლიტიკური ქულების დაწერას ისახავს მიზნად.
- სასამართლოს დამოუკიდებლობისათვის რისკების მნიშვნელოვნად გაზრდა, კერძოდ:

**უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტების წესის ცვლილება** – შემოთავაზებული ვერსიის თანახმად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით უვადოდ, ორგანული კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე, სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი. საბჭოს მიერ პირველი და მეორე ინსტანციის მოსამართლეების შერჩევის მრავალწლიანი მანკიერი პრაქტიკის, საბჭოს დაკომპლექტების ხარვეზიანი წესის და სხვა არაერთი პრობლემის გათვალისწინებით, რაც ამ ინსტიტუციას ახასიათებს, მიგვაჩნია, რომ ამ ეტაპზე მოცემული უფლებამოსილების საბჭოსთვის გადაცემა სასამართლო კორპუსის დაკომპლექტებაზე სრულ ძალაუფლებას მიანიჭებს ამ ორგანოს, რაც მნიშვნელოვან საფრთხეს შე-

უქმნის სასამართლოს დამოუკიდებლობას და სისტემის გათავისუფლებას ძლიერი ჯგუფების გავლენებისაგან.

**მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადა** – კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტის თანახმად, შენარჩუნებულია მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადა, რომელიც როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ექსპერტების შეფასებით, მნიშვნელოვან რისკს წარმოადგენს სასამართლოს დამოუკიდებლობისათვის.

ზემოთ დასახელებული საკითხების გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტით გათვალისწინებული მთელი რიგი საკითხები საჭიროებს გადამუშავებას და სამომავლო დახვეწას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს საერთაშორისო სტანდარტებსა და დემოკრატიის პრინციპებთან თანხვედრაში მყოფი კონსტიტუციის მიღება“ [4].

თავისი კრიტიკული დამოკიდებულება კონსტიტუციის პროექტის მიმართ გამოხატა ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა (EMC) [5].

კომისიის მუშაობაში მონაწილეობა თავისი პოლიტიკური ნებიდან გამომდინარე არ მიუღია პრეზიდენტის ადმინისტრაციას.

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია მოიცავდა ოთხ თემატურ ჯგუფს, კერძოდ:

1. ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, სასამართლო ხელისუფლების, საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულისა და ზოგადი და გარდამავალი დებულებების საკითხთა სამუშაო ჯგუფი;

2. საქართველოს პარლამენტის, ფინანსებისა და კონტროლის და საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის საკითხთა სამუშაო ჯგუფი;
3. საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და თავდაცვის საკითხთა სამუშაო ჯგუფი;
4. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხთა სამუშაო ჯგუფი.

სამუშაო ჯგუფებმა მუშაობა დაიწყეს 2017 წლის 21 იანვრიდან და 18 აპრილს დაასრულეს. სხდომები მედიისთვის დახურულ რეჟიმში მიმდინარეობდა, ასევე შეზღუდული იყო არაწევრი დაინტერესებული პირების სხდომებზე დასწრება. საკონსტიტუციო კომისიის დებულებით დაინტერესებული პირების მონაწილეობის ფორმალიზებული პროცედურა გაწერილი არ ყოფილა, თუმცა არა წევრ პირებს წინასწარი შეტყობინებინებისა და საშვის მიღების შემდეგ შესაძლებლობა ჰქონდათ დასწრებოდნენ სხდომას, მაგრამ იმ დათქმით, რომ ერთი ორგანიზაციიდან მხოლოდ ერთი წარმომადგენლის დასწრება შეიძლებოდა.

საკონსტიტუციო კომისია შემჭიდროვებულ ვადებში, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ინტენსიური რეჟიმში მუშაობდა. სამუშაო ჯგუფებმა შეხვედრები ჩაატარეს სამ რაუნდად. სამუშაო ფორმატს ჯგუფისათვის მიკუთვნებული საკითხების მუხლობრივი განხილვა წარმოადგენდა. პირველი რაუნდის შეხვედრების ფარგლებში საკონსტიტუციო კომისიის შესაბამისი ჯგუფის წევრებმა არსებულ დებულებასთან დაკავშირებული წინადადებები წარმოადგინეს. მეორე რაუნდის დაწყებამდე, დაფიქსირებული წინადადებების გათვალისწინებით, კომისიის წევრებისათვის გადამუშავებული

დოკუმენტი იქნა წარდგენილი, ხოლო მესამე რაუნდისთვის კი, სიღრმისეულად გადამუშავებული ცვლილებების პროექტი, შეცვლილი სტრუქტურითა და ნუმერაციით, სადაც უკვე ასახული იყო მმართველი გუნდის პოზიციები ძირითად და საზოგადოებისათვის მაღალი ინტერესის მქონე საკითხებთან დაკავშირებით.

ახალ საკონსტიტუციო კომისიას უნდა გადაეწყვიტა ძალზედ მნიშვნელოვანი საკითხები, კერძოდ ის, რთული მემკვიდრეობა, რომელიც წილად ხვდა მას. სახელდობრ, 2003 წლის ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოს პარლამენტმა მიიღო კონსტიტუცია, რომლითაც პრეზიდენტი აღიჭურვა კიდევ უფრო დიდი და ფართო უფლებებით და დომინირებდა ყველა სხვა სახელისუფლო შტოსა და ინსტიტუტზე. ეს იყო სუპერსაპრეზიდენტო მოდელი. რამაც ძალიან ავნო ქვეყანას. 2010 წლის კონსტიტუცია იყო სუპერსაპრემიერო მოდელი: პრემიერის განუზომლად დიდი უფლებებით, კიდევ უფრო სუსტი პარლამენტით და პრეზიდენტით, რომელსაც ჩამოერთვა ყველა აღმასრულებელი უფლება და დაემსაგვსა საპარლამენტო მოდელის პრეზიდენტს. 2013 წლის ახლადარჩეულმა პარლამენტმა კონსტიტუციაში რამდენიმე ცვლილების შეტანით შეზღუდა პრემიერ-მინისტრის უფლებები. ეს მოდელი დაუახლოვდა საპარლამენტო მოდელს. ამჟამად კი საჭირო იყო ერთგავარი ბალანსირება.

2017 წლის 22 აპრილს, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში რიგით მეოთხე საკონსტიტუციო კომისიამ მუშაობა დაასრულა (ცნობისათვის – პირველი საკონსტიტუციო კომისია ფუნქციონირებდა 1993-1995 წლებში, მეორე 2009-2010 წლებში, ხოლო მესამე კი, 2013- 2015 წლებში)

ახალი კონსტიტუციური ცვლილებებით ფუნდამენტურად შეიცვალა ქვეყნის მართვის მოდელი, შესაბამისად სახელისუფლებო შტოებს შორის ძალთა ბალანსი, ასევე არჩევნების სისტემა. მოხდა კონსტიტუციური ცვლილებები ფორმის მხრივ მაგალითად, თუ ადრინდელ კონსტიტუციაში თუ 109 მუხლი იყო, ახალი განსაზღვრულია 78 მუხლით. იმავდროულად თუ ადრინდელი რედაქციაში მუხლებს სათაური არ ჰქონდა, ახალში – თითოეულ მუხლს თავისი სათაური აქვს.

საკონსტიტუციო ცვლილებების თანახმად სახელმწიფო ენა დაცულია ორგანული კანონით, ხოლო ჰიმნის, დროშის და გერბის გადასინჯვას მხოლოდ საკონსტიტუციო უმრავლესობა შეძლებს; კონსტიტუციაში გაჩნდა ახალი ჩანაწერი, რომლის თანახმადაც არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობა საქართველოს თითოეული მოქალაქის ვალია. ეს ნორმა ადგენს არა იურიდიულ ვალდებულებას, რომელიც ინდივიდის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი შეიძლება გახდეს, არამედ ხაზს უსვამს ზოგად მოქალაქეობრივ მოვალეობას.

საკონსტიტუციო ცვლილებებით არჩევნებით არჩეული ორგანოს უფლებამოსილების ვადის შემცირება ან გაზრდა აიკრძალა; პოლიტიკური პარტიები მონაწილეობას მიიღებენ ხალხის პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში; საქართველო გახდა სოციალური სახელმწიფო; საქართველო იზრუნებს ემიგრანტებთან კავშირის შენარჩუნებაზე; აღიარებს, უზრუნველყოფს და იზრუნებს ეკონომიკურ თავისუფლებასა და ღია ეკონომიკის განვითარებაზე. სახელმწიფო შშმ პირებს განსაკუთრებულ პირობებს შეუქმნის სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებს და შესა-

ძლებლობებს კაცებისა და ქალებისათვის და მიიღებს განსაკუთრებულ ზომებს მათ შორის „არსებითი თანასწორობის“ უზრუნველყოფისთვის და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად; სახელმწიფო შექმნის განსაკუთრებულ პირობებს შშმ პირთა უფლებების და ინტერესების რეალიზებისათვის;

კონსტიტუციის მეორე თავი ადგენს ადამიანის ღირსების ძირითად უფლებას; განამტკიცებს ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითად უფლებას, ამკაცრებს პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის შეზღუდვის პირობებს, ადგენს ინტერნეტის ხელმისაწვდომობის ძირითად უფლებას, საზოგადოებრივი მაუწყებლის დამოუკიდებლობის გარანტიებს, ადგენს ძირითად უფლებას კარგ მმართველობაზე, ზრდის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სტანდარტს, ადგენს აკადემიური თავისუფლების ძირითად უფლებას, განამტკიცებს მეწარმეობის თავისუფლებას, ამაღლებს ჯანმრთელობის დაცვის სტანდარტს, გარემოს დაცვითი უფლებების დაცვის სტანდარტს და სხვა მნიშვნელოვან სიახლეებს.

კონსტიტუციას დაემატა ნორმა გენდერის შესახებ, რომელიც ადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას, იზრუნოს არსებითი თანასწორობის უზრუნველყოფასა და გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრაზე. კონსტიტუციას დამატებული აქვს აგრეთვე ნორმა, რომლითაც სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, შექმნას განსაკუთრებული პირობები შშმ პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის. კონსტიტუციას ემატება ჩანაწერი, რომელითაც დგინდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ინდივიდთან დაკავშირებული საქმის გონივრულ ვადაში სამართლიანად განხილვის უფლება შესაბამისად, უფლება „კარგ მმართველობასა“ და



სამართლიან ადმინისტრაციულ წარმოებაზე ძირითადი უფლების რანგში იქნება განმტკიცებული.

კონსტიტუცია უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დაცვის სტანდარტის ამაღლებას. იგი ვრცელდება ნებისმიერ ადამიანზე და არა მხოლოდ მოქალაქეზე. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი აღარ იქნება პროფესიული საიდუმლოება. კონსტიტუციას დამატებული აქვს ნორმა, რომელიც მიწას ანიჭებს განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსის სტატუსს და ადგენს მასზე საკუთრების უფლების მოწესრიგებას ორგანული კანონით. ეს ცვლილება არ იქნება მიწაზე უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საკუთრების უფლების აბსოლუტური შეზღუდვის საფუძველი, თუმცა შესაძლებელს გახდის ამ საკითხის განსაკუთრებული წესით მოწესრიგებას. კონსტიტუციაში არის ნორმა, რომლის მიხედვითაც პარტიის აკრძალვა შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს. ცვლილებათა თანახმად გაფართოვებულია საარჩევნო უფლების მქონე პირთა წრე, სახელდობრ არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელთაც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის გამო სასამართლოს მიერ შეფარდებული აქვთ სასჯელი და ან კიდევ პირი, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად და მოთავსებულია შესაბამის სტაციონარში [6].

კონსტიტუციის ახალი რედაქციით მოქალაქეს აქვს უფლება ისარგებლოს ჯანმრთელობის სახელმწიფო დაზღვევით. სპეციალური მუხლი აქვს დათმობილი გარემოს დაცვის უფლებას ანუ ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში სარგებლობდეს ბუნებრივი

გარემოთი და საჯარო სივრცით. ყველას აქვს უფლება ზრუნავდეს გარემოს დაცვაზე. კონსტიტუცია კანონით უზრუნვეყოფს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მოქალაქის მონაწილეობის უფლების უზრუნველყოფას.

კონსტიტუციით დაკონკრეტებულია **ქორწინების დეფინიცია**. სახელდობრ, ქორწინება განმარტებულია, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით და იგი ემყარება მეურლეთა უფლებრივი თანასწორობას და ნებაყოფლობას.

კონსტიტუციაში დამატებული ჩანაწერი, რომლის თანახმადაც სახელმწიფო უზრუნველყოფს სასამართლოში საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლებას. კონსტიტუცია გარანტორია დაცვის უფლების. კონკრეტულად ნათქვამია, რომ ყველას აქვს უფლება სასამართლოში დაიცვას თავისი უფლებები პირადად ან ადვოკატის მეშვეობით, აგრეთვე კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში-წარმომადგენლის მეშვეობით.

ახალი კონსტიტუციით 32-ე მუხლით რომელიც მოქმედებაში უკვე 2018 წლის 2 აპრილიდან სხვა ქვეყნის მოქალაქეობის შეძენა აღარ არის საქართველოს მოქალაქეობის ავტომატურად შეწყვეტის საფუძველი. უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების, ასევე საქართველოს მოქალაქის მიერ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის შეთავსების პირობებს კონსტიტუცია განსაზღვრავს ორგანული კანონით.

საკონსტიტუციო ცვლილებებით სახალხო დამცველი ირჩევა 6 წლის ვადით. შესწორებული კონსტიტუციიდან ამოღებულია ნორმა, რომელიც ადგენს პარლამენტის ად-

გილსამყოფელს. ახალი რედაქციით იგი განისაზღვრება პარლამენტის რეგლამენტით.

კონსტიტუციით წესდება პარლამენტის არჩევის ახალი წესი პარლამენტის არჩევნების თარიღად კონსტიტუცია განსაზღვრავს ოქტომბრის ბოლო შაბათ დღეს. პარლამენტის წევრის ასაკობრივი ცენზი იზრდება 21-დან 25 წლამდე. არჩევნებში მონაწილეობის მსურველ პარტიას ევალება 25 000 ამომრჩევლის ხელმოწერის შეგროვება.

არსებული პროპორციულ-მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა იცვლება პროპორციული საარჩევნო სისტემით. ახალი სისტემის შემოღება მოხდება სამი ძირითადი დათქმით:

- ა) უქმდება საარჩევნო ბლოკები;
- ბ) ნარჩუნდება 5-პროცენტიანი საარჩევნო ბარიერი;
- გ) გაუნაწილებელ მანდატებს (ე.წ. „ბონუსი“) მთლიანად იღებს არჩევნებში გამარჯვებული პარტია [6].

იმავედროულად საკონსტიტუციო ცვლილებებით განსაზღვრულია პარლამენტში ფრაქციის წევრთა მინიმალური რაოდენობა. ის 6 დეპუტატის ნაცვლად იქნება 7. ამასთან, ერთი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულ პარლამენტის წევრებს უფლება ექნებათ გაერთიანდნენ მხოლოდ ერთ ფრაქციაში.

კონსტიტუციიდან ამოღებულია ნორმა, რომელიც ითვალისწინებდა მინისტრის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხის დასმას პარლამენტის მიერ. პარლამენტისა და მთავრობის ურთიერთობის კონსტიტუციური სისტემა ეფუძნება მთავრობის კაბინეტური პასუხისმგებლობის პრინციპს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციის მეოთხე თავი, რომელიც ითვალისწინებს თვისობრივ სიახლეს,

რაც დაკავშირებულია პრეზიდენტის არაპირდაპირი არჩევის წესის შემოღებასთან [6].

საკონსტიტუციო ცვლილებების თანახმად პრეზიდენტი აირჩევა 5 წლის ვადით სპეციალური საარჩევნო კოლეგიის მიერ, რომელშიც შედის 300 ხმოსანი. მათ შორის: პარლამენტის 150 წევრი, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების ყველა წევრი და პარტიების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ბოლო არჩევნების შედეგების შესაბამისად დასახელებული ხმოსნები. საარჩევნო კოლეგიის შემადგენლობას დაამტკიცებს ცესკო.

პრეზიდენტის არჩევნები იმართება პარლამენტის შენობაში. პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს არანაკლებ 30 ხმოსანს. ერთ ხმოსანს უფლება აქვს მხარი დაუჭიროს მხოლოდ ერთი კანდიდატის წარდგენას და ხმა მისცეს მხოლოდ ერთ კანდიდატს.

პრეზიდენტის არჩევა ხდება დებატების გარეშე, ფარული კენჭისყრით. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს ყველაზე მეტ ხმას, მაგრამ არანაკლებ ხმოსანთა სრული შემადგენლობის უმრავლესობისა (150 + 1 ხმა). თუ პირველ ტურში პრეზიდენტი ვერ აირჩა, მეორე ტურში კენჭი ეყრება პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე 2 კანდიდატს. მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც უფრო მეტ ხმას მიიღებს.

იზრდება ასაკობრივი ცენზი პრეზიდენტობის კანდიდატისთვის. საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 40 წლის ასაკიდან (ნაცვლად 35 წლისა), რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელს მაინც. თუმცა, კანდიდატს აღარ მოე-

თხოვება არჩევნებამდე ბოლო სამი წლის მანძილზე საქართველოში ცხოვრება [6].

საქართველოს პრეზიდენტი ხდება ზეპარტიული ფიგურა. ამიტომ მას ეკრძალება არა მხოლოდ პარტიული თანამდებობის დაკავება, არამედ პოლიტიკური პარტიის წევრობაც. უცვლელი დარჩა პრეზიდენტის ფიცის ტექსტი. პრეზიდენტი საკონსტიტუციო ცვლილებების თანახმად კვლავ ინარჩუნებს აბსოლუტურ იმუნიტეტს.

პრეზიდენტს კვლავ ექნება მოქმედი კონსტიტუციით განსაზღვრული ცერემონიული უფლებამოსილებები. არსებითად, ძალაში რჩება მისი სტატუსის სამივე ძირითადი ნიშანი – პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური (ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი), უმაღლესი მთავარსარდალი და წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში. ცვლილებები გამოიხატა აგრეთვე იმით, რომ გაუქმდა ეროვნული უშიშროების საბჭო და პრეზიდენტი მომავალში არ წარადგენს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებს. პრეზიდენტს აღარ ექნება მთავრობის სხდომის მოწვევის მოთხოვნისა და ამ სხდომებში მონაწილეობის უფლება [6].

ახალი კონსტიტუციით გაუქმებულია ეროვნული უშიშროების საბჭო, რომელიც იქმნებოდა „სამხედრო აღმშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციისათვის“ და რომელსაც, წინა კონსტიტუციით, საქართველოს პრეზიდენტი ხელმძღვანელობდა. სანაცვლოდ, კონსტიტუციით განსაზღვრულია ეროვნული თავდაცვის საბჭოს შექმნა, რომელმაც საომარი მდგომარეობის დროს უნდა განახორციელოს კონსტიტუციური ორგანოების საერთო კოორდინაცია. ეროვნული თავდაცვის საბჭოს მუდმივი წევრები

კონსტიტუციით არიან საქართველოს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე და საქართველოს შეიარაღებული ძალების მეთაური.

პროკურატურა საკონსტიტუციო ცვლილებებით არ ექვემდებარება იუსტიციის სამინისტროს, ის გახდა დამოუკიდებელი ორგანო და პარლამენტის წინაშე არის ანგარიშვალდებული. მას კი პარლამენტის მიერ ექვსი წლის ვადით არჩეული გენერალური პროკურორი უხელმძღვანელებს.

საყოველთაოდ ცნობილია საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის შესახებ. ამიტომაც განახლებულ კონსტიტუციაში გარდამავალი დებულებების 78-ე მუხლის თანახმად, კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უნდა მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად [6].

ბუნებრივია ისმის კითხვა: რა შედეგები უნდა მოიტანოს ქვეყნისათვის საკონსტიტუციო ცვლილებებმა?

მოქმედი კონსტიტუცია ქმნიდა ავტოკრატიის ჩამოყალიბების საშიშროებას. ამიტომაც აუცილებელი იყო ამ შესაძლებლობის გამორიცხვა აბსოლუტური ფორმით, რაც გაკეთდა საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად.

ავასებდა რა საკონსტიტუციო ცვლილებებს პარლამენტის თავმჯდომარე ი. კობახიძე აღნიშნავდა: „მთლიანობაში კონსტიტუცია აბსოლუტურად დაუბალანსებელი იყო, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების სასარგებლოდ, ასევე მმართველი ძალის სასარგებლოდ. ახლა კი კონსტიტუციაში შედის უამრავი ცვლილება, რომელიც მათ შორის, ოპოზიციის გაძლიერებას ემსახურება. საარჩევნო სისტემა

რომ ავიღოთ, ამ ცვლილებით შემდეგი არჩევნებისთვის ხდება ბარიერის დაწევა და ეს მმართველი ძალისთვის პოლიტიკურად საზიანო მოვლენაა, თუმცა ემსახურება პლურალიზმის უზრუნველყოფას, შემდეგ კი საერთოდ გადავდივართ პროპორციულ სისტემაზე. ასევე მაგალითისთვის ავიღებ კიდევ ერთი ცვლილებას, რომელიც ოპოზიციის გაძლიერებას ეხება და ეს არის საგამომიებო კომისიების შექმნის უფლება. დღეს ამ კომისიის შექმნის უფლება მხოლოდ უმრავლესობას შეუძლია. ასევე შემოდის კონკრეტული გადაწყვეტილების კვალიფიციური უმრავლესობით მიღების წესი. მაგალითისთვის, ავიღოთ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები, ომბუდსმენი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები და ა.შ. მათი თანამდებობაზე არჩევა ხდება კვალიფიციური უმრავლესობით, 90 დეპუტატის მხარდაჭერით, რაც იმას ნიშნავს, რომ მმართველ ძალასთან ერთად ოპოზიციამაც უნდა დაუჭიროს მხარი შესაბამის გადაწყვეტილებებს. ეს ის ცვლილებების შეზღუდული ჩამონათვალია, რომელიც აძლიერებს ოპოზიციას, შესაბამისად ასუბტებს მმართველ ძალს, მაგრამ ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენს ქვეყანაში დემოკრატია გაძლიერდეს.“ [7]

### ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი 2. თბ., 2013.
2. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3472813?publication=0>
3. <https://old.civil.ge/geo/article.php?id=30892>

4. <https://www.transparency.ge/ge/content/konstituciis-gadasinjvis-proektis-mokle-shepaseba-arasamtavrobo-organizaciebis-mier.>
5. <https://emcrights.files.wordpress.com/2017/05/e183a1e183a3e1839a-e18390e183aee18390e1839ae18398.pdf>
6. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>
7. <https://imedinews.ge/ge/interview/43/mtavari-tsvlilebebi-akhal-konstitutsiashi>

### გამოყენებული ლიტერატურა

1. მაცაბერიძე მ. უზენაესი ბატონი ქვეყნისა. როგორი უნდა ყოფილიყო საქართველოს პარლამენტი 1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებელთა აზრით. თბ., 2008.
2. საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21. ბათომი, 1921.
3. საქართველოს კონსტიტუცია: მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21. თბ., „სამშობლო“, 1990.
4. გაზ. „საქართველო“, X, №187, 1918 .
5. შარაძე გრ., შარაძე გ., ისტორიული რელიკვიების დაბრუნება. თბ., 2001.
6. ჟორდანია ნ., სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია. ტფ., 1919.
7. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 6, თბ., 1972.
8. გაზ, „კომუნისტი“, 15 მარტი 1921 წ.



9. Революционные комитеты Грузии в борьбе за установление и упрочение Советской власти (Февраль 1921 г. – Март 1922). Сб. документов и материалов. Составитель И. Д. Ахалая. Сух. 1963.
10. ერემოვი გრ. საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის განვითარების ეტაპები. თბ., 1960.
11. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის კონსტიტუცია. ტფ., 1922.
12. საქართველოს სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავისათვის. თბ., 1941.
13. გაზ. „კომუნისტი“ 23 ნოემბერი 1921.
14. Первый Закавказский съезд Советов. (Стенгр. отчет) Тиф., 1923.
15. სრულიად საქართველოს საბჭოთა მეოთხე ყრილობა, თბ., 1927.
16. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), ტფ., 1927.
17. აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი კანონი (კონსტიტუცია). სოხუმი 1926.
18. მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული. 1931.
19. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), თბ., 1937.
20. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი). თბ., 1978.
21. ერემოვი გრ. საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის განვითარების ახალი ეტაპი. თბ., 1980.
22. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის კონსტიტუცია. ტფ., 1922.

23. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), ტფ., 1927.
24. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), თბ., 1937.
25. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი). თბ., 1978.
26. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი) კანონებით, შეტანილი ცვლილებებით და დამატებებით. თბ., 1991 წლის მარტი.
27. ჩორგოლაშვილი გ. სინანულის გადასახედი. თბ., 2009.
28. გაზ.: „ახალი საქართველო“. 1990, 15 ნოემბერი.
29. საქართველოს უახლესი ისტორიის დოკუმენტური მასალები (1990-1991), მასალები მოიძიეს ე. გვენეტაძემ და ზ. კალანდიამ. ტ. 2. თბ., 2011.
30. გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 19 აპრილი. 1991.
31. საქართველოს სსრ კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), თბ., 1990.
32. მელქაძე ო. ქართული კონსტიტუციონალიზმის თანამედროვე პრობლემები. წიგნში: „კონსტიტუცია და ქართული სამართლის პრობლემები. ეძღვნება პროფ. გ. ინწკირველის დაბადები 75-ე წლისთავს“. თბ. 2002.
33. გაზ: „საქართველოს რესპუბლიკა“, 25 თებერვალი, 1992.
34. დემეტრაშვილი ა. კობახიძე ი. კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2011.
35. გულუა ბ., გუშინ, დღეს, ხვალ, თბ., 1995.
36. კვესელავა ი., საქართველოს ისტორიის ქრონიკები. IV, საკონსტიტუციო პარადოქსები. თბ., 2016.
37. საქართველოს კონსტიტუცია. თბ., 1995.

38. დემეტრაშვილი ა., გაზ.: „რეზონანსი“, 2009, 4 მაისი.
39. გაზ.: „რეზონანსი“, 2010, 23 აპრილი.
40. დემეტრაშვილი ა., გაზ.: „რეზონანსი“, 2010, 26 აპრილი.
41. გაზ.: „რეზონანსი“ 2010, 17 ივნისი
42. გაზ.: „რეზონანსი“. 2010, 10 ივნისი.
43. გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა“, 2010, 10 აგვისტო.
44. გაზ.: „ახალი თაობა“, 2010, 5 ივლისი.
45. გაზ.: „რეზონანსი“, 2010, 21 ივლისი.
46. „რეზონანსი“, 2010, 31 ივლისი
47. გაზ.: „რეზონანსი“, 2010, 4 სექტემბერი.
48. ხიდაშელი თ., გაზ.: „რეზონანსი“, 2010, 21 აგვისტო.
49. გაზ.: „საერთო გაზეთი“, 2015, 16 დეკემბერი.
50. გაზ.: „ახალი თაობა“, 2010 წლის 22 სექტემბერი.
51. გაზ.: „რეზონანსი“. 2012, 9 მაისი.
52. გაზ.: „ახალი თაობა“, 2012, 10 მაისი.
53. გაზ.: „მთელი კვირა“. 2010, 20 სექტემბერი.
54. გაზ.: „რეზონანსი“, 2010, 28 სექტემბერი.
55. გაზ.: „რეზონანსი“, 2010, 2 ოქტომბერი.
56. გაზ.: „რეზონანსი“, 2010, 6 ოქტომბერი.
57. გაზ.: „რეზონანსი“, 2010, 8 ოქტომბერი.
58. გაზ.: „რეზონანსი“, 2011, 18 ივნისი.
59. გაზ.: „რეზონანსი“, 2012, 20 თებერვალი.
60. ნათაძე ნ., კოლუაშვილი პ., საქართველოს სახელმწიფოს სოციალური მოვალეობები, 2003, 14 ნოემბერი.
61. გაზ.: „რეზონანსი“, 2014, 2-8 ივლისი.
62. გაზ.: „რეზონანსი“, 2015, 24 თებერვალი.
63. დავიცვათ კონსტიტუცია გაყალბებისაგან. თბ., 2014.
64. გაზ.: „საქართველოს რესპუბლიკა“, 2002, 18 ივლისი.
65. ლოვო ფ. პარლამენტარიზმი, თბ., 2005,

66. გაზ.: „მთელი კვირა“, 2009, 30 ნომბერი
67. გაზ.: „მთელი კვირა“, 2009, 23 ნომბერი.
68. გაზ.: „მთელი კვირა“, 2009, 23 ნომბერი.
69. გაზ.: „ასავალ-დასავალი“, 2016, 13-19 იანვარი.
70. გაზ.: „რეზონანსი“, 2013, 8 ივლისი.
71. გაზ.: „რეზონანსი“, 2013, 22 მარტი.
72. მელქაძე ო., ქართულ კონსტიტუციონალიზმში განხორციელებული ოპერატიული რეფორმების ნეგატიური რეზონანსი. გაზ.: „რეზონანსი“, 2013, 25 მარტი.
73. გაზ.: „რეზონანსი“, 2013, 20 ივლისი.
74. გაზ.: „ახალი თაობა“, 2013, 24 ოქტომბერი.
75. გაზ.: „რეზონანსი“, 2014, 20 იანვარი.
76. გაზ.: „რეზონანსი“, 2014, 5 აგვისტო.
77. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი 2. თბ., 2013.
78. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3472813?publication=0>
79. <https://old.civil.ge/geo/article.php?id=30892>
80. <https://www.transparency.ge/ge/content/konstituciis-gadasinjvis-proektis-mokle-shepaseba-arasamtavrobo-organizaciebis-mier>.
81. <https://emcrights.files.wordpress.com/2017/05/e183a1e183a3e1839a-e18390e183aee18390e1839ae18398.pdf>
82. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>
83. <https://imedinews.ge/ge/interview/43/mtavari-tsvlilebebi-akhal-konstitutsiashi>



## გამომცემლობა „უნივერსალი“

---

თბილისი, 0186, ა. ჯორჯიაძის ქ. №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: [universal505@ymail.com](mailto:universal505@ymail.com); [gamomcemlobauniversali@gmail.com](mailto:gamomcemlobauniversali@gmail.com)